# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 18 აგვისტო 2008 №189 (3413) ფასი 50 თეთრი

## პეკინში ოლიმპიადის დღეებს ითვლიან, საქართველოში ოკუპაციის




# დიადნი



# პარენ, ია ნე იზ რასიი



კახა ბერიძე
პეკინიდან საგანგებოდ „სარბიელისთვის“

**პეკინის** ოლიმპიადის გარდა, სიდნეისა და ათენის თამაშებზეც ვიყავი და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ არც ატლანტაში და არც ათენში მსგავსი, უმაღლესი დონის ოლიმპიური სოფელი არ მინახავს: კომფორტული და ლამაზი, იდეალური სისუფთავე, გამწვანებული და მოწყობილი.

„ოცნების ქალაქი“ — ასე ეწოდება ოლიმპიურ სოფელს, რომელიც ამ ფუნქციას პარაოლიმპიური თამაშების დასრულებამდე შეასრულებს, შემდეგ კი საცხოვრებელი და საოფისე უბანი გახდება. ეს არის მართლაც რომ ქალაქი ქალაქში, ხუთსართულიანი უამრავი საცხოვრებელი კორპუსით, კაფეებით, მაღაზიებით, სპორტული კომპლექსით, ერთი სიტყვით, ყველაფრით, რაც უბანს შეიძლება სჭირდებოდეს. დარწმუნებული ვარ, რომ ის პეკინში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული რაიონი გახდება. როგორც ამბობენ, „ოცნების ქალაქში“ საცხოვრებელი და საოფისე ფართები, ჯერ კიდევ შარშან, მთლიანად გაიყიდა. სხვათა შორის, ოლიმპიური სოფელი იმ იაპონური ფირმის დაპროექტებულია, რომლის პროექტის მიხედვითაც არის აგებული პარიზის დისნეილენდი.

ჩვენი გუნდი B2 კორპუსშია დაბინავებული, სადაც იმყოფება თურქეთის დელეგაციაც.

ოლიმპიურ სოფელში მოსახვედრად ჟურნალისტებისთვის მხოლოდ აკრედიტაცია არ კმარა და დამატებით სპეციალური საშვია საჭირო, რომლის მისაღებადაც განაცხადი წინა დღით უნდა გააკეთო.

რადგანაც შაბათი საქართველოსთვის დიდად დატვირთული არ ყოფილა, გადავწყვიტე, ოლიმპიურ სოფელს ვსტუმრებოდი და თადარიგიც წინასწარ დავიჭირე. იმედი მქონდა ვინმე სახელოვან სპორტსმენს გადავეყრებოდი და ჩვენ კარგი ინტერვიუსთვისაც გამომეკრა ხელი. თანაც, იქ მყოფი ჩვენი სპორტსმენებისგან თუ ადმინისტრაციის წევრებისგან არაერთხელ მსმენია, ანა ივანკოვიჩთან, ლეო მესისთან, ნოვაკ ჯოკოვიჩთან, რონალდინიოსთან შეხვედრების შესახებ.

სამწუხაროდ, არ გამიმართლა. თითქმის ოთხი საათი დავეხეტებოდი სოფლის „შარა-გზაზე“, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, ვერავინ დავლანდე. ერთადერთი, ჯარჯი ზვიადაური შემხვდა, რომელთანაც ომზე ვისაუბრე, ხოლო საკუთარ თავზე მითხრა, ისე გამოვიდა, პეკინში ტურისტად ჩამოვსულვარო.

გუშინწინ ჩვენი სპორტული დელეგაცია პეკინში კიდევ რამდენიმე ათლეტით შეთხელდა. ძიუდოისტთა ნაკრებმა მოულოდნელად სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა და თბილისში ბაქოს გავლით, აზერბაიჯანის გუნდის ჩარტერული რეისით გამოემგზავრა, ხოლო ბრინჯაოს მედალოსან ნინო სალუქვაძის, მისი მწვრთნელის და მშვილდოსანთა დამრიგებლის თამაზ ფუტკარაძის ადრიანად გამომგზავრება თავიდანვე დაგეგმილი იყო.

ძიუდოისტთაგან პეკინში მხოლოდ ოლიმპიური ჩემპიონი ირაკლი ცირეკიძე დარჩა და თბილისში დელეგაციის მთავარ ნაწილთან ერთად 25 აგვისტოს დაბრუნდება.

ოლიმპიურ სოფელში ჩემი სტუმრობის შესახებ მოყოლას ერთი საინტერესო ამბით დავასრულებ. მთავარ შესასვლელში, როდესაც საშვის მისაღებად აუცილებელ პროცედურას გავდიოდი, ჩემს ზურგს უკან საშუალო ასაკის მამაკაცი ტელეფონზე რუსულად საუბრობდა. როდესაც ბლანკის შევსებისას მკითხეს, რომელი ქვეყნიდან ვიყავი და მეც ვუპასუხე, უცაბედად ტელეფონზე მოსაუბრემ მხარზე ხელი დამკრა და ცოტა არ იყოს შეშფოთებულმა მითხრა: „პარენ, ია ნე იზ რასიი“.

მოკლედ, საქართველო ოლიმპიურ პეკინში ყველა გაგებით ძალზე პოპულარულია, თუმცა, რა თქმა უნდა, უკეთესი იქნებოდა, ყურადღების ცენტრში უფრო სასიამოვნო ამბების გამო ვყოფილიყავით.

სასიამოვნოდ გაგვაოცა ბატუტზე ხტომაში ლუბა გოლოვინამ. მისი ნიჭის შესახებ ყველამ კარგად ვუწყოდით, თუმცა ფინალში თუ მეხუთე ადგილით შევიდოდა, ნაღდად არ მოველოდი. თუნდაც იმიტომ, რომ ლუბას ოლიმპიადაზე დებიუტი ჰქონდა, თანაც 16 მონაწილეში ასაკით ყველაზე პატარა — 18 წლისაა. ამასთანავე სხვა ბატუტისტებზე მაღალია, რაც ამ სახეობაში მცირედი დისკომფორტია და მეტოქეებს ოდნავ უპირატესობას ანიჭებს.

ლუბა გოლოვინას სახეზე ნერვიულობა აშკარად ეტყობოდა, თუმცა მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ შესანიშნავად გამოვიდა და საუკეთესო 8 მონაწილეს შორისაც დამსახურებულად გავიდა. საგულისხმოა, რომ მან ათენის ოლიმპიადის ჩემპიონს, გერმანიის სახელით მოასპარეზე ჩვენს თანამემამულე ანა დოლონაძესაც აჯობა, რომელიც კინაღამ ფინალს მიღმა აღმოჩნდა.

„ჩემი პროგრამა-მინიმუმი ფინალში მოხვედრა იყო და მოხარული ვარ, რომ ეს შევძელი. ფინალში არავინ იცის, რა მოხდება. ხომ ნახეთ, წინა თამაშების გამარჯვებული მედლებისთვის ბრძოლას ლამის გამოეთიშა. ფინალში უფრო რთული კოეფიციენტის პროგრამის შესრულებას ვგეგმავ და ვნახოთ, რა გამოვა. წინასწარ ვერაფერს განსაზღვრავ, მით უფრო, ოლიმპიადაზე“ — მითხრა ლუბა გოლოვინამ, რომელიც დღეს საღამოს პეკინის დახურულ დარბაზში შეეცდება წარმატების მიღწევას. ღმერთმა ქნას, ასეც მოხდეს.

პლაჟბურთელ ვაჟთა წყვილის, გეორ-გიას დამაჯერებელ თამაშზეც ეცოდინებათ. მერვედფინალში ავსტრიელებთან გამარჯვებაზე წერით თავს აღარ შეგაწყენთ და მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ დღეს დილით ჰოლანდიურ დუეტთან საგულშემატკივროდ მთელი ჩვენი დელეგაცია გულმოდგინედ ირაზმება და იმედია, გაწბილებულები არ დავრჩებით.



ტყვე კახიაშვილის ვაჟიშვილი 1992 წელს ოქროდ იქცა, გუშინ კი CNN-მა გადმოსცა: კახიაშვილმა ბერძენ ვეტერან ოლიმპიურ ჩემპიონებთან ერთად ოლიმპიურ საპროტესტო აქცია მოაწყო რუსულ აგრესიის წინააღმდეგ

რაც შეეხება მარიამ ქევხიშვილს, მან თავისი საუკეთესო შედეგი 2 მეტრით გააუარესა და ბუნებრივია, ვერც ფინალში მოხვდა.

ძალოსნობაში 94 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე არსენ კასაბიევზე აუგს ვერავინ იტყვის. ამ ძალიან პერსპექტიულმა ბიჭმა ბოლომდე ვაჟკაცურად იბრძოლა და ვინ იცის, ოდნავ რომ გამართლებოდა, ეგებ საქართველოს ჰიმნიც აეჟღერებინა. ნიშანდობლივია, რომ არსენის გამოსვლას უცხოური მასმედიაც მისი წარმომავლობის გამო გულისყურით აკვირდებოდა. სპორტულ მხარეს რაც შეეხება, ანალოგიური სიტუაცია იყო 1992 წელს ბარსელონას ოლიმპიადაზე, როდესაც კახი კახიაშვილი და მისი მწვრთნელი ვანო გრიქუროვი ვაბანკზე წავიდნენ და 235 კილოგრამი შეუკვეთეს. მაშინ ყველაფერი ჩვენებურისთვის სასიკეთოდ დასრულდა და კახიშვილიც ჩემპიონი გახდა, ამჯერად კი იგივე აღარ განმეორდა. არსენ კასაბიევმა 231 კილოგრამის დაძლევა, რაც უცილობელ გამარჯვებას ნიშნავდა, ველარ მოახერხა და საბოლოოდ მეოთხე პოზიციაზე დარჩა. რა გასაკვირია, რომ შეჯიბრის დასრულების შემდეგ კასაბიევს დანა პირს არ უხსნიდა, კომენტარზე უარი თქვა და ჩვენც დიდად აღარ შეგვიწუხებია.

დღეისათვის სულ ეს იყო, სულ მალე თავისუფალი ჭიდაობის შეჯიბრი დაიწყება და იმედია, კვლავ გავიხარებთ.



დღეს საქართველო გეორ-გიას ქომაგობს



აქედან იწყება ოცნების ქალაქი



# გრიქუროვის და კასაბიევის ბრძოლა

# ოქრო ან არაფერი!

## ვინც გარისკავს, მომავალს მოიგებს

**20 წლის** ძალოსან არსენ კასაბიევს (94 კგ) ძალიან ცოტა დააკლდა ოლიმპიურ ჩემპიონობამდე. ქართველმა ძალოსანმა ასაკის კვალობაზე შესაშური გამძლეობა გამოავლინა და ცოტა იღბალიც რომ ჰქონოდა, ეგებ ოქროს მედალიც აეღო.

ატაცში პირველ ცდაზე 172 კგ უპრობლემოდ დაძლია. ძალოსანთა ნაკრების თავკაცმა ვანო გრიქუროვმა 176 კგ შეუკვეთა და შეგირდმა არც ამჯერად გაუცრუა იმედი. მესამე ცდაზე კასაბიევი 178 კილოგრამს დაეჭიდა და, სამწუხაროდ, სიმძიმე ვერ დაძლია...

კასაბიევი აკვრაში უფრო ძლიერია და ყველაფერი წინ იყო, თუმც, როგორც მერე გამოჩნდა, ეს ბოლო ორი კილოგრამი გადამწყვეტი ფაქტორი გამოდგა იმისთვის, რომ ჩვენებურმა მინიმუმ ბრინჯაო ვერ აიღო, რადგან 178 კილოგრამი დაძლეული რომ ჰქონოდა, უფრო ნაკლების შეკვეთა მოუწევდა და ვგონებთ, ბრინჯაოც მისი უნდა ყოფილიყო.

მაგრამ მოდით, თანმიმდევრობით მივყვეთ: აკვრაში არსენმა პირველივე ცდაზე 215კგ დაძლია და მერე 223კგ შეუკვეთა. აქვე ვთქვათ, რომ აქამდე კასაბიევის პირადი რეკორდი 220 კილო იყო. არსენმა საკუთარი შედეგი გააუმჯობესა და მედლისთვისაც გაიწია, თუმც ჯაბანნი არც სხვები ჩანდნენ.

ბოლოს ფიცარნაგზე კასაბიევი გამოდიოდა, ვინც 231 კგ შეუკვეთა და, წონის დაძლევის შემთხვევაში, ოლიმპიური ჩემპიონი ხდებოდა, მაგრამ ქართველმა შტანგა ვერ დაიმორჩილა და უმედლოდ დაგვირჩა.

ჩემპიონი ყაზახი ილია ილინი გახდა 406 (180+226), ვერცხლი პოლონელმა შიმონ კოლეცკიმ წაიღო 403 (179+224), ბრინჯაო კი — B ჯგუფიდან გამომსვლელმა რუსმა ჰაჯიმურად აკაევმა 402 (185+217).

კასაბიევი მე-4 ადგილს დასჯერდა 399 (176+223). მაგრამ, ახლა როგორ გინდა, 20 წლის ბიჭზე ენა სასაყვედუროდ მოგიბრუნდეს. მან თავისი საქმე გააკეთა და თან ძალიან კარგად. თქმა არ უნდა, მისი პოტენციალის პატრონს, თუ ყველაფერი ნორმლურად იქნა, დიდი მომავალი ელის.

**ნიკა კოპაძე**

# აი, რა გვინდა: ჩვენი მომგების მომგები ჩვენი მომგები არ იყოს

**ჩვენი** პლაჟის ფრენბურთელები ნელ-ნელა ძალებს იკრებენ და აგერ, უკვე მეოთხედფინალში არიან.

ჯგუფში ბრაზილიურ და ავსტრალიურ დუეტებთან წაგების შემდეგ, გეორ-გიამ ანგოლის უსუსტესი წყვილი მიანგრია, საუკეთესო მესამეადგილოსნის სახელით მომდევნო ეტაპზე გავიდა და ავსტრიელებს, დოპლერსა და გარტმაიერს დაუპირისპირდა. ავსტრიელებს სამივე თამაში მოგებული ჰქონდათ ჯგუფში და ჯაბანი ბიჭები სულაც არ იყვნენ, მაგრამ გეორ-გიამ უშეღავათო ბრძოლაში მეტოქეს არაფერი დაუთმო და 2:1 მოიგო ( 19:21 21:16 15:13).




გადამწყვეტ სეტში გეორ-გია მთელი 4 ქულით წინ იყო, მაგრამ მეტოქემ ანგარიში გაათანაბრა — 13:13 და ჩვენები წაგების საფრთხის წინაშეც დადგნენ, თუმც სასიხარულოა, რომ მობილიზება მოახერხეს და მეოთხედფინალში არიან, სადაც მათი მეტოქე ჰოლანდიელები ნუმერდორი და შუილი არიან, ვინც, თავის მხრივ, ჯგუფში ჩვენ დამმარცხებელ ავსტრალიელებს 21:16 21:14 მოუგო.

გეორ-გია ნუმერდორსა და შუილს დღეს დაუპირისპირდება.

**ნიკა კოპაძე**

# რაც გვსურდა და ეგებ მეტიც

**18 წლის** ლუბა გოლოვინამ პეკინის ოლიმპიადაზე 16 უძლიერესს შორის იყოჩაღა და ფინალურ ეტაპზე რვა საუკეთესო სპორტსმენს შორის მოხვდა.



პირველი გამოსვლის მერე გოლოვინამ მთლად სასიხარულო შედეგი ვერ აჩვენა — 28,70 ქულა, თუმც მეორე ცდაზე — 36,20 ქულა მიიღო, ჯამურად 64,90 ქულა დააგროვა და ფინალურ ეტაპზე გავიდა.

მომდევნო ეტაპზე გავიდა კიდევ ერთი ქართველი, გერმანიის სახელით გამომსვლელი, ათენის ოლიმპიური ჩემპიონი ანა დოღონაძე. საუკეთესოთა რვეულმა კი ადგილები ასე გადაინაწილა: 1. ვენა ჰე 67,20 (ჩინეთი), 2. ირინა კარავაევა (66,40 (რუსეთი), 3. როსანა მაკლენანი 66,00 (კანადა), 4. კარენ კოკბურნი 65,60 (კანადა), 5. ლუბა გოლოვინა 64,90 (საქართველო), 6. ალიონა მოვჩანი 64,80 (უკრაინა), 7. ანა დოღონაძე 64,30 (გერმანია), 8. ეკატერინა კილკო 63,90 (უზბეკეთი).

ფინალური ეტაპი დღეს გაიმართება. აქ ბატუტისტები ყველაფერს ნულიდან იწყებენ, ანუ საკვალიფიკაციოს ქულები არ გადასდევთ და ვნახოთ, გამორიცხულიც არაფერია. თუმც პროგრამა მინიმუმი, რასაც ჩვენს ბატუტისტს უსახავდნენ, უკვე შესრულებულია. გოლოვინა რვეულში მოხვდა.

**ნიკა კოპაძე**

# ქევხიშვილის ბარე 2 მეტრი




**ბირთვის** მკვრელმა მარიამ ქევხიშვილმა პეკინის ოლიმპიადაზე ფინალში ვერ გააღწია, ბირთვი 15,99 მეტრზე ჰკრა, რაც საკმარისი არ იყო იმისთვის, რომ მომდევნო ეტაპზე გასულიყო. ფინალში გასვლისთვის ქართველს, სულ ცოტა, 18,35 მეტრზე უნდა გადაეგდო სიმძიმე, მაგრამ ხელი მოეცარა.

არადა, ქევხიშვილი ოლიმპადის წინ ურიგო ფორმაში არ იყო, ის ამერიკაში ვარჯიშობდა, სადაც იქაური მწვრთნელი სტივენ რობერტი ამზადებდა. მარიამმა რამდენიმე საერთაშორისო ტურნირზეც მოსინჯა ძალა და საკმაოდ კარგი შედეგებიც ჰქონდა. ესეც არ იყოს, ქართველმა ლიცენზიას მას მერე გამოჰკრა ხელი, რაც ბირთვი 17,43 მტერზე ისროლა. გამოდის, რომ ოლიმპიადაზე ნაჩვენები შედეგი ბარე 2 მეტრითაა გაუარესებული...

**ნიკა კოპაძე**

## საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის განცხადება

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის გადაწყვეტილებით მიმდინარე წლის 31 ოქტომბერს მოწვეულია სეოკ-ის საანგარიშო-საარჩევნო სესია.

სეოკ-ის ამჟამად მოქმედი წესდების შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტად ასარჩევი კანდიდატურის დასახელება შეუძლია სეოკ-ის აღმასკომს, სპორტის ოლიმპიურ სახეობათა ფედერაციებს თავიანთი არჩევითი ხელმძღვანელი ორგანოების მეშვეობით, ოლიმპიურ აკადემიას, სეოკ-ის მიერ აღიარებულ ფიზკულტურულ-სპორტულ საზოგადოებებსა და ასოციაციებს, აგრეთვე გამონაკლისის შემთხვევაში სპორტსა და ოლიმპიურ მოძრაობაში როგორც სპორტული კარიერის, ასევე მისი დამთავრების შემდეგ განსაკუთრებული დამსახურების მქონე ცალკეულ ფიზიკურ პირებს.

სათანადოდ გაფორმებული განცხადება სეოკ-ის პრეზიდენტად ასარჩევი კანდიდატურის შესახებ იგზავნება საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში საანგარიშო-საარჩევნო სესიის ჩატარებამდე არანაკლებ ორი თვით ადრე მაინც, ანუ არაუგვიანეს 2008 წლის 31 აგვისტომდე.

# შკრაინას ქართველებთან სამიანი აღარ გაუვიდა



იგორ კოკოშკოვს ნიკა ცქიტიშვილმა რევანში აიღებინა

**უკრაინა 71:72 საქართველო**
**8:12 18:22 17:18 18:20**

უკრაინა: გლადირი (2), რ. კრივიჩი (12), არაბაჯი (2), სილკოვსკი (3), ი. კრივიჩი (7), დროზდოვი (6), ლიშჩუკი (23), ონოფრიევი (5), აგაფონოვი (7), კრავცოვი (4), გიმენიუკი

საქართველო: ცინცაძე (28 წუთი, 8 ქულა), ელისი (29 წთ. 20 ქ), სანიკიძე (24 წთ. 6 ქ), ცქიტიშვილი (30 წთ. 7 ქ), უგრეხელიძე (13 წთ. 7 ქ)

სათადარიგონი: გამყრელიძე (20 წთ. 2 ქ), ვ. ბოისა (20 წთ. 12 ქ), ა. ბოისა (10 წთ), შერმადინი (17 წთ. 9 ქ), ტუღუში (8 წთ)

*საქართველომ ჩააგდო 35-დან 15 ორქულიანი, 12-დან 4 სამქულიანი და 47-დან 34 საჯარიმო. უკრაინამ ჩააგდო 37-დან 22 ორქულიანი, 18-დან 4 სამქულიანი და 21-დან 15 საჯარიმო.*

**საქართველოს** ეროვნულმა ნაკრებმა შაბათს კიევში მეორე ამხანაგური მატჩი გამართა უკრაინასთან და ამჯერად გამარჯვებას მიაღწია. იგორ კოკოშკოვის გუნდმა გუშინდელი მარცხისთვის რევანში აუღო მასპინძლებს: ქართველებმა პირველი სპარინგი უკრაინელებთან დამატებით დროში დათმეს და დღევანდელ მატჩში პარასკევს დაშვებული შეცდომები აღარ გაიმეორეს.

არადა, შაბათის შეხვედრა წინამორბედს ძალიან ჰგავდა. ბოლო წუთზე ქართველები კვლავ იგებდნენ და უკრაინელებმა სამქულიანით სცადეს თამაშის შემობრუნება, მაგრამ ამჯერად ჩინებულად ითამაშა ჩვენების დაცვამ. უკრაინელები მაქსიმალურად შეავიწროვეს კოკოშკოვის შეგირდებმა და გადამწყვეტი სროლაც მასპინძლებმა მოედნის კუთხიდანღა მოახერხეს. ნასროლი ფარს გვერდიდან მოხვდა და საფინალო სირენამ ქართველების გამარჯვება დააფიქსირა.

საქართველოს ნაკრებში ითამაშა ვლადიმერ ბოისამ, რომელიც პირველ მატჩში კოკოშკოვმა დაასვენა. ბოისამ კარგად გაართვა თავი ამოცანას და ტაირონ ელისის მერე ჩვენს ნაკრებში ყველაზე მეტი, 12 ქულა მოაგროვა.

უნდა აღინიშნოს, რომ უკრაინელებმა, რომლებიც ელიტარულ A დივიზიონში არიან, ოპტიმალური შემადგენლობით ითამაშეს, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოს ნაკრებზე. მანუჩარ მარკოიშვილის ტრავმას რომ თავი დავანებოთ, კოკოშკოვის გუნდს ჯერ არ შეერთებია მთავარი დამრტყმელი ძალა, „ატლანტა ჰოუქსის“ ცენტრი ზაზა ფაჩულია. თუმცა ზაზა მალე ნაკრებში იქნება. კოკოშკოვის გუნდი ხვალ თურქეთში მიემგზავრება და ფაჩულიაც ჩვენებს იქ შეუერთდება. ჩვენი ნაკრები თურქეთში 23 აგვისტომდე დარჩება და ლატვიის საერთაშორისო ტურნირისთვის მოემზადება.

*იგორ კოკოშკოვი*, ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი: „ბიჭებმა მებრძოლი ხასიათი გამოაჩინეს და დამსახურებულად გაიმარჯვეს. წინა მატჩისგან განსხვავებით, ნაკლები შეცდომები დავუშვით, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი გუნდი უმატებს. ამ გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რაკი ბიჭებმა საკუთარი ძალები ირწმუნეს და მომავალ მატჩებში კიდევ უფრო შემართულნი ითამაშებენ“.

*დავით უსტიაშვილი*, ნაკრების ასისტენტი მწვრთნელი: „თამაში ქულა-ქულაში მიდიოდა და ბოლოს უკრაინელებმა წინა მატჩის მსგავსად სამქულიანით სცადეს ვითარების გამოსწორება. ჩვენი ბიჭების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ კარგად დაიცვეს თავი და მეტოქის ის კალათბურთელი, რომელსაც ბურთი ჰქონდა, მოედნის კუთხეში მიიმწყვდიეს. უკრაინელმა ააცილა და მოგება ჩვენ დაგვრჩა. ტაირონ ელისმა უმაღლეს დონეზე ითამაშა, მაგრამ ეს ამხანაგური მატჩი იყო და ამის ჯერ ნაკლები მნიშვნელობა ექცევა. მომავალ მატჩებში გამოჩნდება, თუ რა არის ჩვენი პლუსი და რაზე გვმართებს მუშაობა“.

**რამაზ ყაველაშვილი**

# თურმე არც ეგრე ყოფილა საქმე

**საფრანგეთი 69:47 საქართველო**
**24:9 18:13 13:11 13:14**

საქართველო: ბოქოლიშვილი (9), ტეტელაშვილი 2), ჯავახიშვილი (2), კაკაურიძე (5), ალხანაიძე (7); მაღრაძე, ელიაძე (7), ჩერქეზიშვილი, თენეიშვილი (11), მუმლაძე (4), შარაბიძე

**საქართველოს** 16-წლამდელთა ნაკრებმა იტალიაში მიმდინარე კადეტთა ევროპის ჩემპიონატზე მორიგი მარცხი იწვნია. ჯგუფური ეტაპის პირველი მატჩი ჩვენებმა ისრაელთან დათმეს, ამჯერად კი გელა წულაძის გუნდი ფრანგ თანატოლებთან დამარცხდა.

ქართველებს არც ამჯერად გაუმართლათ და წინა მატჩის მსგავსად, ბევრი სამქულიანი გააცუდეს. მართალია, ამ კომპონენტში ფრანგებს მაინც აჯობეს, მაგრამ საშუალო დისტანციიდან მოეცარათ ხელი და საფრანგეთის ნაკრებმა 22-ქულიან გამარჯვებას მიაღწია.

„მიუხედავად ამხელა სხვაობისა, ფრანგთა მწვრთნელი ტაჰარ ლიგენი კომენტარებში მოკრძალებული იყო: „საბოლოო ანგარიში თითქოს ჩვენს იოლ გამარჯვებაზე მიგვანიშნებს, მაგრამ არც მთლად ასე ყოფილა საქმე. საქართველო ძლიერი გუნდია და ის ყოველთვის ბოლომდე იბრძვის. რაშიც ჩვენ მათ ვაჯობეთ, სათადარიგოები და ფიზიკური მომზადებაა. გაგვიმართლეს შეცვლაზე შესულმა ბიჭებმა და საბოლოოდ გავიმარჯვეთ კიდეც“.

წულაძის გუნდი თავიდანვე ჩამორჩა, პირველი მეოთხედი 9:24 წააგო და მეორე ათწუთეულში თამაშის გამოსწორება ველარ შეძლო. ფრანგებს გაუმართლა ვალენტინ მუვმა, რომელმაც თავისიანებს თამაშის 3-წუთიანი მონაკვეთი 8:0 მოაგებინა და დიდი შესვენებისთვის ქართველები უკვე 22:42 აგებდნენ.

საბოლოოდ თამაში ისე ჩამთავრდა, რომ გელა წულაძის გუნდს მისი გადარჩენის შანსი არც მისცემია. ჩვენიანთაგან ყველაზე შედეგიანი იყო ნოდარ თენეიშვილი, რომელმაც 11 ქულა მიითვალა.

ჩვენი ჯგუფის მეორე მატჩში რუსეთმა ქართველების პირველ ტურში მომგები ისრაელი მიწასთან გაასწორა: 76:44 მოუგო და პირველ ადგილზეა. ქართველები წუხელ რუსებს შეხვდნენ და 60:69 წააგეს. მესამე მარცხმა საქართველო ჯგუფში ჩატოვა და ახლა დანარჩენი ქვეჯგუფების მეოთხეადგილოსნებთან მოუწევს A დივიზიონში დასარჩენად ბრძოლა.

**რამაზ ყაველაშვილი**

# ჩვენი რაგბი სახალხო საქმეში

**სამწუხაროდ,** ისე მოხდა, რომ რუსულ აგრესიას დედაქალაქში მრავალი ადამიანი გამოექცა. მათი დახმარება კი თითოეული მოქალაქის ვალია.

ამ საქმეში წვლილი საქართველოს რაგბის კავშირმაც შეიტანა: ქართულმა სარაგბო თემმა მფარველობის ქვეშ აიყვანა დედაქალაქის სამი საბავშვო ბაღი, რომლებშიც სამასამდე დევნილია დაბინავებული.

მორაგბეებმა გუშინ დევნილებს დახმარება აღმოუჩინეს, საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გია ნიჟარაძის კი გვითხრა: „როგორც იცით, რაგბის კავშირმა სამი საბავშვო ბაღის პატრონობა აიღო თავის თავზე. ჩვენ სულ 300-მდე ადამიანს ვეხმარებით. ისინი ყაზბეგის 35-ში, შარტავას 117-ში და ბახტრიონის 112-ში მდებარე საბავშვო ბაღებში არიან დაბინავებულნი. მათ პირველადი მოხმარების პროდუქტებით სახელმწიფო ამარაგებთ, მაგრამ დანარჩენი საყოფაცხოვრებო საგნებითა და პროდუქტებით უზრუნველყოფა ჩვენ თავზე ავიღეთ. თუმცა ეს საკმარისი არ არის. ყველა მსურველს ვთხოვ, თუ საშუალება აქვთ, სამაჩაბლოს რეგიონიდან ლტოლვილებს პირადი ჰიგიენის ნივთებით, თეთრეულით და პროდუქტებით დაეხმარნონ. ეს საქმე რომ ორგანიზებულად გავაკეთოთ, საქართველოს რაგბის კავშირში მოგვმართეთ“.

კავშირის მისამართია: ჭავჭავაძის გამზირი №49ა; საკონტაქტო პირები: გია ნიჟარაძე (877 727220), მალხაზ კოროშინაძე (895 229491), გიორგი მამარდაშვილი (895 221005).

**ზურაბ მიგრიაული**



რაგბის კავშირის უფროსობამ დევნილებს დახმარება მიუტანა



ეროვნული ბიბლიოთეკა



# შაფათავას რუსული ფინალი

**ამ გახურებული** ოლიმპიადის დღეებში, როცა მსოფლიოს ეპიცენტრში პეკინია, შიგა და შიგ ოლიმპიადაზე ვერმოხვედრილი სპორტსმენები ნაკლებად პრესტიჟულ ტურნირებზე ჩაუქობენ. აგერ, მაგალითად, პენზაში ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა, სადაც ჩვენებურმა სოფო შაფათავამ ფინალს უწია. ქართველმა, ვინც ტურნირზე მე-4 ნომრად იყო განთესილი პირველ წრეში რუსი ევგენია დუხაკოვა 6:0 6:0 მიანგრია, მერე ასევე რუს ნატალია რიზონკოვა 6:4 6:2 მიჩოგნა და გზად ისევ მასპინძელი ნადეჟდა გუსკოვა გადაეყარა. შაფათავამ მასაც შავი დღე აყარა, 6:1 6:0 დაამარცხა და ნახევარფინალში ებრაელ ჩოგბურთელ ჯულია გლუშკოს ეთამაშა — 6:3 4:6 6:4. სოფო ფინალში გავიდა, რუს სპორტსმენს ვერც აქ ასცდა და სამწუხაროდ, ქსენია პერვაკთან 4:6 1:6 დამარცხდა. ეგაა, სოფო ფინალში გასვლით ბლომად სარეიტინგო ქულებს მიიღებს.

ირაკლი ლაბაძემ კი უზბეკეთის ქალაქ ზებარში მოსინჯა ძალები და ეგებ შორსაც წასულიყო, ტრავმას რომ არ შეეშალა ხელი.

პირველ წრეში ირაკლიმ მასპინძელ ბახატირ შარიპოვს 6:0 6:2 მოუგო, მეორე წრეში ყაზახ სტანისლავ ბიკოვს 6:2 6:4 აჯობა და ძირითად ბადეში გასასვლელ თამაშში, სადაც სამხრეთკორეელ ჰიუნ ვუ ნამთან 1:3 აგებდა, თამაშის შეწყვეტა მოუწია ტრავმის გამო და ვერც სარეიტინგო ქულებს მიიღებს.

ლონდონში მანანა შაფაქიძე 10 ათას დოლარიან ტურნირზე ავსტრიელ ემელინ სტარს 6:1 2:0 უგებდა, როდესაც მეტოქემ ტრავმა მიიღო და თამაში ველარ გააგრძელა. მეორე წრეში შაფაქიძე სლოვაკ მარტინა ბახაკოვასთან 6:4 4:6 2:6 დამარცხდა.

**ნიკა კოპაძე**

# ევროპის ჩემპიონი რუსეთი ავსტრალიამ ჯგუფში ჩატოვა




**რუსი** კალათბურთელებისთვის ოლიმპიადა ფაქტობრივად დასრულებულია. ევროპის მოქმედი ჩემპიონები კი არიან, მაგრამ ჩინეთში ევროპული გუნდისთვის ჯერ არ მოუგიათ — ხორვატიასთანაც წააგეს და ლიტვასთანაც, გუშინწინ ავსტრალიასაც ვერაფერი მოუხერხეს და დიდი შანსია, პეკინიდან მხოლოდ დებიუტანტი ირანის ძლევა გაჰყვეთ „ტკბილ" მოგონებად. დღეს რუსები ათენის ჩემპიონ არგენტინას ხვდებიან და ალბათ მასთან დაასრულებენ აგონიას.

16 აგვისტოს ავსტრალიასთან ბევრის გადამწყვეტ შეხვედრაში რუსებს ჩემპიონობისა და „კაი-გუნდობისა" არაფერი ეტყობოდათ. მათ ვერც ამერიკელმა თავკაცმა დევიდ ბლატმა უშველა და ვერც ნატურალიზებულმა ამეიკელმა გამთამაშებელმა ჯეიარ ჰოლდენმა, რომელიც ბოლომდე კი იხმარეს (ოთხ მატჩში საშუალოდ 38 წუთზე მეტს ათამაშებდნენ) და მისგან გაცილებით მეტი ქულა მიიღეს (საშუალოდ 17,3 ქულა და 4,8 პასი), ვიდრე ლამის გაღმერთებული ანდრეი კირილენკოსგან, თუმც სულ ტყუილად. ჰოლდენის 20 ქულა და 6 პასი იოლად მოინელა ოზთა დაცვამ.

ავსტრალიელებმა რუსებს პირველი მეოთხედი 11 ქულით მოუგეს, მეორეში 16-ით გაექცნენ და დიდი შესვენების მერე აღარც დაუთმიათ უპირატესობა. საბოლოოდ ავსტრალიამ 95:80 შემუსრა რუსეთი და A ჯგუფში წაართვა სასიცოცხლო მეოთხე ადგილი. გამარჯვებულთა შორის გამოირჩნენ „მილუოკის" ბოხვერა ცენტრი ენდრიუ ბოგუტი (22 ქულა, 8 მოხსნა) და ბებერი გამთამაშებელი სიჯეი ბრუტონი (22 ქულა, 6 პასი). რუსთა შორის ჰოლდენის გარდა ხელი გაანძრიეს ვიქტორ ხრიაპამ (21 ქულა, 9 მოხსნა) და ალექსეი სავრასენკომ (16 ქულა). რაც შეეხება მრავალნაქებ კირილენკოს, რუსთა ვარსკვლავმა 10 სროლიდან ერთი ჩაგდებულით „გაიბრწყინა".

A ჯგუფის დაუმარცხებელმა ლიდერმა ლიტვამ მეოთხე ტურში ხორვატიასაც მოუგო — 86:73, ხოლო არგენტინამ ირანს ოთხ თამაშში მეოთხე მარცხი შეამთხვია — 97:82.

B ჯგუფშიც პრაქტიკულად ოთხივე მეოთხედფინალისტი გაირკვა — აშშ-ს, ესპანეთსა და საბერძნეთთან ერთად რვაგუნდიან პლეი ოფში გავა მასპინძელი ჩინეთიც, რომელმაც გუშინწინ მეოთხე ადგილისთვის უდაძაბულეს ბრძოლაში დირკ ნოვიცკის გერმანია დაამარცხა. ნოვიცკიმ პეკინში თავისი საუკეთესო მატჩი ჩაატარა, 24 ქულა და 17 მოხსნა გააკეთა, თუმც ეს არ აღმოჩნდა საკმარისი. მეორე მხარესაც ჰყავდა თავისი ნბა-ელი ვარსკვლავი, იაო მინი, რომელმაც 25 ქულა და 11 მოხსნა დააგროვა და თავისიანთაგან ერთადერთი ასცდა 10 ქულას, მაგრამ ჩინელები იმდენად თავდადებით იბრძოდნენ, რომ მაინც იძალეს და კარგი ევროპული გუნდის 59:55 ძლევით გაიკაფეს გზა მეოთხედფინალში. გერმანიას უკანასკნელ ტურში აშშ-სთან უიმედო შეხვედრა აქვს დარჩენილი, ჩინეთი კი ხვდება საბერძნეთს, რომელმაც 16 აგვისტოს 102:61 გაანადგურა აუტსაიდერი ანგოლა.

რაც შეეხება თავად აშშ-ს, ამერიკელებმა B ჯგუფში პირველობისთვის შეხვედრაში პირდაპირ წალეკეს მანამდე დაუმარცხებელი ესპანეთი, რომელიც პეკინში მსოფლიოს ჩემპიონის სტატუსით ჩავიდა. ამერიკელები ოლიმპიადაზე ყველა თამაშს საშუალოდ 25 ქულით იგებდნენ და ხალხი იმის განსჯაში ელოდა აშშ — ესპანეთის შეხვედრას, ამათ პაუ გასოლი და მისიანები თუ გააჩერებენო, მაგრამ პირიქით კი მოხდა, თანაბარი ბრძოლის მაგივრად ხოცვა-ჟლეტა გაიმართა — „ოცნების გუნდმა" ესპანელებს იმდენი ჩაუყარა, რამდენიც პეკინში არავისთვის ჩაუყრია და მოიგო სარეკორდო სხვაობით — 119:82.

**ირაკლი ფირაშვილი**

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

გთავაზობთ
ფასდაკლებას საერთაშორისო საუბრებზე

10% - დან 30% - მდე

აირჩიეთ ორი ნომერი და დაარეგისტრირეთ „საქართველოს ტელეკომში"
ერთი ნომერი - ადგილობრივი, საიდანაც რეკავთ (ქალაქის ტელეფონი)
მეორე ნომერი - საზღვარგარეთ, ვისთანაც ისურვებდით ფასდაკლებით საუბარს (ქალაქის ან მობილური ტელეფონი)

რეგისტრაციისთვის:
დარეკეთ ტელეფონზე - **442020** (დარეგისტრირება უფასოა)
ან
მობრძანდით „საქართველოს ტელეკომის" საკომუნიკაციო და ანგარიშსწორების ცენტრებში.

რაც მთავარია ფასდაკლებით სარგებლობა შესაძლებელია

მხოლოდ **8-10**-ით

**www.telecom.ge**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რაფაელმა პეკინშიც დახატა ფედერერის ოცნება წყვილად ახდა



რაფაელ ნადალი

**რაფაელ ნადალი** დღეს ასეც და ისეც მსოფლიოს პირველი ჩოგანი გახდებოდა, მაგრამ ესპანელმა გუშინ თავისი სტატუსი კიდევ ერთხელ დაადასტურა და თან გაამყარა, როცა პეკინის ოლიმპიური ოქრო ჩამოიკიდა კისერზე. მალიორკელმა ფინალში ფერნანდო გონსალესს სამ სეტში მოუთავა საქმე — 6:3 7:6 6:3 — და კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ დღეისთვის უდავოდ მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელია.

ისე კი, კაცთა ტურნირმა ოლიმპიადისთვის ჩვეული მოულოდნელობებითა და სენსაციებით ჩაიარა და წინა პლანზე ისევ იმ ჩოგბურთელმა წამოიწია, რომლისგანაც ასეთ თავგამოდებას არავინ ელოდა. თუმც გონსალესისთვის უცხო ხილი არაა ოლიმპიადაზე კარგი თამაში — მან ხომ ათენშიც ფრიად იყოჩაღა და ერთეულებში ბრინჯაო დაისაკუთრა, წყვილებში კი ოქროსაც შესწვდა.

მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ არის — გუშინ გონსალესმა ველარაფერი მოუხერხა ნადალს, რომელიც გაზაფხულიდან მოყოლებული ფანტასტიკურად ჩოგნაობს და ბოლო 39 მატჩიდან მხოლოდ ერთში დამარცხდა. გუშინდელ ფინალში რაფა სიტუაციის ბატონ-პატრონი იყო. ჩილელმა მხოლოდ მეორე სეტში გაუმართა ესპანელს თანაბარი ბრძოლა და საქმე ტაიბრეიკამდეც მიიყვანა, მაგრამ აქ 5 უნებლიე შეცდომა დაუშვა და ამით ხაზი გადაუსვა მატჩის სათავისოდ შემოტრიალების ყოველგვარ შანსს.

რეალურად კი ნადალის მომრევი ამ ოლიმპიადაზე ერთადერთი კაცი იყო — აკი ნოვაკ ჯოკოვიჩმა ნახევარფინალში ტოლი არ დაუდო ესპანელს. მათ ჯახში კარგა ხანს ყველაფერი სასწორზე ქანაობდა, მაგრამ სერბმა ვერ გაუძლო ნერვების თამაშს და მატჩის ბოლოს ისეთი იოლი დარტყმა გააფუჭა, რომელიც კიდევ დიდხანს კოშმარად ექცევა სიზმრებში.

ამის მიუხედავად, ბალკანელმა დროულად მოასწრო გონს მოსვლა და ბრინჯაო ხელიდან აღარ გაუშვა — მესამე ადგილისთვის მატჩში ნოვაკმა 6:3 7:6 მოუგო ჯეიმს ბლეიკს და პოდიუმის ყველაზე დაბალ საფეხურზე მაინც ავიდა.

როჯერ ფედერერისთვის კი ეს მძიმე სეზონი პეკინშიც გაგრძელდა, სადაც შვეიცარიელი დიდი იმედებით ჩავიდა — უკვე წლებია, ალპელი თითქმის ყველა ინტერვიუში ამბობს, ოლიმპიური ოქრო ჩემი უმთავრესი ოცნებააო. თუმც მიმდინარე სეზონში ფედერერის სიძლიერისგან სახელიღა დარჩა და ეს პეკინშიც დამტკიცდა, როცა მეოთხედფინალში პირწმინდად დაიჩაგრა ბლეიკისგან, რომელმაც კარიერაში პირველად შეძლო მისი მორევა.

თუმც „მხიარული როჯერის“ ოცნება მაინც აუხდა — ერთეულებში ვერას გახდა, მაგრამ სტანისლას ვავრინკასთან შეწყვილებულს ჩინეთში ვერავინ მოერია და შვეიცარილებმაც ოქრო სათავისოდ დაიტოვეს.

ფედერერ-ვავრინკას დუეტმა ფინალში შვედი ვეტერანები — სიმონ ასპელინი და ტომას იოჰანსონი ოთხ სეტში გატეხა — 6:3 6:4 6:7 6:3. მესამე ადგილი ამერიკელ ტყუპ ძმებ მაიკ და ბობ ბრიანებს დარჩათ, რომლებმაც ბრინჯაო ხელიდან გამოსტაცეს მიშელ ლოდრასა და არნო კლემანის ფრანგულ წყვილს 3:6 6:3 6:4.

ქალთა ერთეულებში კი პოდიუმი მთლიანად რუსებისა იყო. მარია შარაპოვას არყოფნისა და სვეტლანა კუზნეცოვას პირველივე წრეში წაგების მიუხედავად, რუსებმა ყველა დაჩაგრეს და სამივე მედალი მოიპოვეს. ბოლოს ასეთი რამ 1908 წლის ოლიმპიადაზე ბრიტანელებმა შეძლეს.

ოქროს მატჩში ერთმანეთს ელენა დემენტიევა და დინარა საფინა დაეტაკნენ. ამ ორიდან დემენტიევა გაცილებით უარესად აწოდებს და ის ამის გამო არაერთხელ გაუქილიკებიათ, მაგრამ გუშინ საფინამ თანამემამულის ყველა რეკორდი მოხსნა, როცა 16 ორმაგი შეცდომა დაუშვა. ამის ფონზე სასწაულად მოჩანს ის, რომ დემენტიევას მოსაგებად მაინც სამი სეტის გამართვა დასჭირდა — 3:6 7:5 6:3.

ბრინჯაო ვერა ზვონარიოვას დარჩა, რომელმაც მასპინძელი ნა ლი გაამწარა, 6:0 7:5. ისე, ქალ ჩოგბურთელთა გამოსვლა შეიძლება ერთადერთ ნათელ წერტილად იქცეს რუსებისთვის, რომლებსაც პეკინის ოლიმპიადა აშკარად ჩაუვარდათ.

ქალთა წყვილებში შავდა უილიასმებმა იჩემპიონეს და უკვე მეორეჯერ დაეუფლნენ ოლიმპიურ ოქროს — მათ 8 წლის წინ სიდნეიშიც იხეირეს. ფინალში ვინუსმა და სერენამ ესპანელების, ანაბელ მედინა-გარიგესისა და ვირხინია რუანო პასკუალის დუეტს გადაურბინეს 6:2 6:0. მესამეზე კი ჩინური წყვილი გავიდა ძი იანისა და ჟი ჟენგის შემადგენლობით, რომლებმაც უკრაინელი დები, ალიონა და კატერინა ბონდარენკოები უშანსოდ დატოვეს 6:2 6:2.

**ბახა ლომჯაშვილი**



როჯერ ფედერერი და სტანისლას ვავრინკა





# უსაინ ბოლტი — 9,69!

**სასწაული** იყო, რაც 16 აგვისტოს უსაინ ბოლტმა გააკეთა. კაცობრიობას მსგავსიც კი არაფერი უნახავს. ამ იამაიკელმა ბიჭმა მსოფლიოს ყველა მორბენალს, ვარსკვლავსაც და ნაკლებად ცნობილსაც დიდი წითელი ხაზი გადაუსვა, ისე ირბინა, როგორც არ ურბენია ადამის მოდგმის არც ერთი შვილს და გამორიცხულია, ახლო მომავალში ვინმემ მისი დაწევა შეძლოს. ის გახდა პირველი, რომელმაც 100 მეტრი არაადამიანურად სწრაფ დროში — 9,7 წამში ჩატია.

რიჩარდ ტომპსონი (9,89), უოლტერ დიქსი (9,91), ჩურანდი მარტინა (9,93), ასაფა პაუელი (9,95), მაიკლ ფრატერი (9,97), მარკ ბარნსი (10,01), დერვის პატონი (10,03)... ყველანი სადღაც უკან დარჩნენ. ბოლტმა 100 მეტრის ფინალში მაშინ დაიწყო სირბილი, როდესაც სხვები უკანასკნელ ძალ-ღონეს იკრეფდნენ და შინაგან-გარეგანად, თმებიან-ფრჩხილებიანად დაძაგრულები ერთმანეთისთვის სანტიმეტრების მოგებას ცდილობდნენ. ტანმაღალი იამაიკელი ბოლო სიჩქარით მქროლი ჯგროდან დაახლოებით 60 მეტრის შემდეგ ისარივით გამოიჭრა და ფინიში სასტარტო გასროლიდან 9,69 წამში გადაკვეთა!

გაუგონარი შედეგია, ახალი მსოფლიო რეკორდია, რომელიც ძველ რეკორდს, სხვათა შორის ასევე ბოლტის საკუთრებას ალემატება ერთბაშად 0,03 წამით. ხუმრობა არ გეგონოთ ეს მეასედი წამები. ამისთვის იკლავენ თავს მსოფლიოს უსწრაფესი კაცები, მაგრამ ბოლტის შემხედვარე უნდა ვთქვათ, რომ სულ ტყუილად იკლავენ. არაფერი გამოუვათ ამ ჰეპარდთან, რომელმაც სახელოვანი სპრინტერები ბავშვებივით დაჩაგრა, არადა თავადაა ბავშვი — 22 წელი ამ ხუთშაბათს უსრულდება.

გასაოცარია, მაგრამ იყო იმის დიდი ალბათობა, რომ ბოლტს პეკინში არ ერბინა 100 მეტრი და ახლა მსოფლიოს სულ სხვა ოლიმპიური ჩემპიონი ჰყოლოდა. ეს არც მორბენლის ტრავმის ბრალი იქნებოდა და არც ვთქვათ, რაიმე არასპორტული გარემოების. საქმე ისაა, რომ ბოლტი ნატურალური 200-მეტროსანია და დიდ ტურნირებზე სარბენი 100 მეტრი მოგვიანებით აითვისა. მისი პირადი მწვრთნელი ოლიმპიადის წინ ორჭოფობდა, რომელ დისტანციაზე გაეშვა შეგირდი — 200-ზე გასვლას ყველა შემთხვევაში აპირებდნენ, 100 მეტრი კი ერთი ხანობა გეგმიდანაც ამოიღეს და ამით ლამის საბედისწერო შეცდომა დაუშვეს. თავად ბოლტი ორივეს სარბენლად იწევდა და მისდა ბედად, მწვრთნელმა ბოლოს გაუშვა, ირბინეო. კი არ ირბინა, იფრინა!

პეკინში მის უმთავრეს კონკურენტებად მოიაზრებოდნენ ასევე იამაიკელი, ექსრეკორდსმენი ასაფა პაუელი (9,74) და 2007 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე 100 და 200 მეტრის მომგები ამერიკელი ტაისონ გაი. გაი საერთოდ ვერ მოხვდა რვა ფინალისტს შორის, პაუელი კი ისევ ჩაფლავდა. მაგრამ რომც არ ჩაფლავებულიყო, ვინ დაიფიცებს, რომ ჯეელ თანამემამულეს და მეგობარს გაასწრებდა? შაბათს ძეხორციელი არ იყო ბოლტის გამსწრები.

„შუა სირბილში ფეხებში მკვდარი უძლურება ვიგრძენი. ძალიან მინდოდა ოქროს მედალი, მაგრამ მისი მოპოვებისთვის არ ვიყავი მზად. უსაინი კი გარბოდა... მიხარია მისი ბედნიერება“ — ამბობდა ეს მერამდენედ დამარცხებული ასაფა პაუელი.

„აქ მოსაგებად ჩამოვედი, ეს იყო ჩემი ერთადერთი მიზანი. კარგა ხანს ვერც მივხვდი, რომ ახალი რეკორდი დავამყარე, ეს მერეღა გავიაზრე, საპატიო წრე რომ დავარტყი — მოგვიანებით ამბობდა ბიჭი-ტრიუმფატორი, რომელსაც ბრიტანულმა პრესამ ხელად „ელვა-ბოლტი“ შეარქვა — ახლა ჩემი მიზანია 200 მეტრი.“

ბოლტი ალბათ 200 მეტრსაც მოიგებს. გაი ამ დისტანციაზე ოლიმპიადის კვალიფიკაციაში დაეცა და ფინალში ვერ შეუშლის ხელს იამაიკელს. რაც შეეხება პაუელს, მას კარგა ხანია არ უცდია 200 მეტრზე სირბილი. ის 100 მეტრის მეფე იყო, სანამ ბოლტი და გაი ტახტიდან ჩამოაგდებდნენ. 200 მეტრის ფინალი 20 აგვისტოს გაიმართება.

**ირაკლი ფირაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქალებშიც იამაიკა, კაცო?!

**პეკინში** მძლეოსანთა მედლების გათამაშება 15 აგვისტოს დაიწყო. პარასკევს კაცთა შორის ბირთვის კვრაში პოლონელმა ტომაშ მეჟევსკიმ 21,51-მეტრიანი ცდით დაამარცხა ამერიკელ მკვრელთა სუპერტრიო (კრისტიან კანტველი, რიის ჰოფა, ადამ ნელსონი) და ყველა სხვაც ზედ მიაყოლა. ქალთა შორის 10 კილომეტრზე სირბილი კი რაღა თქმა უნდა მოიგო ეთიოპიელმა ტრიუნეშ დიბაბამ, რომელმაც ამხელა დისტანცია ნახევარ საათში ჩატია — 29.54,66.

შაბათს კი ბოლტის გაელვებამდე კიდევ სამ სახეობაში გათამაშდა მედლები — კაცთა შორის 20 კილომეტზე სიარულში იმარჯვა რუსმა ვალერი ბორჩინმა (1:19.01), ქალთა შორის ბირთვის კვრაში ზედიზედ მეორე ოლიმპიადა მოიგო ახალზელანდიელმა ვალერი ვილიმ, ვინაც საუკეთესო ცდაზე ბირთვი 20,56 მეტრზე ჰკრა, ხოლო ქალთა შვიდჭიდში პირველი ორი ადგილი უკრაინელებმა და ნატალია დობრინსკამ და ლუდმილა ბლონსკამ დაიკავეს.

დიდი ამბები დატრიალდა გუშინ. მთელი პეკინი ქალთა მარათონისთვის ემზადებოდა. ქალაქის ხელმძღვანელებმა ქუჩები მანქანებისგან კი გაწმინდეს, მაგრამ დაბინძურებულ ჰაერს რას მოუხერხებ? ამიტომაც დაფიქსირდა ასეთი უსახური შედეგი, ქალები სირბილ-სირბილ რომ ყლაპავდნენ ბინძურ ჰაერს. 38 წლის რუმინელმა კონსტანტინა ტომესკუ დიტამ ძალზე მკრთალი შედეგით მოიგო — სულ რაღაც 2 საათი, 26 წუთი და 44 წამი აჩვენა და მაინც დამაჯერებლად აჯობა დანარჩენებს.

სამაგიეროდ, მეორე ადგილისთვის დიდი მიდი-მოვდივარ გააჩაღეს კენიელმა კატერინ ნდერებამ და ჩინელმა ჩუნგსიუ ჟოუმ. საფინიშო სწორის გასწვრივ გამწკრივებული პეკინელები დიდი ჟრიამულით ამხნევებდნენ თანამემამულეს, მაგრამ ბოლოს მაინც კენიელმა იძალა და ერთი წამით შეასწრო ფინიშზე.

გრძელი, ოღონდ არამარათონული დისტანციების ყოველგვარი გვირგვინით (ოლიმპიური, მსოფლიო, თუ რომელიც გინდა) შემკობილმა ეთიოპიელმა კენენისა ბეკელემ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მსოფლიოში უძლიერესი სტაიერია და თავისი წილი 10-კილომეტრიანი გზა საჩემპიონო დროში 27 წუთსა და 1,77 წამში გაირბინა. მყარი მეორე ადგილი შეხვდა კიდევ ერთ ეთიოპიელს სილეში სიჰინეს, ვინაც თანამემამულეს 1,60 წამით ჩამორჩა, მაგრამ სამაგიეროდ ორ წამზე მეტით გაასწრო ბრინჯაოსთვის ბრძოლაში ერთად მისულ სამეულს — მიკა კოგოს (კენია), მოზეს მასაის (კენია) და ზერსენაი ტადესეს (ერითრეა). იყო იმის შანსიც, რომ კვარცხლბეკი მთლიანად შეევსოთ ეთიოპიელებს. მესამე კაცად მათ ლეგენდარული ჰაილე გებრსელასიე ჰყავდათ, რომელიც ბოლო დროს მარათონებს კი დარბის, მაგრამ პეკინის ჰაერდაბინძურებულ ქუჩებში სირბილი არ ისურვა და ძველ სახეობაში 10 კილომეტრზე ირბინა, რაშიც სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახლავთ. მაგრამ 35 წლის ჰაილეს მედალი არ შეხვდა — 27.06,68 შედეგით მხოლოდ მეექვსე იყო.

ის, რაც ვერ შეძლეს ეთიოპიელმა კაცებმა, შეძლეს იამაიკელმა ქალებმა. ქალთა 100 მეტრის ფინალში მათ სამივე მედალი მოხვეტეს და ბოლტის მხარდამხარ სუსტ სქესშიც განიმტკიცეს უსწრაფესთა სახელი. ჩემპიონი გახდა შელი-ენ ფრეზერი (10,78), ფავორიტმა კერონ სტიუარტმა კი მესამე იამაიკელ შერონ სიმპსონის დარად 10,98 დრო აჩვენა.

ქალთა სამხტომში მოულოდნელად იმარჯვა კამერუნელმა ფრანსუაზა მბანგო ეტონემ (15,39), რომელმაც გამოცდილ მხტომელებს, რუს ტატიანა ლებედევასა (15,32) და ბერძენ ხრიზოფიი დევეცის (15,23) აჯობა.

კაცთა შორის უროს ტყორცნაში ყველას აჯობა სლოვენიელმა პრიმოჟ კოზმუსმა, ვინც ურო 82,02 ცდაზე დასცა. კოზმუსის ქვემოთ კვარცხლბეკზე ადგილები ბელარუსებმა — ვადიმ დევიატოვსკიმ (81,61) და ივან ტიხონმა (81,51) შეავსეს.

ქალთა სტიპლჩეიზში (3 კილომეტრზე წინაღობებით სირბილი) კი პირველობა მოიპოვა რუსმა გულნარა გალკინა-სამიტოვამ, ვინც 8.58,81 შედეგი აჩვენა და თავისივე მსოფლიო რეკორდს 2,78 წამი მოაკლო.

**ირაკლი ფირაშვილი**




100 მეტრის იამაიკური სამეული — შელი-ენ ფრეზერი, კერონ სტიუარტი და შერონ სიმპსონი



# არის რვა ოქრო!

## სპიცის მჯობნ ფელპსს დედიკო მოუნდა

**დაუმხობლად** შერაცხული ოლიმპიური რეკორდი დამხობილია! 1972 წელს მიუნხენიდან 7 ოქროს წამომღებ ამერიკელ მოცურავე მარკ სპიცს 36 წლის შემდეგ აჯობა ასევე ამერიკელმა მაიკლ ფელპსმა, რომელიც პეკინში ერთბაშად ცურვის რვა სახეობაში გახდა ჩემპიონი და ლეგენდარულ თანამემამულეს ჩამოართვა ოლიმპიადების ყველაზე გამაოგნებელი მიღწევა.

ყველაფერი დასრულდა კვირას, როდესაც ფელპსმა და კიდევ სამმა გამორჩეულმა ამერიკელმა 4X100 მეტრზე კომბინირებული ესტაფეტა მოიგეს და 23 წლის უნიჭიერესი მოცურავის თავხედურობამდე თამამი სარეკორდო შეტევა ასეთი ტრიუმფით დაასრულეს.

სულ ფელპსმა პეკინში რვა დღეში მოიგო ხუთი ინდივიდუალური და სამი გუნდური (ესტაფეტა) სახეობა, მათგან შვიდი მსოფლიო რეკორდის თანხლებით და წინა ოლიმპიადის ჩათვლით 14 ოქრო მოუგროვდა, რაც ასევე ოლიმპიადების რეკორდია. ოთხწლიანი შრომა ასეთი ტრიუმფით რომ დაასრულა და ბოლოს აუზიდან რომ ამოვიდა, ემოციებისგან ისე დაცლილიყო, რომ ბევრიც ვერაფერი თქვა — „არ ვიცი, რა ვიგრძნო, ამდენი ემოცია, ამდენი განცდა... ახლა მხოლოდ დედიკოს ნახვა მინდა."

კაცთა 4X100 კომბინირებული ესტაფეტით პრაქტიკულად დასრულდა პეკინში მოცურავეთა გამოსვლა. დარჩა მხოლოდ ღია წყალში 10 კილომეტრზე კაცთა და ქალთა შეჯიბრები. ჩვენ კი თვალი გადავავლოთ 16 და 17 აგვისტოს „წყლის კუბში" განვითარებულ მოვლენებს.

ქალთა 200 მ გულაღმა — სამგზის ხელმოცარულმა კირსტი ქოვენთრიმ გულისწადილი მაინც აისრულა და პეკინური წყლიდან მაინც ამოიღო ოქრო. ზიმბაბვეს დროშით მოცურავე ფითქინა ქოვენთრის ეს სახეობა ათენშიც მოეგო და ახლა კიდევ უკეთესად გამოვიდა, 2.05,24 შედეგით ზუსტად ერთი წამით გაასწრო მთავარ კონკურენტს, ამერიკელ მარგარეტ ჰოლცერს და მას მსოფლიო რეკორდიც ჩამოართვა.

კაცთა 100 მ ბატერფლაი — ფელპსს არცერთ სახეობაში ისე არ გასჭირვებია, როგორც აქ. შეიძლება ითქვას, რიგით მეშვიდე პეკინური ოქრო შემთხვევითაც მოიპოვა, თანაც მხოლოდ აქ ვერ დაამყარა მსოფლიო რეკორდი. ფელპსის მთავარ მეტოქედ მისი თანამემამულე და რეკორდსმენი იან კროკერი ითვლებოდა, მაგრამ კროკერი ჩაფლავდა (მხოლოდ მეხუთე იყო), ფელპსს კი სრულიად მოულოდნელად მოუხდა ნაკლებცნობილი სერბი მილორად კავიჩის დევნა. ოციოდ მეტრი რომ რჩებოდა, კავიჩი ამერიკელს მეტრს უგებდა და მომავალმა რეკორდსმენმა მხოლოდ 0,01 წამით აჯობა მეტოქეს, რომელიც რეალურად მასზე 20 სანტიმეტრით წინ იყო, მაგრამ კედელზე ხელის მირტყმა დაუგვიანდა. რვა ოქროზე სარეკორდო შეტევა ბეწვზე გადარჩა.

ქალთა 800 მ თავისუფალი — 400-ის შემდეგ ბრიტანელმა რებეკა ედლინგტონმა 800 თავისუფალიც მოიგო და ქალებში პირველი სტაიერის სახელიც დაიმკვიდრა. 19 წლის ბრიტმა ბარე 10 მეტრით გაასწრო უახლოვეს მდევარს და ფინიშთან მივიდა 8 წუთსა და 14,10 წამში, რითაც ცურვაში უძველესი რეკორდი დაამხო. ძველი რეკორდი, 8.16,22 ამერიკელმა ჯანეტ ევანსმა 1989 წელს დაამყარა. მაშინ ედლინგტონი მხოლოდ ექვსი თვის იყო.

კაცთა 50 მ თავისუფალი — უმოკლესი ოლიმპიური დისტანციის მეფის წოდება არც ალან ბერნარს შეხვდა და არც იმონ სალივანს. ფრანგი მესამე იყო, ავსტრალიელი კი — მეექვსე. გაიმარჯვა ბრაზილიელმა სეზარ კიელო ფილიომ რომელმაც ერთი აუზის სიგრძე ორი ამოსუნთქვით, 21,30 წამში გაიდგაფუნა და რომ გაიგო ჩემპიონი გავხდიო, ჯერ სიხარულისგან ლამის წყალში თავი დაიხრჩო, მერე კი წყალშივე გულამოსკვნით ატირდა და პოდიუმამდე გზა ბედნიერების ცრემლებით მორწყო.

ქალთა 50 მ თავისუფალი — თუ გრძელ დისტანციებზე ბრიტანელი რებეკა ედლინგტონია საუკეთესო, მოკლე სახეობებში გერმანელმა ბრიტა შტეფენმა მოიპოვა ორი ოქრო. მან 100 მეტრის ოქროს 50 მეტრზე გამარჯვებაც მიაყოლა. შტეფენმა 24,04 წამში გადაცურა აუზი და სულ რაღაც 0,01 წამით მიასწრო 41 წლის ამერიკელ დარა ტორესს, რომელიც ოლიმპიადების ისტორიაში ყველაზე ასაკოვანი მოცურავე ქალია და მშვენიერ ფორმაშიც გახლავთ. გულდასაწყვეტია, რომ ქალბატონ დარას პეკინში ოქრო არ შეხვდა — არადა ვერცხლი ერთბაშად სამი ერგო.

კაცთა 1500 მ თავისუფალი — დასრულდა გრანტ ჰეკეტის ჰეგემონია უგრძეს დისტანციაზე. წინა ორი ოლიმპიადის მომგებ ოზს ახლაც არა უშავდა, კილომეტრნახევარი 14.41,53 დროში გაცურა, მაგრამ მას 0,69 წამით გაასწრო ტუნისელმა (!) უსამა მელულიმ. მესამეზე გასულმა რაიან კოკრეინმა კი კანადას ცურვაში პირველი მედალი მოუტანა.

ქალთა 4X100 მ კომბინირებული ესტაფეტა — ემილი სპიბომმა, ლეიზელ ჯონსმა, ჯესიკა შიპერმა და ლიზი ტრიკეტმა 3.52,69 დრო აჩვენეს, 0,61 წამით აჯობეს ამერიკელ გოგონათა კომბინირებულ კვარტეტს და თავიანთსავე მსოფლიო რეკორდს 3,05 წამი მოაკლეს. ეს იყო ავსტრალიელ მოცურავეთა მეექვსე ოქრო პეკინში და ექვსივე ქალების მონაგარია.

კაცთა 4X100 მ კომბინირებული ესტაფეტა — მაიკლ ფელპსს (ბატერფლაი) მხარი აარონ პირსოლმა (გულაღმა), ბრენდან ჰანსენმა (ბრასი) და ჯეისონ ლეზაკმა (თავისუფალი) აუბეს. ამერიკულმა კვარტეტმა ფინიშს სარეკორდო დროში, 3.29,34 შედეგით უწია და წამზე ოდნავ ნაკლებით მიასწრო ავსტრალიურ ოთხეულს. ეს იყო მე-12 ამერიკული ოქრო, აქედან ფელპსმა ხუთი პირადად მოიპოვა და სამშიც წილი დაიდო.

**ირაკლი ფირაშვილი**

# კვარცხლბეკი

## 16-17 აგვისტო; შაბათი, კვირა

## ცურვა

### ქალები. 200მ გულაღმა
1. კრისტი ქოვენთრი (ზიმბაბვე) 2.05,24 (მსოფ. რეკორდი)
2. მარგარეტ ჰოლცერი (აშშ) 2.06,23
3. რეიკო ნაკამურა (იაპონია) 2.07,13

### ქალები. 800მ თავისუფალი
1. რებეკა ედინგტონი (დიდი ბრიტანეთი) 8.14,10 (მსოფ. რეკორდი)
2. ალისია ფილიპი (იტალია) 8.20,23
3. ლოთე ფრისი (დანია) 8.23,03

### კაცები. 100მ ბატერფლაი
1. მაიკლ ფელპსი (აშშ) 50,58 (ოლიმპ. რეკორდი)
2. მისრად ჩავიჩი (სერბეთი) 50,59
3. ენდრიუ ლიუტერშტაინი (ავსტრალია) 51,12

### კაცები. 50მ თავისუფალი
1. სეზარ კოელო ფილიო (ბრაზილია) 21,30 (ოლიმპ. რეკორდი)
2. ამაური ლევიე (საფრანგეთი) 21,45
3. ალენ ბერნარი (საფრანგეთი) 21,49

### ქალები. 50 მ თავისუფალი
1. ბრიტა შტეფანი (გერმანია) 24,06 (ოლიმპ. რეკორდი)
2. დარა ტორესი (აშშ) 24,07
3. კეიტ კემპბელი (ავსტრალია) 24,17

### ქალები. 4X100 მ კომბინირებული
1. ავსტრალია (ემილი სიბონი, ლაიზელ ჯონსი, ჯესიკა შიპერი, ლიბი ტრიკეტი) 3.52,69 (მსოფ. რეკორდი)
2. აშშ (ნატალი კულინი, რებეკა სონი, კრისტინ მაგნუსონი, დარა ტორესი) 3.53,30
3. ჩინეთი (ინ ჟაო, იი სუნი, იატეი ჟოუ, იაინ პენგი) 3.56,11

### კაცები. 1 500 მ თავისუფალი
1. უსეიმ მელული (ტუნისი) 14.40,84
2. გრანტ ჰეკეტი (ავსტრალია) 14.41,53
3. რაიან კოჩრეინი (კანადა) 14.42,69

### კაცები. 4X100 მ კომბინირებული
1. აშშ (აარონ პირსოლი, ბრენდენ ჰანსენი, მაიკლ ფელპსი, ჯეისონ ლეზაკი) 3.29,34 (მსოფლ. რეკორდი)
2. ავსტრალია (ჰაიდენ სტოკელი, ბრენტონ რიკარდი, ენდრიუ ლაუტერშტაინი, იმონ სალივანი) 3.30,04
3. იაპონია (იუნიჩი მაშიტა, კოსუკე კიტაჯიმა, ტაკურო ფუჯი, ჰისაოში სატო) 3.31,18

## სროლა

### კაცები. სკიტი (მრგვალი სტენდი)
1. ვინსენტ ჰენკოკი (აშშ) 145 (ოლიმპ. რეკორდი; 121+24)
2. ტორე ბროვოლდი (ნორვეგია) 145 (120+25)
3. ენტონი ტერასი (საფრანგეთი) 144 (119+25)

### კაცები. სპორტული პისტოლეტი. ჩქაროსნული სროლა. 25 მ
1. ოლექსანდრ პეტრივი (უკრაინა) 780,2
2. რალფ შუმანი (გერმანია) 779,5
3. კრისტიან რეტცი (გერმანია) 779,3

### კაცები. მცირეკალიბრიანი შაშხანა. სამი პოზიციის ჯამი. 50 მ
1. იან ქიუ (ჩინეთი) 1272,5
2. იური სუხორუკოვი (უკრაინა 1272,4
3. რაიმონ დებევეცი (სლოვენია) 1271,7

## ველორბოლა. ტრეკი

### კაცები. ინდივიდუალური გამოდევნება
1. ბრედლი ვიგინსი (დიდი ბრიტანეთი) 4.16,977
2. ჰეიდენ როლსტონი (ახალი ზელანდია) 4.19,611
3. სტივენ ბურკი (დიდი ბრიტანეთი) 4.20,947

### კაცები. ქულებზე რბოლა
1. ხუან ლინერასი (ესპანეთი) 60
2. როჯერ კლუგი (გერმანია) 58
3. კრის ნიუტონი (დიდი ბრიტანეთი) 56

### კაცები. კეირინი
1. კრის ჰოი (დიდი ბრიტანეთი)
2. როს ედგერი (დიდი ბრიტანეთი)
3. კიუოტომი ნაგაი (იაპონია)

### ქალები. ინდივიდუალური გამოდევნება
1. რებეკა რომერო (დიდი ბრიტანეთი) 3.28,321
2. ვენდი ჰოუვენგელი (დიდი ბრიტანეთი) 3.30,395
3. ლესია კალტოვსკა (უკრაინა) 3.31,413

## ძალოსნობა

### ქალები. +75 კგ
1. მი რან იანგი (სამხრეთ კორეა) 326 (მსოფ. რეკორდი. 140+186)
2. ოლია კორობკა (უკრაინა) 277(124+153)
3. მარია გრაბოვეცკაია (ყაზახეთი) 270 (120+150)

### კაცები. 94 კგ
1. ილია ილინი (ყაზახეთი) 406 (180+224)
2. შიმონ კოლეცკი (პოლონეთი) 403 (179+224)
3. ჰაჯიმურატ აკაევი (რუსეთი) 402 (185+217)

## სპორტული ტანვარჯიში

### ქალები. ხტომები
1. უნ იონგ ჰონგი (ჩრდ. კორეა) 15,650
2. ოქსანა ჩუსოვიჩინა (გერმანია) 15,575
3. ფეი ჩანი (ჩინეთი) 15,562

### ქალები. თავისუფალი ვარჯიში
1. სანდრა იამბასა (რუმინეთი) 15,650
2. შეინ ჯონსონი (აშშ) 15,500
3. ნასტია ლუკინი (აშშ) 15,425

### კაცები. ტაიჭი
1. ქინ ქსიაო (ჩინეთი) 15,875
2. ფილიპ უდე (ხორვატია) 15,725
3. ლუის სმითი (დიდი ბრიტანეთი) 15,725

### კაცები. თავისუფალი ვარჯიში
1. კაი ცოუ (ჩინეთი) 16,050
2. ხერვასიო დეფერი (ესპანეთი) 15,775
3. ანტონ გოლოსუცკოვი (რუსეთი) 15,725

## მაგიდის ჩოგბურთი

### ქალები. გუნდური
1. ჩინეთი (ქსიაოქსი, ლი, ინინ ჟენი, იუე გუო, ნან ვანგი)
2. სინგაპური (იუ გუ ვანგი, ტიან ვეი ფანი, ბეი სუნი, იავეი ლი)
3. სამხრ. კორეა (კუონგ კიმი, მოუო ონგ პარკი, იესეო დანი, ჰუნ იონგ მუნი)

## ნიჩბოსნობა

### ქალები. ერთადგილიანი
1. რუმიანა ნეიკოვა (ბულგარეთი) 7.22,34
2. მიშელ გურე (აშშ) 7.22,78
3. ეკატერინა კარსტენი (ბელარუსი) 7.23,98

### ქალები. წყვილები. წყვილნიჩბიანი
1 ჯორჯინა ევერს-სვინდელი, კეროლინა ევერს-სვინდელი (ახ. ზელანდია) 7.07,32
2. ანეკატრინ ტილე, კრისტინა ჰუთი (გერმანია) 7.07,32
3. ელიზ ლევერიკი, ანა ბეგინგტონი (დიდი ბრიტანეთი,) 7.07,55

### ქალები. წყვილები. ცალნიჩბიანი
1. გეორგეტა ანდრუნაჩე, ვიორიკა სუსარიუ (რუმინეთი) 7.20,60
2. იოუ ვუ, იუიან გაო (ჩინეთი) 7.22,28
3. იულია ბიჩუკი, ნატალია ჰელახი (ბელარუსი) 7.22,91

### კაცები. ერთადგილიანი
1. ოლაფ ტუფტე (ნორვეგია) 6.59,83
2. ონდრეი სუნიკი (ჩეხეთი) 7.00,63
3. მეი დრისდეილი (ახალი ზელანდია) 7.01,56

### კაცები. წყვილები. ცალნიჩბიანი
1. დრიუ ჯინი, დანკან ფრი (ავსტრალია) 6.37,44
2. დევიდ კელდერი, სკოტ ფრენსდენი (კანადა) 6.39,55
3. ნათან ტვიდლი, ჯორჯ ბრიდვაიტერი (ახ. ზელანდია) 6.44,19

### კაცები. წყვილები. წყვილნიჩბიანი
1. დევიდ ქრუვში, სკოტ ბრენანი (ავსტრალია) 6.27,77
2. ტონუ ენდრიკსონი, იური იანსონი (ესტონეთი) 6.29,10
3. მეტიუ უელსი, სტივენ როვბოთემი (დიდი ბრიტანეთი) 6.29,15

### კაცები. ოთხადგილიანი. ცალნიჩბიანი
1. დიდი ბრიტანეთი (ტომ ჯეიმსი, სტივ უილიამსი, პიტ რიდი, ენდრიუ ტრიგსჰოჯი) 6.06,57
2. ავსტრალია (მეტ რაიანი, ჯეიმს მერტარგი, კამერონ მაკენზი-მჩერგი, ფრენსის ჰეგერტი) 6.07,85
3. საფრანგეთი (ჟულიენ დესპრე, ბენჟამინ რონდუ, ჟერმან ჩარლინი, დორიან მორტელე) 6.09,31

### ქალები. წყვილები. ცალნიჩბიანი (მსუბუქი კლასი)
1. კრისტიან ვან დერ კოლკი, მარატ ვან ეუპენი (ჰოლანდია) 6.54,75
2. სანა სტენი, მინა ნიემინენი (ფინეთი) 6.56,03
3. მელანი კოკი, ტრეისი კამერონი (კანადა) 6.56,68

### ქალები. ოთხადგილიანი. წყვილნიჩბიანი
1. ჩინეთი (ბინ ტანგი, ციეი ინი, აიჰუ ქსი, იანიან ჟანგი) 6.16,06
2. დიდი ბრიტანეთი (ენი ვერნონი, დიტი ფლუდი, ფრენსის ჰოტონი, კატერინ გრანგერი) 6.17,37
3. გერმანია (ბრიტა ოპეტი, მანუელა ლუტცე, კატრინ ბორონი, სტეფანი შილერი) 6.18,56

### ქალები. რვაადგილიანი, მესაჭით
1. აშშ (ირინ კატარო, ლინდსი შუპი, ანა გუდელი, ელ ლოგანი, ენი კამინსი, კეროლინ ლინდი, სუზან ფრენსისი, კეირონ დევისი, მერი ვიპლი) 6.05,34
2. ჰოლანდია (ფემკე დეკერი, მარლიზ სიმულდერსი, ნენკე კინგმა, როლინ ვან დრილი, ენიმარეკ ვან რამპტი, ჰელენ ტანჯერი, სარა სიგელაარი, ენნიკ დე ჰაანი) 6.07,22
3. რუმინეთი (კონსტანცა ბურჩისა, ვიორიკა სუზარუ, როდიკა სერბანი, ანიკო ბარაბასი, სიმონა მუსატი, იოანა პარუკი, გეორგეტა ანდრუნაჩე, დონია იგნატი, ბენა გეორგესკუ) 6.07,25

### კაცები. წყვილები. ცალნიჩბიანი (მსუბუქი კლასი)
1. ზაკ პურხეიზი, მარკ ჰანტერი (დიდი ბრიტანეთი) 6.10,99
2. დიმიტრიოს მუგიოსი, ვესელიოს პოლუმეროსი (საბერძნეთი)6.11,72
3. მადს რასმუსენი, რასმუს-ნიკოლაი ჰანსენი (დანია) 6.12,45

### კაცები. ოთხადგილიანი. ცალნიჩბიანი (მსუბუქი კლასი)
1. დანია (ტომას ებერტი, მორტენ იორგენსენი, მადს ანდერსენი, ესკილდ ებესენი) 5.47,76
2. პოლონეთი (ლეკაშ პავლოვსკი, ბარტალომეი პაველჟაკი, მილოშ ბერნატაიტისი, პაველ რანდა) 5.49,39
3. კანადა (იან ბრემბელი, იონ ბერი, მაიკ ლუისი, ლაიამ პერსონი) 5.50,09

### კაცები. ოთხადგილიანი. წყვილნიჩბიანი
1. პოლონეთი (კონრად ვასილევსკი, მარეკ კოლბოვიჩი, მიხალ ჟელინსკი, ადამ კოროლი) 5.41,33
2. იტალია (ლუკა აგამენონი, სიმონ ვენიერი, როსანო ჯიატაროზა, სიმონ რაინერი) 5.43,57
3. საფრანგეთი (ჟონათან კოეტიკი, პიერ-ჟან პეტერი, ჟულიენ ბაინი, სედრიკ ბერესტი) 5.44,34

### კაცები. რვაადგილიანი, მესაჭით
1. კანადა (კევინ ლაითი, ბერ რიტლეიჯი, ენდრიუ ბორნსი, ჯეკ ვეტცელი, მალკოლმ ჰოვარდი, დომინიკ სეტერლი, ადამ კრიკი, კილ ჰემილტონი, ბრაიან პრაისი) 5.23,89
2. დიდი ბრიტანეთი (ალექს პეტრიჯი, ტომ სტალარდი, ტომ ლუსი, რიჩარდ ეგინგტონი, ჯოშ ვესტი, ალისტერ ჰესკოტი, მეტ ლენგრიჯი, კოლინ სმითი, აისერ ნეთერკოტი) 5.25,11
3. აშშ (ბიო ჰოფმანი, მეტ შრობრიხი, მიკა ბოიდი, ვულტ ალენი, დერილ ველში, სტივენ კოპოლა, ჯოშ ინმენი, ბრაიან ვოლპენჰეინი, მარკუს მაკენი) 5:25,34

## თავისუფალი ჭიდაობა

### ქალები. 48 კგ
1. კეროლ ჰოინჰი (კანადა)
2. ჩარუ იჩო (იაპონია)
3. მარია სტადნიკი (აზერბაიჯანი)
4. ირინ მერლენი (უკრაინა)

### ქალები. 55 კგ
1. საორი იოშიდა (იაპონია)
2. ლი ჰუ (ჩინეთი)
3. იაკელინ რენტერია (კოლუმბია)
4. ტონია ვერბიკი (კანადა)

### ქალები. 63 კგ
1. კაორი იტო (იაპონია)
2. ალიონა კარტაშოვა (რუსეთი)
3. რენდი მილერი (აშშ)
3. ელინა შალიგინა (ყაზახეთი)

### ქალები. 72 კგ
1. ვან ძიუ (ჩინეთი)
2. სტანკა ზლატევა (ბულგარეთი)
3. აგნეშკა ვეზჟეკი (პოლონეთი)
3. კუოკო ჰამაგუჩი (იაპონია)

## წყალში ხტომა

### ქალები. 3-მეტრიანი ტრამპლინი
1. იინიინ გუო (ჩინეთი) 415,35
2. იულია პახალინა (რუსეთი) 398,60
3. მინქსია ვუ (ჩინეთი) 389,85

## ჩოგბურთი

### კაცები. წყვილები
1. როჯერ ფედერერი, სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია)
2. ტომას იოჰანსონი, საიმონ ასპელინი (შვედეთი)
3. მაიკ ბრიანი, ბობ ბრიანი (აშშ)

### ქალები. პირადი
1. ელენა დემენტიევა (რუსეთი)
2. დინარა საფინა (რუსეთი)
3. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი)

### ქალები. წყვილები
1. ვინუს უილიამსი, სერენა უილიამსი (აშშ)
2. ანაბელ მედინა გარიგესი, ვირხინია რუანო პასკუალი (ესპანეთი)
3. იან ზინი, ჟენ ძი (ჩინეთი)

### კაცები. პირადი
1. რაფაელ ნადალი (ესპანეთი)
2. ფერნანდო გონსალესი (ჩილე)
3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი)

## მძლეოსნობა

### ქალები. ბირთვის კვრა
1. ვალერი ვილი (ახალი ზელანდია) 20,56
2. ნატალია მიხნევიჩი (ბელარუსი) 20,28
3. ნადეჟდა ოსტაპჩუკი (ბელარუსი) 19,86

### ქალები. შვიდჭიდი
1. ნატალია დობრინსკა (უკრაინა) 6733
2. ლუდმილა ბლონსკა (უკრაინა) 6700
3. ულის ფორტეინი (აშშ) 6619

### კაცები. 20კმ სპორტული სიარული
1. ვალერი ბორჩინი (რუსეთი) 1:19.01
2. ჯეფერსონ პერესი (ეკვადორი) 1:19.15
3. ჯარედ ტელტენტი (ავსტრალია) 1:19.42

### კაცები. 100მ
1. უსაინ ბოლტი (იამაიკა) 9,69 (მსოფ. რეკორდი)
2. რიჩარდ ტომპსონი (ტრინიდადი და ტობაგო) 9,89
3. უოლტერ დიქსი (აშშ) 9,91

### ქალები. მარათონი (42,195კმ)
1. კონსტანტინა ტომასკუ დიტა (რუმინეთი) 2:26.44
2. ვინსეტერინე ნიამბურა ნდერება (კენია) 2:27.06
3. ჩუნქსიუ ჟოუ (ჩინეთი) 2:27.07

### ქალები. 3 000 მ. წინაღობებით
1. გულნარა გალკინა-სამიტოვა (რუსეთი) 8.58,81 (მსოფ. რეკორდი)
2. იუნის ჯეპკორირ კერტიჩი (კენია) 9.07,41
3. ეკატერინა ვოლკოვა (რუსეთი) 9.07,64

### კაცები. უროს ტყორცნა
1. პრიმოჟ კოზმუსი (სლოვენია) 82,02
2. ვადიმ დევიატოვსკი (ბელარუსი) 81,61
3. ივან ტიხონი (ბელარუსი) 81,51

### ქალები. 100 მ
1. შეილ-ენ ფრეზერი (იამაიკა) 10,78
2. კირონ სტიუარტი (იამაიკა) 10,98
2. შერონ სიმპსონი (იამაიკა) 10,98

### ქალები. სამხტომი
1. ფრანსუაზა მბანგო ეტონე (კამერუნი) 15,39 (ოლიმპ. რეკორდი)
2. ტატიანა ლებედევა (რუსეთი) 15,32
3. ხრიზოფიი დევეცი (საბერძნეთი) 15,23

### კაცები. 10 000 მ
1. კენენისა ბეკელე (ეთიოპია) 27.01,17 (ოლიმპ. რეკორდი)
2. სელეში სიჰინე (ეთიოპია) 27.02,77
3. ნისაჰ კიპკემბოი (კენია) 27.04,11

## ფარიკაობა

### ქალები. რაპირა. გუნდური
1. რუსეთი (ევგენია ლამონოვა, სვეტლანა ბოიკო, აიდა შანეევა, ვიქტორია ნიკიჩინა)
2. აშშ (ანა ტომპსონი, ერინ სმარტი, ემილი კროსი)
3. იტალია (მარგარიტა გრანბასი, ვალენტინა ვეზალი, ილარია სალვატორი)

### კაცები. ხმალი. გუნდური
1. საფრანგეთი (ჟულიენ პირე, ნიკოლა ლოპესი, ბორის სენსონი)
2. აშშ (ჯეიმს უილიამსი, კეიტ სმარტი, ჯეისონ როჯერსი, ტიმ მორჰაუზი)
3. იტალია (ალდო მონტანო, დიეგო ოკუზი, ლუიჯი ტარანტინო, ჯამპიერო პასტორე)

## აფროსნობა

### ქალები. ინგლინგი
1. დიდი ბრიტანეთი (სარა ეიტონი, პიპა ვილსონი, სარა ვები) 24
2. ჰოლანდია (მენდი მულდერი, (მერილ ვიტევენი, ანემიკ ბესი) 31
3. საბერძნეთი (სოფია ბეკატორუ, სოფია პაპადოპულო, ვირგილია კრავალიტი) 48

### კაცები. ფინი
1. ბენ ეინსლი (დიდი ბრიტანეთი) 23
2. ზაკ რეილი (აშშ) 45
3. გიიომ ფლორენი (საფრანგეთი) 58

### მიქსტი. 49
1. იონას ვესერი, მარტინ იბსენი (დანია)
2. იკერ მარტინესი, ხავიერ ფერნანდესი (ესპანეთი)
3.იან-პეტერ პეკოლტი, ჰანს პეკოლტი (გერმანია)

## ბადმინტონი

### ქალები
1. ნინ ჟენგი (ჩინეთი)
2. ქსინფან ქსი (ჩინეთი)
3. მარია-კრისტინ იულარტი (ინდონეზია)

### კაცები. წყვილები
1. მარკიზ კიდო, ჰენდრა სეტიავანი (ინდონეზია)
2. ჰაიფენ ფუ, იუნ კაი (ჩინეთი)
3. ჯიაინ ლი, ჯიმენ ჰვანგი (სამხრეთ კორეა)

### მიქსტი
1. ჰოუიონგ ლი, ინგ დი ლი (სამხრ. კორეა)
2. ნოვა ვიდარტო, ლილიანა ნასირი (ინდონეზია)
3. იან იუ, ჰენბინ ჰი (ჩინეთი)

### კაცები. პირადი
1. დან ლინი (ჩინეთი)
2. ჩონგ ვეი ლი (მალაიზია)
3. ინ ჩენი (ჩინეთი)

## ფრენბურთი

კაცები. ჯგუფური ეტაპის IV ტური

A ჯგუფი

აშშ — ჩინეთი 3:0 (25:22, 25:12, 25:18); იტალია — ბულგარეთი 3:0 (25:20, 25:21; 25:16); ვენესუელა — იაპონია 3:0 (25:23, 25:21, 25:23)

*აშშ 4 მოგება; იტალია 3; ბულგარეთი, ჩინეთი 2-2; ვენესუელა 1; იაპონია 0*

B ჯგუფი

რუსეთი — ეგვიპტე 3:0 (25:19, 25:14, 25:18); სერბეთი — გერმანია 3:1 (25:21, 27:25, 24:26, 25:23); ბრაზილია — პოლონეთი 3:0 (30:28, 25:19, 25:19)

*რუსეთი 4 მოგება; ბრაზილია, პოლონეთი 3-3; გერმანია, სერბეთი 1-1; ეგვიპტე 0*

ქალები. ჯგუფური ეტაპის V ტური

A ჯგუფი

კუბა — ვენესუელა 3:0 (25:20, 25:20, 25:19); აშშ — პოლონეთი 3:2 (18:25, 25:21, 19:25, 25:19, 15:13); ჩინეთი — იაპონია 3:0 (26:24, 25:16, 25:14)

კუბა 5 მოგება; აშშ 4; ჩინეთი 3; იაპონია 2; პოლონეთი 1; ვენესუელა 0

B ჯგუფი

ყაზახეთი — ალჟირი 3:1 (25:18, 25:20, 17:25, 25:16); ბრაზილია — იტალია 3:0 (25:16, 25:22, 25:17); რუსეთი — სერბეთი 3:0 (25:21, 25:16, 25:20)

*ბრაზილია 5 მოგება; იტალია 4; რუსეთი 3; სერბეთი 2; ყაზახეთი 1; ალჟირი*

## ქვეყნები და მედლები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ჩინეთი | 35 | 13 | 13 | 61 |
| აშშ | 19 | 21 | 25 | 65 |
| დიდი ბრიტანეთი | 11 | 6 | 18 | 25 |
| გერმანია | 9 | 6 | 6 | 21 |
| ავსტრალია | 8 | 10 | 11 | 29 |
| სამხ. კორეა | 8 | 9 | 5 | 22 |
| იაპონია | 8 | 5 | 7 | 20 |
| რუსეთი | 7 | 12 | 12 | 31 |
| იტალია | 6 | 6 | 6 | 18 |
| უკრაინა | 5 | 3 | 6 | 14 |
| საფრანგეთი | 4 | 9 | 12 | 25 |
| რუმინეთი | 4 | 1 | 3 | 8 |
| ესპანეთი | 3 | 2 | 1 | 6 |
| სლოვაკეთი | 3 | 1 | - | 4 |
| ჰოლანდია | 2 | 4 | 4 | 10 |
| პოლონეთი | 2 | 3 | 1 | 6 |
| ჩეხეთი | 2 | 3 | - | 5 |
| იამაიკა | 2 | 2 | - | 4 |
| კანადა | 2 | 1 | 4 | 7 |
| ჩრდ. კორეა | 2 | 1 | 3 | 6 |
| ახ. ზელანდია | 2 | 1 | 2 | 5 |
| ეთიოპია | 2 | 1 | - | 3 |
| შვეიცარია | 2 | - | 3 | 5 |
| საქართველო | 2 | - | 1 | 3 |
| კუბა | 1 | 3 | 4 | 8 |
| ყაზახეთი | 1 | 3 | 4 | 8 |
| ზიმბაბვე | 1 | 3 | - | 4 |
| აზერბაიჯანი | 1 | 2 | 2 | 5 |
| ნორვეგია | 1 | 2 | 1 | 4 |
| ინდონეზია | 1 | 1 | 3 | 5 |
| სლოვენია | 1 | 1 | 2 | 4 |
| ბულგარეთი | 1 | 1 | 1 | 3 |
| ფინეთი | 1 | 1 | 1 | 3 |
| მონღოლეთი | 1 | 1 | - | 2 |
| ბრაზილია | 1 | - | 4 | 5 |
| დანია | 1 | - | 3 | 4 |
| კამერუნი | 1 | - | - | 1 |
| ინდოეთი | 1 | - | - | 1 |
| ტაილანდი | 1 | - | - | 1 |
| ტუნისი | 1 | - | - | 1 |
| უნგრეთი | - | 4 | 1 | 5 |
| ბელარუსი | - | 3 | 7 | 10 |
| შვედეთი | - | 3 | - | 3 |
| თურქეთი | - | 2 | 1 | 3 |
| კენია | - | 2 | 1 | 3 |
| ავსტრია | - | 1 | 2 | 3 |
| საბერძნეთი | - | 1 | 2 | 3 |
| ალჟირი | - | 1 | 1 | 2 |
| კოლუმბია | - | 1 | 1 | 2 |
| ხორვატია | - | 1 | 1 | 2 |
| ყირგიზეთი | - | 1 | 1 | 2 |
| სერბეთი | - | 1 | 1 | 2 |
| უზბეკეთი | - | 1 | 1 | 2 |
| ჩილე | - | 1 | - | 1 |
| ეკვადორი | - | 1 | - | 1 |
| ესტონეთი | - | 1 | - | 1 |
| მალაიზია | - | 1 | - | 1 |
| სინგაპური | - | 1 | - | 1 |
| ტრინ. და ტობაგო | - | 1 | - | 1 |
| ვიეტნამი | - | 1 | - | 1 |
| სომხეთი | - | - | 5 | 5 |
| ტაივანი | - | - | 2 | 2 |
| არგენტინა | - | - | 1 | 1 |
| ეგვიპტე | - | - | 1 | 1 |
| ლიტვა | - | - | 1 | 1 |
| მექსიკა | - | - | 1 | 1 |
| ტაჯიკეთი | - | - | 1 | 1 |
| ტოგო | - | - | 1 | 1 |

## ბალახის ჰოკეი

ქალები. ჯგუფური ეტაპის IV ტური

A ჯგუფი

ჩინეთი — სამხრეთ კორეა 6:1; ჰოლანდია — ავსტრალია 2:1; ესპანეთი — სამხრეთ აფრიკა 1:0

*ჰოლანდია 12 ქულა; ჩინეთი, ავსტრალია 9-9; ესპანეთი 6; სამხრეთ კორეა, სამხრეთ აფრიკა 0-0*

B ჯგუფი

აშშ — ახალი ზელანდია 4:1; არგენტინა — გერმანია 4:0; დიდი ბრიტანეთი — იაპონია 2:1

*გერმანია 9 ქულა; არგენტინა 8; დიდი ბრიტანეთი 7; აშშ, იაპონია 4-4; ახალი ზელანდია 0*

კაცები. ჯგუფური ეტაპის IV ტური

A ჯგუფი

სამხრეთ კორეა — ბელგია 3:1; ახალი ზელანდია — ჩინეთი 2:2; გერმანია — ესპანეთი 1:0

*ესპანეთი 9 ქულა; გერმანია 8; ახალი ზელანდია, სამხრეთ კორეა 7-7; ბელგია, ჩინეთი 1-1*

B ჯგუფი

დიდი ბრიტანეთი — კანადა 1:1; ავსტრალია — ჰოლანდია 2:2; პაკისტანი — სამხრეთ აფრიკა 3:1

*ავსტრალია, ჰოლანდია 10-10; დიდი ბრიტანეთი 7; პაკისტანი 6; კანადა 1; სამხრეთ აფრიკა 0*

## წყალბურთი

კაცები. ჯგუფური ეტაპის IV ტური

A ჯგუფი

საბერძნეთი — კანადა 13:7; ესპანეთი — ჩერნოგორია 12:6; უნგრეთი — ავსტრალია 13:12

*უნგრეთი 7 ქულა; ესპანეთი 6; ჩერნოგორია 5; ავსტრალია, საბერძნეთი 4-4; კანადა 0*

B ჯგუფი

გერმანია — იტალია 8:7; აშშ — ხორვატია 7:5; სერბეთი — ჩინეთი 15:5

*აშშ 8 ქულა; ხორვატია, სერბეთი, გერმანია 6-6; იტალია 2; ჩინეთი 0*

ქალები. პლეი ოფი

ავსტრალია — ჩინეთი 12:11; ჰოლანდია — იტალია 13:11

## ბეისბოლი

ჯგუფური ეტაპის IV ტური

აშშ — კანადა 5:4; კუბა — ტაივანი 1:0; ჰოლანდია ჩინეთი 6:4; იაპონია — სამხრეთ კორეა 5:3

გამოტოვებული მატჩი

სამხრეთ კორეა — ჩინეთი 1:0

*კუბა, სამხრეთ კორეა, 4-4 მოგება, იაპონია, აშშ 2-2; ჩინეთი, კანადა, ჰოლანდია, ტაივანი 1-1*

## კალათბურთი

კაცები. ჯგუფური ეტაპის IV ტური

A ჯგუფი

ავსტრალია — რუსეთი 95:80; ლიტვა — ხორვატია 86:73; არგენტინა — ირანი 97:82

*ლიტვა 4 მოგება; არგენტინა 3; ავსტრალია, ხორვატია 2-2; რუსეთი 1; ირანი 0*

B ჯგუფი

საბერძნეთი — ანგოლა 102:61; აშშ — ესპანეთი 119:82; ჩინეთი — გერმანია 59:55

*აშშ 4 მოგება; ესპანეთი 3; საბერძნეთი, ჩინეთი 2-2; გერმანია 1; ანგოლა 0*

ქალები. ჯგუფური ეტაპის V ტური

A ჯგუფი

ავსტრალია — რუსეთი 75:55; სამხრეთ კორეა — ლატვია 72:68; ბრაზილია — ბელარუსი 68:53

*ავსტრალია 5 მოგება; რუსეთი 4; ბელარუსი, სამხრეთ კორეა 2-2; ლატვია, ბრაზილია 1-1*

B ჯგუფი

ესპანეთი — მალი 79:47; ჩინეთი — ჩეხეთი 79:63; აშშ — ახ. ზელანდია 96:60

*აშშ 5 მოგება; ჩინეთი 4; ესპანეთი 3; ჩეხეთი 2; ახ. ზელანდია 1; მალი 0*

## ხელბურთი

კაცები. ჯგუფური ეტაპის IV ტური

A ჯგუფი

ბრაზილია — ჩინეთი 29:22; საფრანგეთი — ესპანეთი 28:21; პოლონეთი — ხორვატია 27:24

*საფრანგეთი 8 ქულა; პოლონეთი 6; ხორვატია, ესპანეთი 4-4; ბრაზილია 2; ჩინეთი 0*

B ჯგუფი

სამხრეთ კორეა — ეგვიპტე 24:22; რუსეთი — გერმანია 24:24; დანია — ისლანდია 32:32

*ს.კორეა 6 ქულა; ისლანდია, გერმანია 5-5; დანია 4; რუსეთი 3; ეგვიპტე 1*

ქალები. ჯგუფური ეტაპის V ტური

A ჯგუფი

ყაზახეთი — ალჟირი 24:24; ნორვეგია — რუმინეთი 24:23; ჩინეთი — საფრანგეთი 21:18

*ნორვეგია 10 ქულა; რუმინეთი 8; საფრანგეთი, ჩინეთი 4-4; ყაზახეთი 3; ანგოლა 1*

B ჯგუფი

შვედეთი — ბრაზილია 25:22; რუსეთი — გერმანია 30:29; სამხრეთ კორეა — უნგრეთი 33:22

*რუსეთი 9 ქულა; სამხრეთ კორეა 7; უნგრეთი 5; შვედეთი 4; ბრაზილია 3; გერმანია 2*

## სოფტბოლი

ჯგუფური ეტაპის V ტური

იაპონია — ჩინეთი 3:0; აშშ — ტაივანი 7:0; ავსტრალია — ჰოლანდია 8:0; ვენესუელა — კანადა 2:0

ჯგუფური ეტაპის VI ტური

ტაივანი — ჩინეთი 2:1; იაპონია — ვენესუელა 5:2; ავსტრალია — კანადა 4:0; აშშ — ჰოლანდია 8:0

*აშშ 6 მოგება; იაპონია 5; ავსტრალია 4; კანადა 3; ჩინეთი, ტაივანი, ვენესუელა 2-2; ჰოლანდია 0*

# თამაშების განრიგი

18 აგვისტო, ორშაბათი

**მძლეოსნობა**

ქალები — 800მ — ფინალი
ქალები — ჭოკით ხტომა — ფინალი
ქალები — ბადროს ტყორცნა — ფინალი
ქალები — უროს ტყორცნა — კვალიფიკაცია
ქალები — 100მ თარჯრბენი — ნახევარფინალი
ქალები — 400მ თარჯრბენი — ნახევარფინალი
კაცები — 3000მ სტიპლჩეიზი — ფინალი
კაცები — 400მ თარჯრბენი — ფინალი
კაცები — სიგრძეზე ხტომა — ფინალი
კაცები — 400მ — კვალიფიკაცია
კაცები — სამხტომი — კვალიფიკაცია
კაცები — 200მ — კვალიფიკაცია
კაცები — 110მ თარჯრბენი — კვალიფიკაცია

**ბეისბოლი**

ჯგუფური ეტაპის V ტური

**კალათბურთი**

კაცები — ჯგუფური ეტაპის V ტური

**პლაჟის ფრენბურთი**

კაცები — მეოთხედფინალი

**ფრენბურთი**

კაცები — ჯგუფური ეტაპის V ტური

**კრივი**

54 კგ — მეოთხედფინალი
57 კგ — მეოთხედფინალი
+91 კგ — მეოთხედფინალი

**ნიჩბოსნობა: ბაიდარა და კანოე**

ქალები — ოთხადგილიანი ბაიდარა, 500მ — კვალიფიკაცია
კაცები — ერთადგილიანი კანოე, 1000მ — კვალიფიკაცია
კაცები — ერთადგილიანი ბაიდარა, 1000მ — კვალიფიკაცია
კაცები — ორადგილიანი ბაიდარა, 1000მ — კვალიფიკაცია
კაცები — ორადგილიანი კანოე, 1000მ — კვალიფიკაცია
კაცები — ოთხადგილიანი ბაიდარა, 1000მ — კვალიფიკაცია

**ველორბოლა. ტრეკი**

ქალები — ქულებზე რბოლა — ფინალი
ქალები — სპრინტი — მეოთხედფინალი
კაცები — სპრინტი — მეოთხედფინალი
კაცები — გუნდური გამოდევნება — ფინალი

**წყალში ხტომა**

კაცები. პირადი — 3-მეტრიანი ტრამპლინი — კვალიფიკაცია

**ცხენოსნობა**

კონკური — პირადი — კვალიფიკაცია
კონკური — გუნდური — ფინალი

**ფეხბურთი**

ქალები — ნახევარფინალი

**სპორტული ტანვარჯიში**

ქალები — ორძელი — ფინალი
კაცები — ხტომები — ფინალი
კაცები — რგოლები — ფინალი

**ბატუტზე ხტომა**

ქალები — ფინალი

**ხელბურთი**

კაცები — ჯგუფური ეტაპის V ტური

**ბალახის ჰოკეი**

ქალები — ჯგუფური ეტაპის V ტური

**აფროსნობა**

ქალები — 470 — ფინალი
ქალები — ვინდსერფი — მე-9 და მე-10 გაცურვა
კაცები — 470 — ფინალი
კაცები — ვინდსერფი — მე-9 და მე-10 გაცურვა

**სოფტბოლი**

ჯგუფური ეტაპის VII ტური

**სინქრონული ცურვა**

წყვილები — ტექნიკური პროგრამა

**წყალბურთი**

კაცები — ჯგუფური ეტაპის V ტური

**მაგიდის ჩოგბურთი**

ქალები, პირადი — კვალიფიკაცია
კაცები, გუნდური — ფინალი

**ტრიატლონი**

ქალები — ფინალი

**ძალოსნობა**

კაცები — 105 კგ — ფინალი

# სარგებელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. კონფერენსი | | | | | | |
| | | 18 აგვისტო | | | | | | |
| 18:00 | 47 | ტორკი-ებსფლითი | 1.75 | 3.20 | 4.35 | 1.13 | 1.24 | 1.84 |
| | | გერმანია. II ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 18 აგვისტო | | | | | | |
| 22:45 | 122 | დუისბურგი-ჰანზა | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| | | შვეიცარია. ჩელენჯლიგა | | | | | | |
| | | 18 აგვისტო | | | | | | |
| 22:00 | 436 | შაფჰაუზენი-შო დე ფონი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| | | საფრანგეთი | | | | | | |
| | | II დივიზიონი | | | | | | |
| | | 18 აგვისტო | | | | | | |
| 22:45 | 437 | ამიენი-მეცი | 2.80 | 2.80 | 2.60 | 1.39 | 1.34 | 1.34 |
| | | ჩეხეთი. გამბრინუს ლიგა | | | | | | |
| | | 18 აგვისტო | | | | | | |
| 22:00 | 438 | ლიბერეცი-ტეპლიცე | 1.95 | 3.10 | 3.80 | 1.19 | 1.28 | 1.70 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | შვედეთი. სუპერეტა | | | | | | |
| | | 18 აგვისტო | | | | | | |
| 21:00 | 324 | დეგერფორსი-იორგრიტე | 4.00 | 3.40 | 1.75 | 1.83 | 1.21 | 1.15 |
| 21:00 | 325 | ქვიდინგი-ენჩიოპინგი | 1.70 | 3.40 | 4.40 | 1.13 | 1.22 | 1.91 |
| | | ოლიმპიადა. ფეხბურთი ქალები | | | | | | |
| | | 18 აგვისტო | | | | | | |
| 14:00 | 430 | ბრაზილია-გერმანია | 2.50 | 3.10 | 2.55 | 1.38 | 1.26 | 1.39 |
| 17:00 | 431 | იაპონია-აშშ | 4.70 | 3.50 | 1.60 | 2.00 | 1.19 | 1.09 |
| | | ოლიმპიადა. ფრენბურთი კაცები | | | | | | |
| | | 18 აგვისტო | | | | | | |
| 16:00 | 432 | ჩინეთი-იტალია | 4.50 | 1.10 | | | | |
| 18:00 | 433 | იაპონია.-აშშ.. | 5.50 | 1.05 | | | | |
| | | ოლიმპიადა. წყალბურთი კაცები | | | | | | |
| | | 18 აგვისტო | | | | | | |
| 11:15 | 434 | საბერძნეთი-ესპანეთი | 6.00 | 8.00 | 1.20 | | | |
| 12:45 | 435 | ჩინეთი-ხორვატია | 12.00 | 15.00 | 1.01 | | | |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10122 | დუისბურგი-ჰანზა | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10324 | დეგერფორსი-იორგრიტე | 4.40 | 2.00 | 2.20 | 1.37 | 1.46 | 1.04 |
| 10325 | ქვიდინგი-ენჩიოპინგი | 2.10 | 2.10 | 4.85 | 1.04 | 1.46 | 1.46 |
| 10430 | ბრაზილია-გერმანია | 3.00 | 2.00 | 3.00 | 1.20 | 1.50 | 1.20 |
| 10431 | იაპონია-აშშ | 5.10 | 2.10 | 2.05 | 1.48 | 1.46 | 1.03 |
| 10437 | ამიენი-მეცი | 3.20 | 2.00 | 2.75 | 1.23 | 1.47 | 1.15 |
| 10438 | ლიბერეცი-ტეპლიცე | 2.35 | 2.00 | 3.80 | 1.08 | 1.45 | 1.31 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15122 | დუისბურგი-ჰანზა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15324 | დეგერფორსი-იორგრიტე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15325 | ქვიდინგი-ენჩიოპინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15430 | ბრაზილია-გერმანია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15431 | იაპონია-აშშ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15437 | ამიენი-მეცი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15438 | ლიბერეცი-ტეპლიცე | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11122 | დუისბურგი-ჰანზა | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11324 | დეგერფორსი-იორგრიტე | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.60 |
| 11325 | ქვიდინგი-ენჩიოპინგი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11430 | ბრაზილია-გერმანია | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11431 | იაპონია-აშშ | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.40 |
| 11437 | ამიენი-მეცი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11438 | ლიბერეცი-ტეპლიცე | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |

## ფრეს გარეშე (ძირითადი დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16122 | დუისბურგი-ჰანზა | 1.40 | 2.55 |
| 16324 | დეგერფორსი-იორგრიტე | 2.90 | 1.32 |
| 16325 | ქვიდინგი-ენჩიოპინგი | 1.24 | 3.60 |
| 16430 | ბრაზილია-გერმანია | 1.80 | 1.85 |
| 16431 | იაპონია-აშშ | 3.30 | 1.25 |
| 16437 | ამიენი-მეცი | 1.95 | 1.65 |
| 16438 | ლიბერეცი-ტეპლიცე | 1.38 | 2.65 |

## გოლი:ლუწი-1თუ კენტი-2
(0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17122 | დუისბურგი-ჰანზა | 1.85 | 1.95 |
| 17324 | დეგერფორსი-იორგრიტე | 1.85 | 1.95 |
| 17325 | ქვიდინგი-ენჩიოპინგი | 1.85 | 1.95 |
| 17430 | ბრაზილია-გერმანია | 1.85 | 1.95 |
| 17431 | იაპონია-აშშ | 1.85 | 1.95 |
| 17437 | ამიენი-მეცი | 1.85 | 1.95 |
| 17438 | ლიბერეცი-ტეპლიცე | 1.85 | 1.95 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14122 | დუისბურგი-ჰანზა | 1.70 | 2.20 |
| 14324 | დეგერფორსი-იორგრიტე | 2.40 | 1.45 |
| 14325 | ქვიდინგი-ენჩიოპინგი | 1.45 | 2.40 |
| 14430 | ბრაზილია-გერმანია | 1.85 | 1.95 |
| 14431 | იაპონია-აშშ | 2.50 | 1.30 |
| 14437 | ამიენი-მეცი | 1.90 | 1.90 |
| 14438 | ლიბერეცი-ტეპლიცე | 1.70 | 2.20 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო)
(2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. | 5და მეტ. |
|---|---|---|---|---|
| 12122 | დუისბურგი-ჰანზა 2,5 | 1.70 | 1.90 | 5.25 |
| 12324 | დეგერფორსი-იორგრიტე 2,5 | 1.90 | 1.70 | 5.00 |
| 12325 | ქვიდინგი-ენჩიოპინგი 2,5 | 1.90 | 1.70 | 5.00 |
| 12430 | ბრაზილია-გერმანია 2,5 | 1.50 | 2.20 | 7.25 |
| 12431 | იაპონია-აშშ 2,5 | 1.70 | 1.90 | 5.25 |
| 12437 | ამიენი-მეცი 2,5 | 1.55 | 2.20 | 6.75 |
| 12438 | ლიბერეცი-ტეპლიცე 2,5 | 1.70 | 1.80 | 5.25 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



თამაზ ბოკერია და პეტარ

რუსული ჯარი საქართველოდან გასვლას არ ჩქარობს, თავხედი მეზობელი სანამ ჩვენს ქვეყანაშია, ნორმალური ცხოვრების საშუალება, ბუნებრივია, არ არსებობს. მოგეხსენებათ, საქართველოს ეროვნული ნაკრები აზერბაიჯანში ჩავიდა ბრიტანული ვიზების ასაღებად და იქაურმა საელჩომ ჩვენების თხოვნა დააკმაყოფილა. ქართველები ლონდონში გუშინ ბაქოდან ჩაფრინდნენ და სწორედ იქ დავუკავშირდით საქართველოს ნაკრების მენეჯერ თამაზ ბოკერიას.

# 14 ქართველი და ვიზები
## ექტორ კუპერი უკვე იქ არის

— თითქმის შეუძლებელი შევძელით და უკვე ბრიტანეთში ვართ. მინდა, მადლობა გადავუხადო აზერბაიჯანის მთავრობას გაწეული დახმარებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ამ დღეებში ავტობუსით 17 საათი ვიმგზავრეთ, უელსთან თამაშისთვის მაინც ოპტიმისტურად ვართ განწყობილნი. ახლა ავტობუსით მივემგზავრებით უელსისკენ.

— თქვენთან ერთად ამჟამად რამდენი ფეხბურთელია?

— თოთხმეტი: გიორგი მაკარიძე, გიორგი ლორია, როინ კვასხვაძე, უჩა ლობჟანიძე, მალხაზ ასათიანი, ალექსანდრე კვახაძე, ირაკლი კლიმიაშვილი, დავით ოდიკაძე, ლევან ხმალაძე, დავით დევდარიანი, დავით მუჯირი, ბექა გოცირიძე, ლევან მჭედლიძე და რატი ალექსიძე. დღეს უნდა შემოგვიერთდნენ ლევან ყენია და ალექსანდრე იაშვილი, ხვალ დილით ჩვენთან იქნება ზურაბ ხიზანიშვილი. გერმანიაში ბრიტანეთის ვიზა უნდა აიღონ ლევან კობიაშვილმა და მათე ღვინიანიძემ და, სავარაუდოდ, საღამოს ისინიც გუნდთან ერთად იქნებიან. სამწუხაროდ, დიმიტრი ტატანაშვილი სავიზო პრობლემის გამო არ იქნება.

— ექტორ კუპერი როდის ჩამოვა უელსში?

— ჯერ ზუსტად არ ვიცით, სავარაუდოდ, დღეს, აქაური დროით 18 საათზე, გუნდს სავარჯიშოდ პეტარ სეგრტი გაიყვანს. მოგეხსენებათ, მატჩი ქალაქ სუონსშია და აქვე „თაუერზ ოტელში“ დავბინავდებით.

— როგორც შევიტყვეთ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი უეფაშია საქმიანი ვიზიტით. ის ჩამოვა უელსში?

— ახალკაცი ხვალ გეგმავს უელსში ჩამოსვლას.

**ნუკრი ლოლაძე**

P.S. თამაზ ბოკერიას გუშინ გვიან საღამოს ერთხელ შევეხმიანეთ და უკვე უელსში მყოფმა, ეს გვითხრა: „ნორმალურად ვიმგზავრეთ და სასტუმროში დავბინავდით. საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ექტორ რაულ კუპერიც ჩვენთან ერთადაა. ახლა მსუბუქი ვარჯიში იქნება, ბიჭები მხოლოდ იძუნძულებენ“.

# რატი, გოლი!
## დათარსული წელიწადი დასრულდა



**შარშან** ივნისში „ამერი“ ჩეხურ შეკრებაზე იმყოფებოდა. თბილისის რამდენიმე ტესტ მატჩი გამართეს და პირველივე შეხვედრაში, 30 ივნისს „ლიბერეცთან“, ამერელმა რატი წინამძღვრიშვილმა მუხლის უმძიმესი ტრავმა მიიღო. მას ორი ოპერაცია დასჭირდა, რომელიც ჩეხეთშივე გაიკეთა და რეაბილიტაციამაც ერთი წელი წაიღო. რატის ამბებს პერიოდულად გამცნობდით.

გუშინ კი, წელიწადი და ორი თვის შემდეგ, რატიმ პირველად ჩაიცვა „ამერის“ მაისურა და დაბრუნება გოლით აღნიშნა. „ამერი“ „გაგრას“ გაეჯიბრა ამხანაგურად და სწორედ წინამძღვრიშვილის ერთადერთი გოლით იმარჯვა. რატი მეორე ტაიმში შევიდა და საჯარიმოთი გაიტანა.

ნამატჩევს რატის დაბრუნება მივულოცეთ და კომენტარი ვთხოვეთ: „ბედნიერი ვარ, საყვარელ საქმეს დავუბრუნდი და თან ვგრძნობ, რომ მუხლი ძალიან კარგად მაქვს. დაბრუნების მერე პირველივე მატჩში გოლიც გავიტანე და ესეც, ცხადია, უზომოდ მახარებს. დარწმუნებული ვარ, ყველაფერი კარგად იქნება, ფორმას სულ მალე აღვიდგენ და ბევრ გოლსაც გავიტან.“

ერთიც: რატი ახალ სეზონში 10-ნომრიანი მაისურით ითამაშებს, აქამდე კი 11 ნომერი იყო.

**ნუკრი ლოლაძე**

# მშვიდობა იყოს და...
## აკუასაგამდე ოლიმპი დეკანოსიძით შეივსო



ყველანი სულმოუთქმელად ველით, როდის დატოვებს რუსული ტანკი და ჩექმა საქართველოს. რა თქმა უნდა, ასეთ მდგომარეობაში ქართველი კლუბების უმრავლესობას სრულფასოვანი ვარჯიშის საშუალება არ აქვთ. გუშინ რამდენიმედღიანი შესვენების შემდეგ ვარჯიში განაახლა რუსთავის „ოლიმპმა“. რუსთაველები მწვრთნელმა ხვიჩა ქასრაშვილმა თბილისში „ნორჩ დინამოელზე“ ავარჯიშა.

ვარჯიში არც ისე დატვირთული იყო. წვრთნამ საათსა და თხუთმეტ წუთს გასტანა.

„ოლიმპმა“ კიდევ ერთი ახალი ფეხბურთელი შეიმატა — ყოფილი ამერელი გიორგი დეკანოსიძე. შეგახსენებთ, რომ მანამდე რუსთაველებმა „ამერიდან“ დენის დობროვოლსკი და თენგიზ ჩიკვილაძე გადაიბირეს. დეკანოსიძემ „ოლიმპთან“ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ვარჯიშის მერე ხვიჩა ქასრაშვილს გავესაუბრეთ.

— ქვეყანაში სამდღიანი გლოვა იყო გამოცხადებული და, რა თქმა უნდა, საწვრთნელი პროცესი შევწყვიტეთ. დღეს განვაახლეთ ვარჯიში. იმედი მაქვს, რუსები მალე დატოვებენ საქართველოს და ნორმალური ცხოვრების საშუალებაც მოგვეცემა.

— გაბონელმა ერნესტ აკუასაგამ საქართველო საომარი მდგომარეობის შექმნის შემდეგ დატოვა. სიტუაციის განმუხტვის შემდეგ დაგიბრუნდებათ?

— მშვიდობა იყოს და, ერნესტი ჩამოვა. მისი ძალიან გვეიმედება.

— დღეს რევაზ გეწაძეს არ უვარჯიშია...

— მან ცხვირი გაიტეხა და მკურნალობს.

— უახლოეს დღეებში ტესტ-მატჩი ხომ არ გაქვთ დაგეგმილი?

— ჯერ ვერაფერს გეტყვით. ჩვენთვის ჯერ არ არის ცნობილი როდის დაიწყება ჩემპიონატი, როდის ჩატარდება თასის მატჩები. საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა უახლოეს დღეებში შეგვატყობინებს, რა და როგორ და, ჩვენც ამის მიხედვით ვიმოქმედებთ.

**ნუკრი ლოლაძე**



შოთა და თამუნა არველაძეები

# ძმები არველაძეები ვეტერანებს რაზმავენ

**ქვეყანაში** მიმდინარე მოვლენებს არველაძეების ფონდიც გამოეხმაურა. შოთა არველაძის ინიციატივით, სავარაუდოდ 11 სექტემბერს, „ალკმაარისა“ და „აიაქსის“ ვეტერანების საქველმოქმედო მატჩი გაიმართება და შემოსული თანხა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტისას დაზარალებულ ადამიანებს მოხმარდება.

ასევე დაგეგმილია „ტრაბზონსფორისა“ და თბილისის „დინამოს“ საქველმოქმედო მატჩიც, რომელიც ტრაპიზონში გაიმართება. შეხვედრის თარიღი ჯერ კიდევ დგინდება. ფონდის ცნობით, შოთა არველაძის მეუღლე თამუნა მელაძე უკვე შეხვდა ტრაპიზონის მერს და გადაწყდა, რომ ამ ქალაქის მთავრობა საქართველოში ოთხი სატვირთო მანქანით გამოგზავნის ჰუმანიტარულ დახმარებას. ნახსენებ საქველმოქმედო მატჩში შოთა და არჩილ არველაძეებიც ითამაშებენ.

„ფონდ არველაძემ“ უკვე გამოყო დიდი რაოდენობის ტანსაცმელი დაზარალებულთათვის და მათთვის ფულადი დახმარებაც არ დავიწყებია — 10 000 ლარი.

რუსი აგრესორების მოქმედებას და საქართველოსთვის მიყენებული ზარალის გამო შემოწირულობების მიღებას ეროვნული ნაკრების კაპიტნის, კახა კალაძის ფონდიც იწყებს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ხუან რომან რიკელმე ოლიმპიადამ გააოცა



**ხუან რომან რიკელმეს ზედმეტი წარდგენა არ სჭირდება. „ბოკა ხუნიორსის“ პლეიმეიკერი არგენტინის ნაკრებს ჩინეთის ოლიმპიადაზე კაპიტნობს და თანამემამულეებთან ერთად ტურნირის მოგების იმედი აქვს. მას fifa.com-ის ჟურნალისტი გაესაუბრა**

**— თქვენ უამრავ პრესტიჟულ ტურნირზე გითამაშიათ, ოლიმპიადაზე კი პირველად ხართ. როგორი შეგრძნებაა?**

— თამამად შემიძლია გითხრათ: მგონია, რომ აქამდე არაფერი გამიკეთებია. ვერც კი აღვწერ, როგორი გრძნობაა, როცა ოპლიმპიურ სოფელში შედიხარ. გაგვიმართლა და მიხარია, რომ კვლავ აქ ვართ და ვხვდებით სპორტსმენებს მთელი მსოფლიოდან. ჩემთვის ეს დაუჯერებელი რამაა და დიდ სიამოვნებას ვიღებ. მსგავსი რამ აქამდე არასოდეს გამომიცდია.

**— ვისი ნახვა იყო თქვენთვის სიურპრიზი?**

— პირველ დღეს, როცა ჩამოვედით, გაგვიმართლა და კობი ბრაიანტი მოვიდა. მან ჩვენთან ერთად ისადილა. ბევრი სურათი გადავიღეთ და კობიმ გვითხრა, რომ არგენტინული ფეხბურთი ძალიან მოსწონს. ეს მოულოდნელი იყო. შემდგომ დღეებში ჩოგბურთელებთან, ჰოკეისტებთან და ძიუდოისტებთან ერთადაც კი ვისადილეთ. სიმართლე გითხრათ, დიდ სიამოვნებას ვიღებთ ამ ყველაფრისგან, რადგან ოლიმპიადა აბსოლუტურად განსხვავდება სხვა დიდი ტურნირებისგან, რომლების მსვლელობისასაც სასტუმროში ხარ გამოკეტილი და უმკაცრესი გრაფიკი გაქვს. ახალ და საჭირო გამოცდილებასაც ვიღებთ და ეს ყველაფერი შთამბეჭდავია.

**— თქვენი ნაკრების თამაშსა და შანსებს როგორ შეაფასებთ?**

— კარგად გამოვიყურებით, დღითიდღე ვუმატებთ. მშვიდად და თავდაჯერებულად მივდივართ წინ, მაგრამ გვესმის, რომ ერთი შეცდომის უფლებაც არ გვაქვს. ჩვენი მიზანი აქ 23 აგვისტომდე დარჩენა და ოქროს მედლების მოპოვებაა.

**— კაპიტნის რანგში როგორ გრძნობთ თავს?**

— ნორმალურად, რადგან იგივე საქმის კეთება მიწევს, რასაც ადრე ვაკეთებდი. არ აქვს მნიშვნელობა, კაპიტნის სამკლავური გიკეთია თუ არა, ამოცანა იგივეა — დაეხმარო თანაგუნდელებს, მთლიანად გუნდს და მაქსიმალურად დაიხარჯო. გამიმართლა, რომ 23 წელს გადაცილებულ იმ სამ ფეხბურთელს შორის მოვხვდი, რომელიც მწვრთნელმა აირჩია და ახლა ვცდილობ, დავამტკიცო, რომ ამის ღირსი ვიყავი. დანარჩენი უკვე მობილიზაციის საქმეა — ფინალში უნდა გავიდეთ.

**— მართალია, ძალიან გსიამოვნებთ ჩინეთში ოლიმპიადაზე ყოფნა, მაგრამ დიდი ხანია, ოჯახისგან მოწყვეტილი ხართ და ეს ალბათ ადვილი არ არის. გაქვთ კონტაქტი ოჯახის წევრებთან?**

— ყოველდღე. ცხადია, მენატრება ბავშვები, მშობლები, მეგობრები, მაგრამ მაინც მიხარია, აქ რომ ვარ. ისიც ვიცი, რომ მათაც უხარიათ ჩემი აქ ყოფნა და წარმატება. ვცდილობ, ყველაფერი გავუზიარო და გადავცე მათ. კარგად ესმით, რომ ოლიმპიადა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია და, შესაბამისად, ისევე ბედნიერები არიან, როგორც მე. იმედია, ყველაფერი კარგად ჩაივლის და ბოლოს ერთად ვიამაყებთ რალაცით.

**— ბავშვებიახსენეთ და თქვენმა შვილებმა თუ იციან, რომ მამა ვარსკვლავი ჰყავთ?**

— დიახ, იციან, ვინ ვარ და რას ვაკეთებ. ჩემი ბიჭი ექვსი წლისაა და ფეხბურთზე უკვე გიჟდება. „ბოკას“ კარში ვინმე გოლს რომ გაიტანს, ტირილს იწყებს. მან ზეპირად იცის არგენტინის ნაკრების ფეხბურთელების გვარები. ეს ძალიან მოსწონს.

**— ფეხბურთს თუ თამაშობს?**

— კი და მოწონს კიდეც. თუ მომავალში ფეხბურთელობას გადაწყვეტს, ყველაფერ საუკეთესოს ვუსურვებ. თუმცა, თუ სხვა რამეს აირჩევს, იმედია, ეს ისეთი რამ იქნება, რისგანაც მაქსიმალურ სიამოვნებას მიიღებს.

**— ხომ არ შეპირებიხართ ოჯახის წევრებს რომელიმე მედლის ჩატანას?**

— ყველა ყოველთვის მაქსიმუმზე და საუკეთესოზე ფიქრობს, მით უმეტეს, როცა თავის ქვეყანას წარმოადგენ. იმედია, ასე, დღითიდღე გავაუმჯობესებთ თამაშს, ფინალში გავალთ და კარგ ფორმაში ვიქნებით. ოქროს მედლების მოპოვება გვინდა, სწორედ ამიტომ ვართ აქ. თუ ეს მოხდა, საოცარი იქნება და ჩვენთან ერთად მთელ არგენტინას გავახარებთ.

# საოცარი მესი და გმირი ბელგიელები



**მეოთხედფინალი**

**იტალია 2:3 ბელგია**

**1:0 როსი (17პ), 1:1 დემბელე (24), 1:2 მირალასი (45), 2:2 როსი (74პ), 2:3 დემბელე (79)**

**იტალია:** ვივიანო, მოტა (კონსილი 81), დე ჩელიე, ნოჩერინო, ჩიგარინი (აბატე 61; კანდრევა 83), კრიშიტო, მონტოლივო, ჯოვინკო, როსი, ბოკეტი, აკვაფრესკა

**მწვრთნელი:** პიერლუიჯი კაზირაგი

**ბელგია:** ბეილი (მა-კალამბე 68), დე რუვერი, ვერმალენი, პოკონიოლი, დე მული (მუელმო 94), ჰარუნი, მირალასი, ვერტონენი, მარტენსი (ვანდენ ბორე 65), სიმასი, დემბელე

**მწვრთნელი:** ჟან-ფრანსუა დე სარი

**გაფრთხილება:** როსი, დემბელე, ვერტონენი, მონტოლივო

**გაძევება:** ვერმალენი (17), ვივიანო (80)

**მსაჯი:** ექტორ ბალდასი (არგენტინა)

**50 802 მაყურებელი**

თამამად შეგვიძლია, ბელგიის ნაკრების ფეხბურთელებს გმირები ვუწოდოთ. მათ ტურნირის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტ იტალიასთან შეხვედრის დიდი ნაწილი 10 კაცით ჩაატარეს და მაინც მოიგეს.

ჩვეულად აქტიური სებასტიან ჯოვინკოს წინამძღოლობით, იტალიამ აქტიურად დაიწყო და რამდენიმე მომენტიც შექმნა. ანგარიში კი მე-17 წუთზე გაიხსნა, როცა თომას ვერმალენმა რობერტ აკვაფრესკას წაქცევისთვის წითელი ბარათიც „დაიმსახურა“ და პენალტიც, რომელიც ჯუზეპე როსიმ უნაკლოდ შეასრულა.

ბელგიელები თითქოს განწირულნი ჩანდნენ, მაგრამ იტალიას რალაც დაემართა და 24-ე წუთზე მუსა დემბელემ თავურით გაათანაბრა. ლუკა ჩიგარინიმ ბურთის კარიდან გამოტანა კი შეძლო, მაგრამ ლაინსმენმა აღნიშნა, რომ ბურთმა ხაზი გადაკვეთა. აპენინელთა პროტესტს შედეგი არ მოჰყოლია.

ჯოვინკო მეტოქის მეკარე ლოგან ბეილისთან პირისპირ დარჩა, მაგრამ შანსი ვერ გამოიყენა. ტაიმის მეორე დამატებულ წუთზე კი კევინ მირალასი მოტრიალდა, მეურვე ჩამოიშორა და ემილიანო ვივანოსაც ბრწყინვალედ აჯობა — 2:1.

იტალია მეორე ტაიმის დებიუტიდანვე ეძგერა მეტოქეს და 53-ე წუთზე გოლის გატანაც შეძლო, მაგრამ მსაჯმა არ ჩათვალა — როსი თამაშგარე მდგომარეობაში იყო.

68-ე წუთზე ბელგიელებს მეკარის შეცვლა მოუხდათ, ბეილის ნაცვლად მინდორზე ივ მა-კალამბე შევიდა. აქედან ხუთ წუთში გოლიც გავიდა — ზეპ დე რუვერმა პაოლო დე ჩელიე მოცელა და იტალიამ მეორე პენალტის დარტყმის უფლება მიიღო. როსი არც ამჯერად შეცდა და ანგარიში გაათანაბრა.

ათკაციანმა ბელგიამ საბოლოო დარტყმა იტალიას 79-ე წუთზე მიაყენა. დემბელემ ჩინებულად გაითამაშა ბურთი ენტონი ვანდენ ბორესთან და ეფექტური დარტყმით დააგვირგვინა ეს კომბინაცია. ამის შემდეგ ვივიანომ თამაშის სწრაფად განახლება ისურვა და ბურთისთვის მირალასს წაეჩხუბა, რისთვისაც წითელი ბარათი მიიღო. იტალიას 11 კაცით უჭირდა ათკაციან ბელგიასთან და თავადაც ათი კაცით რომ დარჩნენ, საერთოდ ველარაფერი ვერ გააწყვეს.

**ბრაზილია 2:0დ.დ. კამერუნი**

**1:0 სობისი (101), 2:0 მარსელო (105)**

**ბრაზილია:** რენანი, რაფინია, ალექს სილვა, ერნანეში ტიაგუ ნევეში (66), მარსელო, ანდერსონი, ლუკაში, რონალდინიო, ბრენო, დიეგო (რამირეში 107), სობისი (ჟო 106)

**მწვრთნელი:** კარლოს დუნგა

**კამერუნი:** ტიგნიემბი, ბანინგი, გომსი, ბიკეი, სონგი, მბია (ოლე 17), სონგოო (ნგალი 75), ბეკამენგა (მბუა 88), ბებე, ნკულუ, ჩეჯუ

**მწვრთნელი:** მარტინ ნტუნჯუ

**გაფრთხილება:** ბანინგი, მარსელო, დიეგო, ბიკეი, რაფინია, გომსი, ბრენო, ბეკამენგა, სონგი, ნგალი, ნკულუ, რამირეში

**გაძევება:** ბანინგი (51)

**მსაჯი:** დამირ სკომინა (სლოვენია)

**41 043 მაყურებელი**

ბრაზილიას დიდი ოფლისღვრა დასჭირდა, მაგრამ მაინც შეძლო კამერუნთან გამარჯვება. კარლოს დუნგამ რატომღაც ძირითად შემადგენლობაში არ დააყენა ალეშანდრე პატო და ტიაგუ მენდეში. მოგვიანებით ისინი თამაშში ჩაერთვნენ და „სელესაუც“ უფრო გამოცოცხლდა

კამერუნელები, ძირითადად, საკუთარი კარის დაცვით იყვნენ დაკავებულნი და შორეული დარტყმებით ცდილობდნენ ფონს გასვლას, მაგრამ ძირითად დროში არც მათი და არც ბრაზილიელების მცდელობებმა შედეგი არ გამოიღო, მიუხედავად იმისა, რომ 51-ე წუთზე კამერუნს ალბერ ბანინგი გაუძევეს და აფრიკელები ათი კაცით დარჩნენ. დამატებით დროში კი ბრაზილიამ მაინც გაიტანა თავისი. 101-ე წუთზე დიეგოს ჩინებული შორეული პასი რაფაელ სობისმა შეირგო, აქედან ოთხ წუთში კი, რონალდინიოსა და და ტიაგუ ნევეშის აქტიურობის მერე, მარსელომ წერტილი დასვა.

ნახევარფინალიც ასეთი უნდა: არგენტინა — ბრაზილია. ეს მატჩი ნაადრევ ფინალად არის შერაცხული...

**არგენტინა 2:1დ.დ.(1:1) ჰოლანდია**

**1:0 მესი (14), 1:1 ბაკალი (36), 2:1 დი მარია (105)**

**არგენტინა:** უსტარი (რომერო 75), გარაი, მონსონი, საბალეტა, გაგო, რიკელმე, დი მარია (ბანეგა 106), პარეხა, მასკერანო, მესი, აგერო (ლავეცი 99)

**მწვრთნელი:** სერხიო ბატისტა

**ჰოლანდია:** ვერმეერი, ზუიველოონი, მარსელისი, პიეტერსი, დე გუზმანი, ემანუელსონი, ბაბელი, იონგ-ა-პინი (სიბონი 107), სნო (მადურო 46), დრენტე (ბეერენსი 96), ბაკალი

**მწვრთნელი:** ფოპე დე ჰაანი

**გაფრთხილება:** სნო, პარეხა, მესი, ზუველოონი

**მსაჯი:** იარ მარუფო (აშშ)

**51 366 მაყურებელი**

ნახევარფინალში გასვლას არგენტინა ლიონელ მესის ბრწყინვალე თამაშს უნდა უმადლოდეს. „ალბისელესტე“ ფავორიტად კი ითვლებოდა, მაგრამ ჰოლანდიელებს ხელწამოსაკრავი ნაკრები როდი ჰყავდათ და ცოტა იღბალიც რომ დახმარებოდათ...

ანგარიში მესიმ გახსნა. „ბარსელონას“ ვარსკვლავმა რამდენიმე მეტოქე ჩამოიცილა, მეკარეც მიაწვინა და მართლაც ბრწყინვალე გოლი გამოუვიდა.

არგენტინა საგრძნობ უპირატესობას ფლობდა, მაგრამ „ნარინჯისფერებმა“ გათანაბრება მაინც შეძლეს. 36-ე წუთზე ოტმან ბაკალმა დამატებაზე ივარგა.

ამის შემდეგ, შეხვედრა იმავე სცენარით გაგრძელდა, „ალბისელესტე“ უფრო აქტიური იყო და მომენტებსაც ქმნიდა. გატანა სერხიო აგეროს, ანხელ დი მარიასა და სხვებსაც შეეძლოთ, მაგრამ ძირითად დროში ეს არ მოხდა.

105-ე წუთზე კი მესის დიდებულმა პასმა ჰოლანდიელთა მცველები უქმად დატოვა და დი მარიამაც ეს შანსი ხელიდან აღარ გაუშვა — 2:1.

**ნიგერია 2:0 კოტ დივუარი**

**1:0 ოდემვინგიე (44), 2:0 ობინია (82პ)**

**ნიგერია:** ვანზეკინი, აპამი, ადელეიე, ობასი (აიზეკი 90), კაიტა, ობინა, ოკორონკვო (ჯეიმსი 78), აილორე (ეკპო 86), ადეფემი, ოდემვინგიე, ამბროსე

**მწვრთნელი:** სამსონ სიასია

**კოტ დივუარი:** ანგბანი, ვავა (გუიეგუიე 87), დიარასუბა (მურა-კომენანი 60), ბამბა, ანგუა, კულიბალი, კალუ, კონე, ბაგაიოკო (ჯეჯე 46), გერვინიო, სისე

**მწვრთნელი:** ჟერარ ჟილი

**გაფრთხილება:** დიარსუბა, აპამი, ვანზეკინი, აილორე

**მსაჯი:** მასუდ მორადი (ირანი)

**28 944 მაყურებელი**

აფრიკული მეოთხედფინალი დაძაბული და მწირმომენტიანი გამოდგა. პირველ ტაიმში მეტ-ნაკლებად სახიფათო სულ სამი მომენტი შეიქმნა და „სუპერარწივებმა“ ერთი შანსი გამოიყენეს. პიტერ ოდემვინგიემ ბრწყინვალე დარტყმით იხეირა.

ნიგერიას მეორე ტაიმის დებიუტშივე შეეძლო სხვაობის გაზრდა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. მერე კი ინიციატივა „სპილოებმა“ იგდეს ხელთ და რამდენიმე მწვავე მომენტიც შექმნეს, მაგრამ კოტ დივუარს არ გაუმართლა.

ყველაფერი კი მაშინ დასრულდა, როცა სულეიმან ბამბამ ჩინედუ ობასი მოცელა და ნიგერიელთა კაპიტანმა ვიქტორ ობინიამ პენალტი ზუსტად დაარტყა. ნახევარფინალში „სუპერარწივები“ ბელგიას შეხვდებიან.

**გიორგი ძაძამაძე**

# ჰესკი ნაფტალინიდან



**მომდევნო** კვირაში ინგლისის ნაკრებს ჩეხეთთან აქვს ამხანაგური თამაში და ამ შეხვედრაში მონაწილეობისთვის ფაბიო კაპელომ 23 ფეხბურთელის სია ჩამოწერა. ყველაზე ყურადღებამისაქმცევი ამ სიაში ემილ ჰესკის გამოჩენა გამოდგა. „უიგან ატლეტიკის“ თავდამსხმელი ნაკრებში იკავებს ადგილს, რომელიც, ერთი შეხედვით, „პორტსმუთში“ გადასულ პიტერ კრაუჩს უნდა დაეკავებინა.

ცენტრფორვარდი ბოლოს ნაკრების შემადგენლობაში შარშან სექტემბერში, რუსეთის ნაკრების წინააღმდეგ ვიხილეთ, რის შემდეგაც თვალსაწიელს ჩამოშორდა. ინგლისელთა სარდლის რანგში გამართულ თავის პირველ შეხვედრაში, შვეიცარიელებთან, კაპელომ ჰესკის გამოძახება სცადა, მაგრამ მაშინ თავდამსხმელს ტრავმამ შეუშალა ხელი.

ტრავმა ვახსენეთ და აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ჩეხებთან სწორედ ამ მიზეზით ვერ ითამაშებს მაიკლ ოუენი. არ გაუმართლა დინ ეშტონსაც, რომელმაც შაბათს, კაპელოს თვალწინ, „ვესტ ჰემისა“ და ჰ ესკის გუნდის, „უიგან ატლეტიკის“ შეხვედრაში (2:1), ორი გოლი შეაგდო, მაგრამ ორთავა კუნთი დაიჭიმა.

ასე და ამგვარად, ინგლისულთა ავანგარდში არიან „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფორვარდი უეინ რუნი, არსენალელი თეო უოლკოტი, ზემოხსენებული ჰესკი და ჯერმეინ დეფო „პორტსმუთიდან“, რომელმაც ორი შეაგდო იმ სამი უპასუხო გოლიდან, ინგლისელებმა მაისში ტრინიდადისა და ტობაგოს კარში რომ გატანეს.

ნაკრებში ადგილი შეინარჩუნა „მანჩესტერ სიტის“ მაკარემ ჯო ჰარტმა, რომელიც ტრინიდადთან ხსენებულ შეხვედრაში შეცვლაზე შევიდა — ეს მისი სადებიუტო მატჩი გახლდათ.

გამოცდილმა გოლკიპერმა პოლ რობინსონმა, რომელსაც გასული სეზონი, როგორც ნაკრების, ასევე „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ შემადგენლობაში ჩაუვარდა, „ბლექბერნ როვერსში“ დაიწყო ახალი ცხოვრება. კაპელომ ის ნაკრებში კვლავ გამოიძახა და თუ ათამაშებს კიდეც, რობინსონისთვის 103-ე სანაკრებო შეხვედრა იქნება.

ჩეხებთან გავარჯიშების შემდეგ, ინგლისის ნაკრები 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ შეჯიბრებაში ერთვება. ინგლისელები ანდორასა და ხორვატიას უნდა შეხვდნენ.

**ინგლისის ნაკრები:**

**მეკარეები:** დევიდ ჯეიმსი (პორტსმუთი), პოლ რობინსონი (ბლექბერნი), ჯო ჰარტი (სიტი);

**მცველები:** უეინ ბრიჯი, ეშლი კოული, ჯონ ტერი (ყველა — ჩელსი), უეს ბრაუნი, რიო ფერდინანდი (ორივე — მანჩესტერი), გლენ ჯონსონი (პორტსმუთი), მეტიუ აპსონი (ვესტ ჰემი), ჯონათან ვუდგეიტი (ტოტენჰემი);

**ნახევარმცველები:** სტივენ ჯერარდი (ლივერპული), გარეთ ბერი (ასტონ ვილა), მაიკლ კარიკი (მანჩესტერი), ჯო კოული, ფრენკ ლამპარდი (ორივე — ჩელსი), დევიდ ბენტლი (ტოტენჰემი), დევიდ ბექემი (ლოს ანჯელეს გელექსი, აშშ), სტიუარტ დაუნინგი (მიდლსბრო);

**თავდამსხმელები:** უეინ რუნი (მანჩესტერი), ჯერმეინ დეფო (პორტსმუთი), თეო უოლკოტი (არსენალი), ემილ ჰესკი (უიგანი)

**პაპუნა ძედია**

# მიყიდეთ, მიყიდეთ ჩქარა...

**უცნაურია,** მაგრამ ინგლისური „გარდიანის“ ცნობით კოტდივუარელი ვარსკვლავი დიდიე დროგბა კვლავ არ დამშვიდებულა და იმედოვნებს, რომ სატრანსფერო ბაზრის დახურვამდე ახალ კლუბში გადავა. ზოგადად ცნობილია, რომ „ჩელსის“ ბრაზილიელ თავკაცს ლუიშ ფელიპე სკოლარის დროგბას ლონდონში დატოვება სურს, მაგრამ, მასთან ჭიდაობამ, როგორც ჩანს, დაღალა და საქმე მოსაგვარებლად კლუბის დირექტორატს გადააბარა.

მოგეხსენებათ, დროგბას მუხლი სტკივა, რის გამოც გუშინ, „პორტსმუთთან“, პრემიერლიგის პირველი შეხვედრა გამოტოვა. ამბობენ, რომ კოტდტივუარელი გარდა ტრავმირებულისა გაღიზიანებულიც არის, რადგან მისი შეძენის მსურველმა იტალიურმა და ესპანურმა კლუბებმა „ჩელსის“ ოფისში ოფიციალური მოთხოვნა არ გააგზავნეს. ფეხბურთელთნ დაახლოებულმა ხალხმა ინგლისელ ჟურნალისტებს უთხრა, რომ დროგბას დღეს, როგორც არასდროს, ისე უნდა ლონდონიდან გადასვლა, რის შესახებაც სკოლარისთვის პირდაპირ უთქვამს.

როგორი დამოკიდებულება აქვს ამ ყველაფრისადმი თავად კლუბს? როგორც „ჩელსის“ აღმასრულებელმა დირექტორმა პიტერ კინიონმა განაცხადა, „ლურჯთა“ ოფისი დროგბასთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ აპირებს ანუ ძალაში რჩება ძველი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც თავდამსხმელი კიდევ ორი წლის განმავლობაში უნდა დარჩეს პრემიერლიგის ვიცე-ჩემპიონის შემადგენლობაში. სხვა სიტყვებით კი დროგბას გზა ხსნილი აქვს, შეუძლია შეარჩიოს ახალი კლუბი, იშოვნოს საკმარისი რაოდენობით ფული და თავისი კონტრაქტი დღესვე გამოისყიდოს.



დიდიე დროგბა

კინიონმა ისიც თქვა, რომ „ჩელსი“ ძველებურად ერთგულია იმ პოლიტიკისა, რომელსაც „საუკეთესო მოთამაშეებს არ ვყიდით“ ეწოდება და რომლის წყალობითაც ფრენკ ლამპარდმა ორიოდ დღის წინ უმდიდრეს ხუთწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი.

„რაც ხდება ყოველთვის ფეხბურთელის ბრალი კი არ არის, — თქვა დროგბას საკითხზე საუბრისას ლუიშ ფელიპე სკოლარიმ, — ხშირად სიტუაციას აგენტები ამწვავებენ. მე იმის თქმა შემიძლია, რომ რაც „ჩელსიში“ მოვედი ვხედავ, რომ დიდიე დღეში ორჯერ თავგადაკლული ვარჯიშობს. მე დროგბასთან ერთი და ორი თამაშით კი არა მთელი წლით მინდა თანამშრომლობა, ამიტომ მის გაყიდვას აშკარად არ ვჩქარობ. არ ვჩქარობ მის მოედანზე გამოყვანასაც, რადგან მეშინია ტრავმა არ გაუმიზეზდეს. გასულ სეზონში ის ფეხნატკენი თამაშობდა, ასე რომ სულაც არ ვაპირებ ერთი ან ორი თამაშის გულისთვის ნახევარი წლის შემდეგ ის დიდი ხნით დავკარგო“.

**პაპუნა ძედია**

## კარლოს ცენტრალური მცველი უნდა

**იტალიური** „მილანის“ მთავარ მწვრთნელ კარლო ანჩელოტის განცხადებით, „როსონერის“ ცენტრალური მცველი ესაჭიროება: „დაცვის ცენტრი აუცილებლად უნდა გავამაგროთ. ამისთვის მსოფლიო დონის მოთამაშე გვჭირდება, ასეთი ფეხბურთელების შეძენა კი ძალიან რთულია. მაგალითად, რაფაელ მარკესი ჩვენს მოთხოვნებს სრულიად დააკმაყოფილებს, „მილანს“ იგი მართლაც გააძლიერებდა, თუმცა „ბარსელონა“ რაფაელს არ შეელევა“ — თქვა იტალიელმა სპეციალისტმა.

## შუსტერმა ახალი ტრანსფერები უარყო

**მადრიდის** „რეალის“ დამრიგებელ ბერნდ შუსტერის თქმით, ამ ზაფხულს მის კლუბს ახალწვეულები აღარ ეყოლება: „ჩვენს შემადგენლობაში ყველა შესაძლო ცვლილება უკვე მოხდა“ — აღნიშნა შუსტერმა. გერმანელი სპეციალისტი რობინიოს თემასაც შეეხო და თქვა, რომ ეს საკითხი არ განიხილება და რობინიო მადრიდში უპირობოდ რჩება.

## მადრიდელი ბაჭია და კაჭკაჭები

**ინგლისური** „ნიუკასლი“ მადრიდის „რეალის“ თავდამსხმელ ხავიერ სავიოლათი არის დაინტერესებული. „იუნაიტედის“ ხელმძღვანელობას არგენტინელის არენდით აყვანა სურს. ამბობენ, რომ ამ წინადადების ინიციატორად „კაჭკაჭების“ ტექნიკური დირექტორი ჯეფ თეიტრი გამოდის, რომელსაც ერთ დროს „სამეფო კლუბის“ სტრუქტურებშიც უმუშავია.

„ბაჭია“ მადრიდულ კლუბში გასულ ზაფხულს გადავიდა, თუმცა ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრება ვერ მოახერხა. პრიმერადივიზიონის ბოლო სეზონში მან ცხრა მატჩში სამი გოლი გაიტანა.

## დიეგოს ვერ ელევიან

**ბრემენის** „ვერდერის“ პრეზიდენტმა იურგენ ბორნმა ბრაზილიელ გამთამაშებელ დიეგოს სხვა კლუბში გადასვლის შესაძლებლობა გამორიცხა: „ამჟამად მოლაპარაკებას არავისთან ვაწარმოებთ. დიეგოსთან კონტრაქტი 2011 წლამდე გვაქვს გაფორმებული და ჩვენ მაქსიმალურად ხანგრძლივი ვადით ვაპირებთ მის დატოვებას“ — განაცხადა „მუსიკოსების“ ბოსმა.

შევახსენებთ, რომ ბრაზილიელი ფეხბურთელით ამ ბოლო დროს მადრიდის „ატლეტიკო“ იყო დაინტერესებული.

## გალისიიდან ანდალუზიისკენ

**ლა კორუნიის** „დეპორტივოს“ ფორვარდი ადრიან ლოპესი უახლოეს სეზონს „მალაგაში“ იჯარით გაატარებს. 20 წლის ფეხბურთელი გასულ სეზონს „ალავესში“ იყო განათხოვრებული და 10 გოლის გატანაც მოახერხა.

## მადლიერი ჯილარდინო

**ფლორენციის** „ფიორენტინას“ თავდამსხმელმა ალბერტო ჯილარდინომ იტალიის ნაკრებში გამოძახებისთვის მარჩელო ლიპის მადლობა გადაუხადა:

„გამოძახებას ველოდი. მოხარული ვარ, ლიპი რომ მენდობა. ნაკრებში გამოსვლა ყოველთვის სიამოვნებას მანიჭებდა, თან ლიპისთან მუშაობა მომიწევს, რაც დამატებითი სტიმულია“ — თქვა ჯილარდინომ.

## სტივენ დევისი გლაზგოს უახლოვდება

**ლონდონის** „ფულემის“ თავდამსხმელი სტივენ დევისი „რეინჯერსში“ გადადის. გასული სეზონი ფეხბურთელმა გლაზგოურ კლუბში იჯარის წესით გაატარა, ახლა კი შოტლანდიელებს მისი გამოსყიდვა სურთ და 4 მილიონი გირვანქის გადახდას აპირებენ.

## პეტრიჩი ზიდანის ნაცვლად

**ბუნდესლიგის** „დორტმუნდის“ ხელმძღვანელობა იტყობინება, რომ გუნდის საუკეთესო მოთამაშე მლადენ პეტრიჩი, შესაძლოა, „ჰამბურგში“ გადაბარგდეს. თავის მხრივ, დორტმუნდელები კომპენსაციის სახით, ეგვიპტელ მოჰამედ ზიდანს და დამატებით თანხას მიიღებენ, რომლის რაოდენობა არ სახელდება.

## გალა ვორონინს უმიზნებს

**თურქულ** „გალათასარაის“ „ლივერპულის“ უკრაინელი თავდამსხმელის ანდრეი ვორონინის შეძენა სურს. მას შემდეგ, რაც მერსისაიდელთა შემადგენლობაში რობი კინი გადავიდა, ეს ტრანსფერი უფრო რეალური გახდა. თან უკრაინელიც არ არის თავისი გუნდით კმაყოფილი და ამას არც მალავს.

**არჩილ ძობახიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინგლისი

### პრემიერლიგა I ტური

**არსენალი 1:0 ვესტ ბრომვიჩი**

1:0 ნასრი (4)

**არსენალი:** ალმუნია, სანია, გალასი, ჟურუ, კლიში, უოლკოტი (ტური 72), დენილსონი, ნასრი, ებუე, ადებაიორი, ბენდტნერი (ვან პერსი 69)

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

**ვესტ ბრომვიჩი:** კარსონი, ჰუფკენსი, ბარნეტი, მეიტე, რობინსონი, ბრანტი (ბიტი 80), მორისონი, გრინინგი, კიმი, ჩეხი (მაკდონალდი 69), მილერი (ბედნარი 74)

მწვრთნელი: ტონი მოუბრეი

მსაჯი: ჰოვარდ უები

60 071 მაყურებელი

**ჰალი 2:1 ფულემი**

0:1 სეოლი (8), 1:1 ჯოვანი (22), 2:1 ფოლანი (81)

**ჰალი:** მაიჰილი, რიკეტცი, ტერნერი, გარნერი, დოუსონი, გარსია (ფეგანი 74), ეშბი, ბოატენგი, ბარმბი (ჰალმოში 62), ჯოვანი, კინგი (ფოლანი 70)

მწვრთნელი: ფილ ბრაუნი

**ფულემი:** შვარცერი, პენტსილი, ჰანგელანდი, ჰიუზი, კონჩესკი, დეივისი, მერფი (ანდრეასენი 85), სეოლი (ნევლანდი 85), ბალარდი, გერა, ზამორა (დემპსი 81)

მწვრთნელი: როი ჰოჯსონი

გაფრთხილება: რიკეტცი, დოუსონი, ფეგანი

მსაჯი: პიტერ უოლტონი

24 525 მაყურებელი

**ბოლტონი 3:1 სტოკი**

1:0 სტეინსონი (34), 2:0 დეივისი (41), 3:0 ელმანდერი (45), 3:1 ფულერი (90)

**ბოლტონი:** იაასკელაინენი, სტეინსონი, კეჰილი, ე. ობრაიენი, სემიუელი, ჯ. ობრაიენი, ნოლანი, მუამბა, ტეილორი, დეივისი, ელმანდერი (მაკკანი 76)

მწვრთნელი: გერი მეგსონი

**სტოკი:** სორენსენი, უილკინსონი (დიკინსონი 76), კორტი, შოუკროსი, გრიფინი, დელაპი, ოლოფინჯანა, ველანი (ლოურენსი 56), კრესუელი, კიტსონი, სიდიბე (ფულერი 65)

მწვრთნელი: ტონი პულისი

გაფრთხილება: სტეინსონი, ოლოფინჯანა, ლოურენსი

მსაჯი: კრის ფოი

22 717 მაყურებელი

**ვესტ ჰემი 2:1 უიგანი**

1:0, 2:0 ეშტონი (3, 10), 2:1 ზაქი (47)

**ვესტ ჰემი:** გრინი, ბეჰრამი, დევენპორტი, აპსონი, ნილი, ფობერი (ბოა მორტე 86), პარკერი (მალინსი 72), ნოუბლი, ეთერინგტონი, ეშტონი (სირსი 73), კოული

მწვრთნელი: ალან კერბიშლი

**უიგანი:** კირკლენდი, მელხიოტი (დერიდერი 83), შარნერი (კუმასი 83), ბოისი, ფიგეროა, ვალენსია, კეტერმოლი (სიბიერსკი 85), პალასიოსი, კაპო, ჰესკი, ზაქი

მწვრთნელი: სტივ ბრიუსი

გაფრთხილება: პარკერი, დევენპორტი, პალასიოსი

მსაჯი: სტივ ბენეტი

32 758 მაყურებელი

**ევერტონი 2:3 ბლექბერნი**

0:1 დანი (22), 1:1 არტეტა (45), 2:1 აიეგბენი (64), 2:2 სანტა კრუსი (66), 2:3 ოიერი (90)

**ევერტონი:** ჰოვარდი, ნევილი, იობო, ლესკოტი, ნუნუ ვალენტე (ბაქსტერი 78), არტეტა, როდუელი, იაგიელკა, ბეინსი, ოსმანი, აიეგბენი

მწვრთელი: დევიდ მოიესი

**ბლექბერნი:** რობინსონი, ოიერი, სამბა, ნელსენი, უორნოკი, რიდი, დანი (თუგაი 90), მოკოენა, პედერსენი (ტრისი 76), სანტა კრუსი, რობერტსი (მაკარტი 83)

მწვრთნელი: პოლ ინსი

გაფრთხილება: იობო, აიეგბენი, უორნოკი, ოიერი

მსაჯი: ანდე მარინერი

38 675 მაყურებელი

**მიდლსბრო 2:1 ტოტენჰემი**

1:0 უიტერი (71), 2:0 მიდო (86), 2:1 ჰუტი (90ს.კ.)

**მიდლსბრო:** ჯოუნსი, უიტერი, ჰუტი, პოგატეცი, ტეილორი, ალიადიერი, შავქი, ონილი, დაუნინგი, ალვეში (მიდო 82), თუნჯაი (დიგარდი 72)

მწვრთნელი: გარეთ საუთგეიტი

**ტოტენჰემი:** გომეში, ზოკორა, დოუსონი, ვუდგეიტი, ასუ-ეკოტო (ოჰარა 76), ლენონი (ბეილი 65), ჯენასი, მოდრიჩი, ბენტლი, ჯოვანი (ბერბატოვი 65), ბენტი

მწვრთნელი: ხუანდე რამოსი

გაფრთხილება: დიგარდი, ჯენასი, ბენტლი

მსაჯი: მარტინ ეტკინსონი

32 623 მაყურებელი

**სანდერლენდი 0:1 ლივერპული**

0:1 ტორესი (83)

**სანდერლენდი:** გორდონი, შიმბონდა, ნოსუორთი, კოლინზი, ბერდსლი, მალბრანკი (ედვარდსი 73), ტაინიო (უაიტჰედი 57), რიდი, რიჩარდსონი, დიუფი (ჩოპრა 81), მერფი

მწვრთნელი: როი კინი

**ლივერპული:** რეინა, არბელოა, კარაგერი, ჰიუპია, დოსენა, კუიტი, ჯერარდი, პლესისი (ალონსო 46), ბენაიუნი (აურელიო 81), კინი (ელ ზარი 77), ტორესი

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

გაფრთხილება: არბელოა, ელ ზარი

მსაჯი: ალან უაილი

43 259 მაყურებელი

**ჩელსი 4:0 პორტსმუთი**

1:0 ჯ. კოული (12), 2:0 ანელკა (26), 3:0 ლამპარდი (45პ), 4:0 დეკუ (89)

**ჩელსი:** ჩეხი, რიკარდუ კარვალიუ, ე. კოული, ბოსინგვა (პაულუ ფერეირა 84), ტერი, ლამპარდი, მიკელი, ბალაკი (მალუდა 38), დეკუ, ჯ. კოული (რაიტ-ფილიპსი 78), ანელკა

მწვრთნელი: ლუიშ ფელიპე სკოლარი

**პორტსმუთი:** ჯეიმსი, კემპბელი, ჰრეიდარსონი, ჯონსონი, ქაბული, დისტენი, დიარა (მვუემბა 68), დიოპი, კრანჩარი (ტომასი 73), კრაუჩი, დეფო

მწვრთნელი: ჰარი რედნაპი

გაფრთხილება: ჯეიმსი

მსაჯი: მაიკ დინი

41 468 მაყურებელი

**ასტონ ვილა 4:2 სიტი**

1:0 კარეუ (47), 1:1 ელანო (64პ), 2:1, 3:1, 4:1 აგბონლაჰორი (69, 74, 76), 4:2 ჩორლუკა (89)

**ასტონ ვილა:** ფრიდელი, დეივისი, შორი, ლ. იანგი, ლაურსენი, ს. პეტროვი, რეო-კოკერი, ე. იანგი, ბერი, კარეუ, აგბონლაჰორი

მწვრთნელი: მარტინ ონილი

**სიტი:** ჰარტი, რიჩარდსი, გარიდო, ჩორლუკა, ბენ-ჰაიმი, ელანო, ჟელსონი (აირლენდი 81), ჯონსონი, ეტუჰუ, მ. პეტროვი, ევანსი (სტარიჯი 82)

მწვრთნელი: მარკ ჰიუზი

გაფრთხილება: ბენ-ჰაიმი

მსაჯი: ფილიპ დაუდი

39 955 მაყურებელი

**მანჩესტერი 1:1 ნიუკასლი**

0:1 მარტინსი (22), 1:1 ფლეტჩერი (24)

**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, ფერდინანდი, ევრა, ბრაუნი, ვიდიჩი, სქოულზი, კარიკი (ოშე 25), ფლეტჩერი, გიგზი (პოსებონი 63), რუნი, კემპბელი (რაფაელი 80)

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

**ნიუკასლი:** გივენი, ტეილორი, ბეიე, კოლოჩინი, დაფი, ბატი, გეტრი, ნზოგბია, მილნერი, გუტიერესი, მარტინსი

მწვრთნელი: კევინ კიგანი

გაფრთხთილება: კემპბელი, ბრაუნი, რუნი

მსაჯი: მაიკ რაილი

75 512 მაყურებელი

# ინსის დრამატული სიხარული



გებრიელ აგბონლაჰორმა სეზონი ჰეთ თრიქით დაიწყო

**პოლ ინსი** უკეთეს დებიუტს ვერც ინატრებდა — ჯერაც ულიცენზიო მწვრთნელის „ბლექბერნმა" დრამატულ მატჩში „ევერტონს" მოუგო. სტუმრად „ევერტონის" ძლევა კი მეტად ძნელი საქმეა.

„ამ სტადიონზე მხოლოდ პრემიერლიგის „დიდ ოთხეულს" თუ შეუძლია ზოგჯერ მოგება და ამიტომ ეს გამარჯვება განსაკუთრებით ძვირფასია" — თქვა გახარებულმა ინსმა.

დევიდ დანმა მცველი „მოტეხა" და საჯარიმოს ხაზიდან ცაციით დაბალ კუთხეში გაიტანა.

მიკელ არტეტამ ტაიმის ბოლოს გადასარევი საჯარიმო დარტყმით გაათანაბრა — ბურთი მახვილი კუთხიდან ჩაახვია ცხრიანში.

მეორე ნახევარში არტეტას პასით იაკუბუ აიეგბენიმ მასპინძლები დააწინაურა — თავურით ერთი მეტრიდან შეაგდო, მაგრამ ორ წუთში სანტა კრუსმა გაქვითა. მცველს თამაშგარე ეგონა და პარაგვაელმა ახლოდან იოლად გაიტანა.

მატჩის მიწურულს კი ანდრე ოიერმა იყოჩაღა — საჯარიმოში არეულობით ისარგებლა და პოლ ინსი გაახარა.

დებიუტანტმა „ჰალმა" — მეტსახელად „ვეფხვები" — „ფულემს" სამი ქულა დაატოვებინა.

„მატჩამდე ფეხბურთელებს ვუთხარი, რომ „ფულემი" გასულ სეზონში სტუმრად სუსტად თამაშობდა და შანსი უნდა გამოგვეყენებინა. ვაგებდით და თამაში საჩვენოდ რომ შემოვაბრუნეთ, ეს განსაკუთრებით მიხარია. შეცვლაზე შესულმა ფეგანმა და ფოლანმა გაამართლეს" — განაცხადა „ჰალის" მწვრთნელმა ფილ ბრაუნმა.

სტუმრები სეოლმა თავურით დააწინაურა, მაგრამ „სიტიდან" „ჰალში" გადასულმა ჯოვანიმ საჯარიმოს ხაზიდან ჩაბზრიალებულით გაათანაბრა. მასპინძელთა მეორე გოლი კი ფეგანის პასით ფოლანმა ახლოდან გაიტანა.

„მიდლსბრომ" „ტოტენჰემს" ორი გოლი მიართვა და ერთიც სტუმრების მაგივრად საკუთარ კარში რობერტ ჰუტმა შეაგდო.

„ტოტენჰემის" შემადგენლობაში ეურელიუ გომეშის, დევიდ ბენტლის, ლუკა მოდრიჩის და ჯოვანი დოს სანტოსის დებიუტი შედგა.

დიმიტარ ბერბატოვი, რომლის გადაბირებასაც „მანჩესტერი" ცდილობს, მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდა.

მცველმა დევიდ უიტერმა ხარიხიდან ასხლეტილი ბურთი ბადეში შეტენა, ხოლო აჰმედ მიდომ ათიოდ მეტრიდან ერთ შეხებაში გაიტანა. რობერტ ჰუტმა კუთხურიდან ჩაწოდებულის მოგერიება თავით სცადა და საკუთარ კარში გოლი გამოუვიდა.

„სეზონისწინა შეკრება ძალიან კარგი გამოგვივიდა და ეს გამარჯვებაც ამის შედეგია. ნერვიულად დავიწყეთ, მაგრამ ვაჩვენეთ, რომ შეტევა შეგვიძლია" — ხარობდა მასპინძელთა მწვრთნელი გარეთ საუთგეიტი.

„სტანდარტულებისას დაცვაში ცუდად ვითამაშეთ. ბევრი ახალი ფეხბურთელი გვყავს და მათ ჯერ პრემიერლიგასთან შეგუება სჭირდებათ" — აღნიშნა სტუმართა დამრიგებელმა ხუანდე რამოსმა.

„ვესტ ჰემის" ფორვარდმა დინ ეშტონმა ჟულიენ ფობერის ორი პასი შეირგო და „უიგანთან" შვიდ წუთში დუბლი შეასრულა, მაგრამ მერე უიგანელებმა ისე შეუტიეს, რომ „ჩაქუჩების" მეკარე აქეთ-იქით ახტუნავეს. სტუმართა დებიუტანტმა ამირ ზაქიმ საუცხოო გოლი შეაგდო და მერე ორჯერ გათანაბრების შანსი ვერ გამოიყენა.

„ვისაც თამაში არ უნახავს, იტყვის, რომ „უიგანი" დაჩაგრეს, მაგრამ ჩვენ ძალიან კარგი გუნდი გვყავს. საწყის თხუთმეტ წუთში ორი გოლი ვაჩუქეთ და მერე ბოლომდე დიდი უპირატესობა გვქონდა" — ბრძანა „უიგანის" მწვრთნელმა სტივ ბრიუსმა.

ბოლტონში „სტოკი" ნახევარ საათს გაუძალიანდა მასპინძლებს, მერე კი 11 წუთში სამი გოლი გაუშვა.

პირველი ძალიან ლამაზი გამოვიდა. გრეტარ სტეინსონმა საჯარიმოს კუთხესთან ამოჰკრა ბურთს, რომელიც ცხრიანში ზემოდან ჩაეშვა.

ამას მოჰყვა კევინ დეივისის და იოჰან ელმანდერის თავურ-გოლები, მეორე ტაიმის ბოლოს კი რიკარდო ფულერმა სხვაობა შეამცირა.

„ლივერპულს" სანდერლენდში ფერნანდო ტორესმა უშველა — 20 მეტრიდან დაჰკრა და ძელთან შეასრიალა ბურთი. ამ ზაფხულს ნაყიდმა რობი კინმა ვერ გაიბრწყინა და ამიტომაც შეცვალეს.

„ტორესი განსაკუთრებულია — ბრძანა რაფაელ ბენიტესმა — მას მატჩის ბედის გადაწყვეტა შეუძლია და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ასეთი ფეხბურთელი გუნდში გყავდეს".

„არსენალს" კი „ვესტ ბრომვიჩთან" დებიუტანტმა სამირ ნასრიმ მოაგებინა. მეოთხე წუთზე გატანილი გოლის შემდეგ „მეთოფეთა" ფანები ალბათ გოლების წვიმას ელოდნენ, მაგრამ ბევრი მომენტის მიუხედავად მასპინძლებმა ვერ გაიტანეს.

აი, ასეთი „ჩელსი" სურს რომან აბრამოვიჩს — კოხტა ფეხბურთი და 4:0. მაურინიუს მწვრთნელობის ბოლო თვეებში რუსი მილიარდერი უკმაყოფილო იყო გუნდის მოსაწყენი სათამაშო ყაიდით და ევებ სკოლარიმ მიიტანოს ის, რასაც აბრამოვიჩი ითხოვდა.

ჯო კოულმა ბალაკის პასით გაიტანა, ანელკამ ახალწვეული ბოსინგვას ჩაწოდებულს დაუხვედრა თავი საგოლედ, ხოლო ლამპარდმა პენალტი შეაგდო.

დებიუტი საუცხოო გოლით აღნიშნა დეკუმ — 30 მეტრიდან საშინელი ძალით დაარტყა, მეკარე ხელით წაეპოტინა ბურთს, რომელიც ზედა კუთხეში შევარდა.

ის, რაც „ასტონ ვილას" ფორვარდმა გებრიელ აგბონლაჰორმა „სიტისთან" ჩაიდინა, იშვიათობაა — შვიდ წუთში ჰეთ თრიქი შეასრულა.

უგოლო პირველი ტაიმის შემდეგ ანგარიში კარეუმ თავურით გახსნა, ელანომ თერთმეტი მეტრიდან გაათანაბრა და ამის მერე „გაგიჟდა" აგბონლაჰორი. ბოლოს ვედრან ჩორლუკამ სხვაობა შეამცირა, რაც „სიტის" მწვრთნელს მარკ ჰიუზს გულზე მალამოდ მაინცდამაინც არ დაედებოდა.

ჩემპიონმა „მანჩესტერმა" ვერ აჯობა გამართულად მოთამაშე „ნიუკასლს". ალექს ფერგიუსონის გუნდს აშკარად აკლდა რონალდუს ნაპერწკალი და ვერც კარლოს ტევესი დაეხმარა, რომელიც ოჯახურ მიზეზთა გამო არგენტინაში სასწრაფოდ გაფრინდა.

უეინ რუნიმ და ახალგაზრდა ფორვარდმა ფრეიზერ კემპბელმა სტუმართა დაცვა ვერ გატეხეს. ეს კი არა, ყვითელი ბარათები მიიღეს, რაკი მეტოქეთა დევნა უხდებოდათ და არა — პირიქით.

ობაფემი მარტინსმა თავით გაიტანა, ფლეტჩერმა კი გიგზის პასით ორ წუთში გაათანაბრა.

**ვაჟა ხუციშვილი**

### II ტური

23 აგვისტო

ბლექბერნი — ჰალი
ფულემი — არსენალი
ლივერპული — მიდლსბრო
სიტი — ვესტ ჰემი
ნიუკასლი — ბოლტონი
პორტსმუთი — მანჩესტერი
სტოკი — ასტონ ვილა
ტოტენჰემი — სანდერლენდი
ვესტ ბრომვიჩი — ევერტონი
უიგანი — ჩელსი

### ჩემპიონატი

II ტური

ბარნსლი — ქოვენთრი 1:2; დონკასტერი — კარდიფი 1:1; ნორვიჩი — ბლექპული 1:1; პრესტონი — კრ. პალასი 2:0; რედინგი — პლიმუთი 2:0; შეფილდი — ქუინზ პარკი 3:0; საუთჰემპტონი — ბირმინგემი 1:2; სუონსი — ნოტინგემი 3:1; უოტფორდი — ჩარლტონი 1:0; ვულვზი — უენსდი 4:1; ბარნლი — იფსვიჩი 0:3; ბრისტოლი — დერბი 1:1

### პირველი ლიგა

II ტური

ბრაიტონი — როვერსი 1:1; კარლაილი — ქრიუ 4:2; ჩელტენემი — სუინდონი 2:0; კოლჩესტერი — ჰადერსფილდი 0:0; ჰერეფორდი — იოვილი 1:2; ლიდსი — ოლდემი 0:2; მილუოლი — საუთენდი 1:1; მილტონი — ნორთჰემპტონი 1:0; პიტერბრო — ლეიტონი 3:0; სტოკ პორტი — ლესტერი 0:0; ტრანმერი — ჰარტლპული 1:0; უოლსოლი — სკანთორპი 2:1

### მეორე ლიგა

II ტური

ალდერშოტი — ბორნმუთი 1:1; ბრენტფორდი — გრიმსბი 4:0; ჩესტერი — უიკომბი 0:2; ჩესტერფილდი — ბერი 1:3; ექსეტერი — შრიუსბერი 0:1; ჯილინგემი — ლუტონი 0:1; ლინკოლნი — დაგენემი 1:3; მაკლსფილდი — ბრედფორდი 0:2; მორიკომბი — როტერჰემი 1:3; ნოტსი — დარლინგტონი 0:0; პორტ ვეილი — აკრინგტონი 0:2; როჩდეილი — ბარნეტი 3:1

### კონფერენსლიგა

II ტური

ალტრინჩემი — კეტერინგი 1:1; ბარტონი — უოკინგი 3:1; კემბრიჯი — ბეროუ 2:1; ფორესტ გრინი — ქროული 1:0; გრეისი — ნორსვიჩი 2:1; ლუისი — სალისბერი 1:4; მენსფილდი — კიდერმინსტერი 4:2; ოქსფორდი — ისტბორნი 6:3; სტივენეიჯი — ვეიმუთი 1:1; იორკი — ჰისტონი 1:1; რაშდენი — რექსემი 1:1. ტორკი — ებსფლიტი დღეს გაიმართება

## გერმანია
### ბუნდესლიგა
### I ტური

**ბაიერნი 2:2 ჰამბურგი**

1:0 შვაინშტაიგერი (12), 2:0 პოდოლსკი (16 პ), 2:1 გერერო (25), 2:2 ტროხოვსკი (56პ)
**ბაიერნი:** რენზინგი, ლუსიო, ლამი, ლელი, ვან ბუიტენი, ვან ბომელი, კლოსი, შვაინშტაიგერი (ბოროვსკი 65), ზე რობერტო (ოტლი 81), კლოზე (მიულერი 80), პოდოლსკი
მწვრთნელი: იურგენ კლინსმანი
**ჰამბურგი:** როსტი, რაინჰარდტი (კომპანი 52), ბოატენგი (დემელი 30), მატიისენი, დე იონგი, პიტროიპა (ატუბა 77), ტროხოვსკი, ბენჯამინი, იაროლიმი, გერერო, ოლიჩი
მწვრთნელი: მარტინ იოლი
გაფრთხილება: ვან ბომელი, იაროლიმი, დე იონგი, გერერო, ბენჯამინი
მსაჯი: ტორსტენ კინჰიოფერი
69 000 მაყურებელი

**არმინია 2:2 ვერდერი**

0:1 როსენბერგი (60), 1:1 ვიხნიარეკი (74), 1:2 როსენბერგი (80), 2:2 ვიხნიარეკი (81)
**არმინია:** აილჰოფი, კუჩერა, შულერი, ლამეი, ბოლმანი, კაუფი, ჰალფარი (ტეშე 79), კირხი, მაქსი (კამპერი 68), ვიხნიარეკი, კატონგო
მწვრთნელი: მიხაელ ფრონცეკი
**ვერდერი:** ვიზე, ნალდო, ბოინიში, ფრიცი, პრიოდლი, ბაუმანი, იენსენი, ფრინგსი, ალმეიდა (სანოგო 73), როსენბერგი, ჰუნტი (იოზილი 69)
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: კამპერი, ბოლმანი, ჰუნტი, როსენბერგი
მსაჯი: იოხენ დრეესი
24 700 მაყურებელი

**ლევერკუზენი 2:3 დორტმუნდი**

0:1 ვალდესი (4), 1:1 ჰელმესი (21), 1:2 კრინგე (36), 1:3 სუბოტიჩი (49), 2:3 კისლინგი (83)
**ლევერკუზენი:** ფერნანდესი, ფრიდრიხი, ჰენრიკე, კასტრო, ჯაკპა (ბულიკინი 90), რენატუ, როლფესი, ბარნეტა (დუმი 79), ვიდალი (გეკასი 68), ჰელმესი, კისლინგი
მწვრთნელი: ბრუნო ლაბადია
**დორტმუნდი:** ვაიდენფელერი (ციგლერი 46), ჰუნელსი, დედე (შმელცერი 72), რუკავინა, სუბოტიჩი, კელი, ბლაშჩიკოვსკი, კრინგე, ჰაინალი, ვალდესი, კლიმოვიჩი (კრუშკა 46)
მწვრთნელი: იურგენ კლოპი
გაფრთხილება: რენატუ, ჯაკპა, ფრიდრიხი, სუბოტიჩი, კელი
მსაჯი: პეტერ გაგელმანი
21 000 მაყურებელი

**კოტბუსი 0:3 ჰოფენჰაიმი**

0:1 იბისევიჩი (16), 0:2 ბა (54), 0:3 იბისევიჩი (76)
**კოტბუსი:** ტრემელი, მიტრესკი, ციდიგი, პავიჩევიჩი (რივიჩი 57), ანგელოვი, ცვიტანოვიჩი, სკელა, როსტი, კუკელკა (ვასილიევიჩი 76), სიორენსენი (იელიჩი 70), რანგელოვი
მწვრთნელი: ბოიან პრასნიკარი
**ჰოფენჰაიმი:** იოზქანი, იბერტსბერგერი, კომპერი, ბეკი, ნილსონი (იაისლე 46), ედუარდო, დიასი, სალიჰოვიჩი (თებერი 59), ბაისი, იბისევიჩი (კობადო 85), ბა
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
გაფრთხილება: პავიჩევიჩი, ანგელოვი, სალიჰოვიჩი, ბა
მსაჯი: გუიდო ვინკმანი
19 000 მაყურებელი

**კარლსრუე 1:0 ბოხუმი**

1:0 აიხნერი (29)
**კარლსრუე:** მილერი, სებასტიანი, აიხნერი, ჩელოცი, ფრანცი, და სილვა (იაშვილი 90), პორჩელო, შტაფელდტი, კერნელი (ადუობე 81), კენედი, ტიმი (ფრაიზი 84)
მწვრთნელი: ედმუნდ ბეკერი
**ბოხუმი:** ფერნანდესი, იაჰია, პფერცელი, მალტრიცი, დაბროვსკი (ფრაიერი 68), ონო (გროტე 81), ფუხსი, აზაუალი, იმჰოფი, ჰაშემიანი, შესტაკი
მწვრთნელი: მარსელ კოლერი
გაფრთხილება: ტიმი, ფრანცი, აზაუალი, ფუხსი, დაბროვსკი, ჰაშემიანი
მსაჯი: მიხაელ ვაინერი
28 000 მაყურებელი

**ვოლფსბურგი 2:1 კიოლნი**

0:1 ნოვაკოვიჩი (20), 1:1 გენტნერი (48), 2:1 მისიმოვიჩი (78)
**ვოლფსბურგი:** ბენალიო, კოშტა, შეფერი, ძაკარდო (რიტერი 46), ბარცალი, სანტანა, დეჟაგა, გენტნერი (ალვიმი 90), ხოსუე, ჰასებე (საგლიკი 46), მისიმოვიჩი
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
**კიოლნი:** მონდრაგონი, მოჰამადი, ვომე, ბრეჩკო (ვუჩიჩევიჩი 79), გერომელი, ოზათი, ანტარი, პეტიტი, ბროიხი (შერცი 86), რადუ (ჩიჰი 72), ნოვაკოვიჩი
მწვრთნელი: კრისტოფ დაუმი
გაფრთხილება: ვომე, პეტიტი
მსაჯი: ფელიქს ბრიხი
25 000 მაყურებელი

**შალკე 3:0 ჰანოვერი**

1:0 ბორდონი (2), 2:0, 3:0 კურანი (7, 64)
**შალკე:** ნოიერი, ჰიოვედესი, პანდერი, ვესტერმანი, ბორდონი, რაკიტიჩი (ასამოა 68), ერნსტი, **კობიაშვილი**, ჯოუნსი (გროსმიულერი 30), კურანი (ვისენტე 79), ჰალილ ალთინთოფი
მწვრთნელი: ფრედ რუტენი
**ჰანოვერი:** ენკე, ისმაელი (ეგიმანი 62), შულცი, ვინისიუსი, ჩერუნდოლო, ბრუგინკი, ლალა, ბალიჩი (როზენტალი 62), ჰუსტი, ჰანკე, შლაუდრაფი (ფორსელი 65)
მწვრთნელი: დიტერ ჰეკინგი
გაფრთხილება: ლალა, რაკიტიჩი, ბალიჩი
მსაჯი: გიუნტერ პერლი
61 000 მაყურებელი

**გლადბახი 1:3 შტუტგარტი**

0:1 ჰიცლშპერგერი (15), 0:2 მარიკა (26), 0:3 გომესი (44), 1:3 ფრენდი (60)
**გლადბახი:** ჰაიმეროტი, ჟორე, დამსი, ბროუვერსი (კოლაუტი 79), მარინი, ალბერმანი (სვარდი 79), რიოსლერი (ბაუმიოჰანი 31), ნჟენდი, პაუვე, მათმური, ფრენდი
მწვრთნელი: იოს ლუჰუკაი
**შტუტგარტი:** ლემანი, დელპიერი, ოსორიო, ბოკა, თაშჩი, პარდო, შიმაკი (ბაშთურქი 67), ჰილბერტი (ლანიგი 89), ჰიცლშპერგერი, მარიკა (ხედირა 75), გომესი
მწვრთნელი: არმინ ფეე
გაფრთხილება: რიოსლერი, ალბერმანი, მათმური, ბოკა, შიმაკი
მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი
50 000 მაყურებელი

**აინტრახტი 0:2 ჰერტა**

0:1 რაფაელი (43), 0:2 ებერტი (60)
**აინტრახტი:** ნიკოლოვი, ოხსი, ბელაიდი, კრისი, შტაინჰიოფერი (ფენინი 56), რუსი, შპიხერი, ტოსკი, ინამოტო (მაიერი 61, ფინკი 77), ამანატიდისი, ლიბეროპულოსი
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
**ჰერტა:** დრობნი, კაკა, შტაინი, ფონ ბერგენი, შიმუნიჩი, სისერო, კაჩარი (ჰარტმანი 68), ებერტი (ნიკუ 71), რაფაელი, პანტელიჩი, იშჩეკი (ლუშტენბერგერი 46)
მწვრთნელი: ლუსიენ ფავრი
გაფრთხილება: ებერტი
მსაჯი: ფლორიან მაიერი
44 000 მაყურებელი

# დემბა ბა



ვედინ იბისევიჩმა (მარცხნივ) „ჰოფენჰაიმის“ ისტორია დაწერა

„ჰოფენჰაიმმა“ წიხლით შეაღო ბუნდესლიგის კარი, ხოლო „ბაიერნში“ იურგენ კლინსმანის რევოლუცია ჭორი ყოფილა.

„ბაიერნმა“ ისე დაიწყო „ჰამბურგთან“, რომ კაცი იფიქრებდა, ბუცს ბუცზე არ დატოვებსო, მაგრამ ოთხ წუთში მოპოვებული ორბურთიანი სხვაობა გაანიავა. ბუნდესლიგის ორი დებიუტანტი მწვრთნელის, იურგენ კლინსმანისა და მარტინ იოლის გუნდების შეხვედრა ფრედ დასრულდა.

ბასტიან შვაინშტაიგერმა მცველის ფეხიდან ასხლეტილ ბურთს მიუჩინა კარში ადგილი, მერე კი მისივე წაქცევისთვის დანიშნული პენალტი პოდოლსკიმ გამოიყენა.

„ჰამბურგი“ არ დაპანიკებულა და პაულო გერერომ თავით შეაგდო. რენზინგისგან ხუთ მეტრში მარტო დარჩენილმა ფორვარდმა დამიზნებით დაარტყა.

კლოზე მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ ვერ გასცდა და ბურთი ფრანკ როსტს დარჩა, ხოლო შვაინშტაიგერის დარტყმული მატიისენმა კარის ხაზიდან გამოიტანა.

პიოტრ ტროხოვსკიმ პენალტით გაათანაბრა, რომელიც კრისტიან ლელის მიერ ივიცა ოლიჩის წაქცევის გამო დაინიშნა.

ამის შედეგ კლინსმანმა შვაინშტაიგერი ბოროვსკით შეცვალა, კლოზე კი 18 წლის დებიუტანტი თომას მიულერით, რამაც ქომაგი გააბრაზა. „ბაიერნის“ მწვრთნელმა თქვა:

„ბასტიანი სრულად მზად არაა და ერთი საათის მერე დაიღალა. იგი გვიან შემოგვიერთდა სეზონისწინა შეკრებაზე და ამიტომ უფრო სადი ფეხბურთელის შეშვება გადავწყვიტე.

მიროსლავ კლოზემაც ევროპის ჩემპიონატზე თავიდან ბოლომდე ითამაშა და ისიც ჯერ სათანადო ფორმაში არ არის. ყველა ფეხბურთელი მომზადების სხვადასხვა დონეზეა და არასტაბილურობაც ამის ბრალია“.

სტუმართა თავკაცი მარტინ იოლი: „ბაიერნთან“ ორბურთიანი სხვაობის გაბათილება თითქმის სასწაულის ტოლია“.

ელიტაში გადმობრძანებულმა „ჰოფენჰაიმმა“ ბუნდესლიგაში პირველი და ისტორიული მატჩი შთამბეჭდავად მოიგო — ანგელა მერკელის საყვარელი „კოტბუსი“ სტუმრად მაინგრია და გამარჯვებულთა მწვრთნელმა რალფ რანგნიკმა განაცხადა:

„ასეთი შედეგი მოულოდნელი სულაც არაა. ჩვენ ვაგრძელებთ შარშან დაწყებულ საქმეს და გუნდის თამაში უმჯობესდება. „გალათასარაის“ და „ბლექბერნს“ ამხანაგურ მატჩებში ტოლსწორად ვეომეთ“.

კლუბის ისტორიაში შევიდა ვედად იბისევიჩი, რომელმაც დემბა ბას ჰასით სამი მეტრიდან დარტყმით ანგარიში გახსნა — ბუნდესლიგაში „ჰოფენჰაიმის“ პირველი გოლი მის ანგარიშზეა.

მეორე ბამ შეაგდო — მცველს ბურთი წაართვა და დაბალ კუთხეში შეასრიალა, ხოლო მესამე ისევ იბისევიჩმა თავურით მიითვალა.

„შალკეს“ ჰოლანდიელმა თავკაცმა ფრედ რუტენმა დებიუტით გაიხარა, რაკი მისმა გუნდმა „ჰანოვერს“ სამბურთიანი სხვაობით მოუგო. სამივე გოლი სტანდარტულებს მოჰყვა.

„ჰანოვერის“ მეკარე რობერტ ენკე კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთზე უხეიროდ გამოვიდა და მარსელო ბორდონმა თავით შეაგდო. ხუთ წუთში იგივე გამეორდა, ოღონდ ბორდონმა კარს ვერ დაუმიზნა და ბადეში ბურთი კურანიმ შეაბრძანა. მეორე ტაიმში ივან რაკიტიჩმა საჯარიმო შეასრულა და კურანის თავით მესამე გოლი გავიდა.

„მეორე ტაიმი არ გახლდათ სანახაობრივი და თამაშის ორგანიზაციაც არ იყო საუკეთესო, მაგრამ ფიზიკურად ძალიან კარგ ფორმაში ვართ“ — აღნიშნა ფრედ რუტენმა.

ბილეფელდში ცხრამეტწუთიან მონაკვეთში მარკუს როსენბერგმა და არტურ ვიხნიარეკმა დუბლი შეასრულეს და სტუმარ-მასპინძელმა ქულები გაიყვეს.

როსენბერგმა პირველი გოლი თითქოს მკერდით შეაგდო, „არმინიას“ მეკარემ კი მსაჯს ანიშნა, ხელით ითამაშაო. მსაჯმა ჩათვალა და გაბრაზებულმა მეკარემ კარის ძელს წიხლი გამეტებით მისცხო.

მეკარესთან პირისპირ გასულმა ვიხნიარეკმა ვიზეს ბურთი ფეხებშუა გაუძვრინა და გაათანაბრა, მაგრამ „ვერდერის“ ფორვარდმა სტუმრები ისევ დააწინაურა — საჯარიმოს ხაზიდან დაბალ კუთხეში გაიტანა.

ბრემენელების სიხარული ერთ წუთს გაგრძელდა, რადგან ვიხნიარეკმა კარის წინ ჩაწოდებული ბურთი მცველსა და ძელს შუა შეასრიალა.

„ძალიან ცუდია, რომ ორჯერ დაწინაურებულებს ორჯერვე ჩაგვეძინა და სამი ქულა დავკარგეთ“ — დაიჩივლა „ვერდერის“ მწვრთნელმა თომას შააფმა.

შაბათის ყველაზე უხვგოლიანი მატჩი კი ლევერკუზენში გაიმართა, სადაც გერმანიის სუპერთასის მფლობელმა „დორტმუნდმა“ იმარჯვა, მაგრამ დედე მძიმედ დაუშავდა.

ნელსონ ვალდესი ორ მცველში გაძვრა და ახლოდან გაიტანა, ხოლო პატრიკ ჰელმესმა გაათანაბრა. ვალდესმა ფლორიან კრინგეს საგოლე პასი გაუხერხა და სტუმრები ისევ დააწინაურა.

მეორე ტაიმში ნევენ სუბოტიჩმა კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი შეაგდო და სხვაობა ორამდე გაზარდა, მაგრამ კისლინგმა თავურით ისევ ერთამდე შეამცირა.

„დედეს ტრავმა ძალიან მაღელვებს და ახლა თამაშზე საუბრის ხასიათზე არ ვარ“ — თქვა „დორტმუნდის“ მწვრთნელმა იურგენ კლოპმა.

„კიოლნის“ თავკაცმა კრისტოფ დაუმმა დიდად გაიხარა, როცა მისი გუნდი „ვოლფსბურგთან“ ნოვაკოვიჩის გოლით დაწინაურდა, მაგრამ მეორე ტაიმში სასიხარულო აღარაფერი შერჩა. ჯერ გენტნერმა გაქვითა, ბოლოს კი მისიმოვიჩმა სტუმრებს ქულაც არ გაატანა.

ბერლინის „ჰერტას“ ფორვარდმა მარკო პანტელიჩმა ორი საგოლე პასი მიითვალა და დედაქალაქელებმა ბოლო ცხრა წელიწადში პირველად მოიგეს პირველი ტურის მატჩი.

„აინტრახტის“ მეკარე ოკა ნიკოლოვი რომ არა, მასპინძლები უფრო დიდი ანგარიშით დამარცხდებოდნენ.

მიონხენგლადბახში კი „შტუტგარტმა“ მეტოქეს ნახევარ საათში მოუღო ბოლო. სამივე გოლი კონტრშეტევისას გავიდა. „არსენალიდან“ სამშობლოში დაბრუნებულმა იენს ლემანმა რიგ ეპიზოდებში იყოჩაღა, მაგრამ მცველების შეცდომის გამო რობერტ ფრენდისგან გოლი მაინც გაუშვა.

**მაჟა ხუციშვილი**

**II ტური**

23 აგვისტო

ვერდერი — შალკე
ჰამბურგი — კარლსრუე
შტუტგარტი — ლევერკუზენი
ჰანოვერი — კოტბუსი
ჰერტა — არმინია
ბოხუმი — ვოლფსბურგი
დორტმუნდი — ბაიერნი
ჰოფენჰაიმი — გლადბახი
კიოლნი — აინტრახტი

### მეორე ბუნდესლიგა
**I ტური**

ალემანია — ვეენი 2:1; მაინცი — ლაუტერნი 3:3; ზტ პაული — ოსნაბრიუკი 2:2; ალენი — ფრანკფურტი 2:1; ფრაიბურგი — მიუნხენი 2:1; ინგოლშტადტი — ფიურტი 3:2; კობლენცი — ობერჰაუზენი 3:0; ნიურნბერგი — აუგსბურგი 2:1. დუისბურგი — ჰანზა დღეს გაიმართება

### მესამე ბუნდესლიგა
**III ტური**

ბაიერნი (მ) — დინამო (დრ) 1:0; ბურგჰაუზენი — ფორტუნა 0:4; აუე — აალენი 0:0; ოფენბახი — უნიონი 1:1; რეგენსბურგი — ვერდერი (მ) 1:0; სანდჰაუზენი — პადერბორნი 4:0; შტუტგარტი (მ) — ვუპერტალი 2:0; ემდენი — ბრაუნშვაიგი 1:0; უნტერჰახინგი — კიკერსი 2:0

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
**I ტური**

ბაბელსბერგი — ლიუბეკი 1:0; ჰანოვერი (მ) — მაგდებურგი 0:2; ჰანზა (მ) — თურქიემსფორი 3:1; ობერნოილანდი — ალტონა 2:1; ჰამბურგი (მ) — პლაუენი 1:1; ჰალეშერი — ზახსენი 0:0; ხემნიცი — კოტბუსი (მ) 1:1

### დასავლეთ რეგიონალლიგა
**I ტური**

ფერლი — ლევერკუზენი (მ) 2:2; ბოხუმი (მ) — კლოპენბურგი 5:1; დორტმუნდი (მ) — მაინცი (მ) 4:1; ოგერსჰაიმი — კლევე 3:2; ელვერსბერგი — გლადბახი (მ) 1:1; შალკე (მ) — მიუნსტერი 1:1

### სამხრეთ რეგიონალლიგა
**I ტური**

დარმშტადტი — კარლსრუე (მ) 1:4; ჰაიდენჰაიმი — პფულენდორფი 1:2; ფიურტი (მ) — ჰესენი 1:0; გროსბარდორფი — ნიურნბერგი (მ) 1:4; ვიქტორია — ფრაიბურგი (მ) 1:1; ვეენი (მ) — უნტერჰახინგი (მ) 5:2

## საფრანგეთი

### I დივიზიონი. II ტური

**კაენი 3:1 ვალანსიენი**

1:0 ფლორენტინი (2), 2:0 სავიდანი (22), 3:0 ელუშანსი (29), 3:1 სებო (41)

**ლილი 1:3 ლე მანი**

0:1 ჰელსტადი (20), 0:1 მაიგა (32), 1:2 ბასტოსი (64), 1:3 მაიგა (82)

**ნანტი 1:1 მონაკო**

0:1 მერიემი (4), 1:1 კესერუ (65)

**ნიცა 2:1 ნანსი**

1:0 რემი (33), 1:1 გავანონი (45პ), 2:1 ტრაორე (49)

**სენტ ეტიენი 2:1 სოშო**

1:0 მატუიდი (10), 2:0 ფეინდუნო (18პ), 2:1 პერკისი (73)

**ტულუზი 2:1 ლე ავრი**

0:1 ალასანე (10), 1:1 კონირი (60), 2:1 გინაკი (87)

**პსჟ 1:0 ბორდო**

1:0 მურაუ (53)

**გრენობლი 1:0 რენი**

1:0 აკრური (21)

**ლორიანი 0:0 ლიონი**

**მარსელი 4:0 ოსერი**

1:0 ნიანგი (17), 2:0 გრიშტინგი (63ს.კ), 3:0 გრანდინი (76), 4:0 ზენდენი (86)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| გრენობლი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| მარსელი | 2 | 1 | 1 | 0 | 8:4 | 4 |
| ლიონი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:0 | 4 |
| მონაკო | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ლორიანი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| კაენი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| ლე მანი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ლე ავრი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ბორდო | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| სტ. ეტიენი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ნიცა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| პსჟ | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| ვალენსიენი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| ტულუზი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | 3 |
| ოსერი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:5 | 3 |
| რენი | 2 | 0 | 1 | 1 | 4:5 | 1 |
| ნანტი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ნანსი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ლილი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| სოშო | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | 0 |

### II დივიზიონი. III ტური

აიაჩო — დიჟონი 1:1; ანჟერი — სედანი 3:0; გენგამი — რეიმსი 0:2; მონპელიე — ბულონი 0:0; ტური — ვანი 1:0; ტრუა — ბრესტი 1:0; კლერმონი — ნიმი 2:0; ლანსი — შატორუ 1:0; სტრასბური — ბასტია 1:0. ამიენი — მეცი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტრასბური | 3 | 3 | 0 | 0 | 5:1 | 9 |
| ანჟერი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:1 | 7 |
| ლანსი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| მეცი | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| ტრუა | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 |
| ვანი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 |
| ტური | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 |
| ბულონი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:1 | 5 |
| კლერმონი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| აიაჩო | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| ბრესტი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| მონპელიე | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| ბასტია | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| შატორუ | 3 | 1 | 0 | 2 | 1:2 | 3 |
| რეიმსი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 3 |
| სედანი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | 3 |
| ამიენი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| დიჟონი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | 1 |
| ნიმი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:5 | 0 |
| გენგამი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:5 | 0 |

## პორტუგალია

### სუპერთასი

**პორტუ 0:2 სპორტინგი**

0:1, 0:2 დიალო (45, 58)

## იაპონია

### ჯეილიგა. XXI ტური

ომია — გამბა 2:0; კაშიმა — ვერდი 4:1; ტოკიო — ურავა 0:1; ნიიგატა — ოიტა 0:1; კაშივა — ჯეფ იუნაიტედი 1:1; კობე — ნაგოია 1:2; საპორო — კიოტო 1:2; კავასაკი — ჯუბილო 2:2; შიმიცუ — იოკოჰამა 1:1

## შოტლანდია

### პრემიერლიგა. II ტური

**ჰიბერნიანი 3:2 ფოლკირკი**

1:0, 2:0 ნიში (1, 25), 2:1 მიგდონი (30), 3:1 შანლონი (47), 3:2 მიგდონი (53)

**ინვერნესი 0:1 ჰამილტონი**

0:1 ოფიონგი (45)

**მოზერუელი 0:1 აბერდინი**

0:1 მალგრიუ (86)

**სტ მირენი 0:0 კილმარნოკი**

**რეინჯერსი 2:0 ჰართსი**

1:0 ლაფერტი (37), 2:0 ბოიდი (90პ)

**დანდი იუნ. 1:1 სელტიკი**

0:1 მართლი (51), 1:1 სანდაზა (79)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰამილტონი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| რეინჯერსი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| სელტიკი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| კილმარნოკი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| ინვერნესი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| ჰიბერნიანი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ჰართსი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| აბერდინი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| სტ. მირენი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| დანდი იუნ | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| მოზერველი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | 0 |
| ფოლკირკი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | 0 |

### I დივიზიონი. III ტური

ერდრი — დანდი 0:0; კლაიდი — როსი 2:2; მორტონი — ლივინგსტონი 1:2; სტ. ჯონსტონი — დანფერმლაინი 0:3; ქუინი — პარტიკი 2:0

### II დივიზიონი. III ტური

ალოა — რეითი 1:1; ეირი — არბროთი 2:1; ბრეჩინი — პიტერჰედი 2:2; ისტ ფაიფი — ქუინზ პარკი 1:2; სტრანრარი — სტირლინგი 1:0

### III დივიზიონი. III ტური

ანანი — ისტ სტირლინგი 2:1; ბერვიკი — დამბარტონი 1:2; ქოუდენბითი — ალბიონი 2:1; ფორფარი — ელგინი 0:1; სტენჰაუზმური — მონტროუზი 2:2

## შვეიცარია

### სუპერლიგა. VI ტური

ვადუცი — სიონი 1:2; ლუცერნი — იანგ ბოიზი 0:3; ქსამაქსი — გრასჰოპერი 1:1; ციურიხი — ბაზელი 1:4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 6 | 5 | 0 | 1 | 13:4 | 15 |
| არაუ | 6 | 4 | 2 | 0 | 9:3 | 14 |
| ციურიხი | 6 | 3 | 1 | 2 | 9:10 | 10 |
| სიონი | 6 | 3 | 0 | 3 | 8:10 | 9 |
| ქსამაქსი | 6 | 2 | 2 | 2 | 6:6 | 8 |
| იანგ ბოიზი | 6 | 2 | 1 | 3 | 8:7 | 7 |
| გრასჰოპერი | 5 | 1 | 3 | 1 | 7:6 | 6 |
| ბელინცონა | 5 | 1 | 2 | 2 | 6:7 | 5 |
| ვადუცი | 6 | 1 | 2 | 3 | 4:10 | 5 |
| ლუცერნი | 6 | 0 | 1 | 5 | 3:10 | 1 |

### ჩელენჯლიგა. VI ტური

კონკორდია — ლოკარნო 2:0; ვინტერთური — თუნი 1:3; ნიონაისი — სერვეტი 1:0; ვოლენი — ივერდონი 1:0; სენტ გალენი — ბიელ-ბიენე 4:0; ლოზანა — ვილი 0:0; ლუგანო — გოსაუ 4:0. შაფჰაუზენი — შო დე ფონი დღეს გაიმართება

## ფინეთი

### ვეიკაუსლიგა. XVII ტური

ჰონკა — ტურკუ 2:2; კუოპიო — ჰიკ 3:2; მიუპა — როვანიემი 1:0; ტამპერე — ჰაკა 1:1; ვაასა — კტპ 1:1; ინტერი — ლაჰტი 1:0. მარიეჰამნი — იარო გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 17 | 10 | 7 | 0 | 29:8 | 37 |
| ჰიკ | 17 | 9 | 5 | 3 | 33:15 | 32 |
| ლაჰტი | 17 | 10 | 1 | 6 | 28:16 | 31 |
| ჰონკა | 17 | 9 | 4 | 4 | 28:12 | 31 |
| მიუპა | 17 | 8 | 5 | 4 | 21:12 | 29 |
| ჰაკა | 17 | 8 | 4 | 5 | 20:23 | 28 |
| ტურკუ | 17 | 7 | 4 | 6 | 28:24 | 25 |
| ტამპერე | 17 | 5 | 6 | 6 | 27:22 | 21 |
| როვანიემი | 17 | 5 | 5 | 7 | 21:24 | 20 |
| ვაასა | 17 | 4 | 7 | 6 | 11:16 | 19 |
| იარო | 16 | 4 | 4 | 8 | 16:30 | 16 |
| მარიეჰამნი | 16 | 3 | 4 | 9 | 12:25 | 13 |
| კუოპიო | 17 | 3 | 4 | 10 | 17:39 | 13 |
| კტპ | 17 | 1 | 4 | 12 | 9:34 | 7 |

## ბელგია

### იუპილერლიგა. I ტური

**სერკლი 0:3 ანდერლეხტი**

0:1 ვან დამე (16), 0:2 ლეგირი (61), 0:3 შატელე (86)

**დენდერი 1:3 სტანდარდი**

0:1 მბოკანი (5), 1:1 იაკობსი (48), 1:2 მბოკანი (58), 1:3 ტოემა (61)

**რუზელარე 2:2 კორტრაიკი**

0:1 შიეტანენი (8ს.კ.), 1:1 ტომპსონი (42), 2:1 დისა (46), 2:2 ლი (70)

**ტუბიცე 1:2 მუსკრონი**

0:1 ოკვუნვანე (14), 0:2 ვანდოორენი (72), 1:2 ტიაგუ (83)

**ვესტერლო 1:0 შარლერუა**

1:0 დეკლეევერი (18)

**გენტი 5:0 მონსი**

1:0 სულერი (13), 2:0 აზოფეიფა (21), 3:0 ოლუფადე (29), 4:0 აზოფეიფა (52), 5:0 ლიუბიანკიჩი (59)

**გენკი 1:1 ბეერსხოტი**

1:0 ბარდა (19), 1:1 მონტეინი (75)

## თურქეთი

### სუპერთასი

**გალათასარაი 2:1 ქაისერი**

## ამხანაგური მატჩი

**მილანი 4:1 იუვენტუსი**

## სლოვენია

### I ლიგა. V ტური

კოპერი — რუდარი 1:1; პუბლიკუმი — პრიმორიე 2:2; მარიბორი — ნაფტა 4:1; ინტერბლოკი — დრავა 1:2; ნოვა გორიცა — დომჟალე 0:2

## სლოვაკეთი

### სუპერლიგა. V ტური

რუჟომბეროკი — სტრედა 2:2; კოშიცე — ზლატემორავცე 2:1; ბ. ბისტრიცა — დუბნიცა 1:0; ნიტრა — ტატრანი 1:0; სლოვანი — არტმედია 4:1. ტრნავა — ჟილინა დღეს გაიმართება

## ხორვატია

### NHL. IV ტური

დინამო — ციბალია 6:0; შიბენიკი — ზადარი 1:0; ინტერი — სესვეტე 3:2; ოსიეკი — ვარტექ[illegible]1; სლავენი — ზაგრები 2:0; რიე[illegible] ჰაიდუკი 3:1

## უკრაინა

### ვიშა ლიგა. V ტური

კრივბასი — კარპატი 1:1; ლვოვი — ვორსკლა 0:0; ზარია — მეტალურგი 0:2; ხარკოვი — ჩერნომორეცი 1:1; ტავრია — არსენალი 3:1; ილიჩევეცი — დნიპრო 1:2; შახტარი — მეტალისტი 2:2; დინამო — მეტალურგი (ზ) 2:0

## ბრაზილია

### სერია A. XX ტური

ატლეტიკო პრ — იპატინგა 5:0; კრუზეირო — ვიტორია 2:1; ფიგეირენსე — პორტუგეზა 2:1; გოიასი — ნაუტიკო 3:0; გრემიო — სან პაულუ 1:0; სანტოსი — ფლამენგო 2:2; ვასკუ — ინტერნასიონალი 4:0. ფლუმინენსე — ატლეტიკო მნ, პალმეირასი — კურიტიბა და რესიფე — ბოტაფოგო გვიან დამთავრდა

## ჩილე

### კლაუსურა. VIII ტური

კობრესალი — აუდაქსი 1:1; ოსორნო — კობრელოა 0:3; კოლო კოლო — ქაპანოლა 0:0-ზე ჩაიშალა. ლა სერენა — ანტოფაგასტა გადაიდო. რეინჯერსი — ევერტონი, მორნინგი — ატლეტიკო და კათოლიკა — უაჩიპატო გვიან დამთავრდა

## არგენტინა

### აპერტურა. II ტური

ესტუდიანტესი — ბანფილდი 2:2; ინდეპენდიენტე — სან მარტინი 1:0; არგ. ხუნიორსი —ველესი 4:1; ხიმნასია (ხ) — კოლონი 1:1; ტიგრე — არსენალი 2:1; გოდოი — სან ლორენსო 1:2; ლანუსი — ხიმნასია (ლპ) 1:1; რივერ პლეიტი — როსარიო 2:0. ურაკანი — რასინგი გვიან დამთავრდა

## ნორვეგია

### თასი. მეოთხედფინალი

ლინი — მიოლდე 1:3; ოდ გრენლანდი — ფრედრიკშტადტი 2:2(5:4პენ.); ვოლერენგა — ბოდო გლიმტი 3:1; სტაბეკი — სტრომსგოდსეტი 4:1

### I დივიზიონი. XVIII ტური

ბრინი — ჰიონეფოსი 0:2; ჰაუგესუნდი — ალტა 5:4; ლიოვ ჰამი — ჰიოდი 1:1; მოსი — სოგნდალი 1:1; ნიბერგსუნდი — კონგსვინგერი 2:1; სანდნესი — ნოტოდენი 0:2; სტარტი — სპარტა 2:1. სანდეფიორდი — ოდ გრენლანდი გადაიდო

## შვედეთი

### ალსვენსკა. XIX ტური

სუნდსვალი — აიკ 1:1; ჰელსინგბორგი — ლიუნგსკილე 0:1; იურგორდენი — გეფლე 2:0; კალმარი — იორებრო 2:2; ტრელებორგი — ნორჩიოპინგი 1:0. გიოტებორგი — ჰალმშტადი და ელფსბორგი — მალმიო გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კალმარი | 19 | 13 | 3 | 3 | 46:22 | 42 |
| ელფსბორგი | 18 | 12 | 4 | 2 | 25:5 | 40 |
| ჰელსინგბორგი | 19 | 10 | 4 | 5 | 32:23 | 34 |
| ჰამარბიუ | 19 | 9 | 6 | 4 | 30:24 | 33 |
| გიოტებორგი | 18 | 9 | 5 | 4 | 28:18 | 32 |
| აიკ | 19 | 8 | 5 | 6 | 22:21 | 29 |
| გაის | 19 | 5 | 9 | 5 | 20:19 | 24 |
| მალმიო | 18 | 6 | 6 | 6 | 26:27 | 24 |
| ჰალმსტადი | 18 | 6 | 6 | 6 | 22:23 | 24 |
| იურგორდენი | 18 | 6 | 6 | 6 | 19:24 | 24 |
| ტრელებორგი | 19 | 5 | 7 | 7 | 18:20 | 22 |
| იორებრო | 19 | 5 | 6 | 8 | 18:28 | 21 |
| სუნდსვალი | 19 | 4 | 5 | 10 | 20:27 | 17 |
| ლიუნგსკილე | 19 | 5 | 2 | 12 | 18:33 | 17 |
| გეფლე | 19 | 4 | 2 | 13 | 15:27 | 14 |
| ნორჩოპინგი | 18 | 2 | 4 | 12 | 15:33 | 10 |

### სუპერეტა. XIX ტური

ასირისკა — ვასბი 1:0; ატვიდაბერგი — ანგელჰოლმი 1:1. დეგერფორსი — იორგრიდე და ქვიდინგი — ენჩიოპინგი დღეს გაიმართება

## დანია

### სუპერლიგა. V ტური

რანდერსი — ესბიერგი 1:1; ოლბორგი — ოდენსე 0:3; ჰორსენსი — ვეილე 0:0; კოპენჰაგენი — მიდტიულანდი 3:1; ორჰუსი — ბრონდბიუ 2:1; ნორდსიელანდი — სონდერისკე 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოდენსე | 5 | 4 | 0 | 1 | 12:7 | 12 |
| კოპენჰაგენი | 5 | 3 | 2 | 0 | 7:3 | 11 |
| მიდტიულანდი | 5 | 3 | 1 | 1 | 10:6 | 10 |
| რანდერსი | 5 | 2 | 3 | 0 | 9:4 | 9 |
| ბრონდბიუ | 5 | 3 | 0 | 2 | 6:6 | 9 |
| ვეილე | 5 | 2 | 1 | 2 | 6:7 | 7 |
| ორჰუსი | 5 | 2 | 0 | 3 | 7:9 | 6 |
| ჰორსენსი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:6 | 4 |
| ოლბორგი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:10 | 4 |
| ესბიერგი | 5 | 0 | 3 | 2 | 3:5 | 3 |
| სონდერიისკე | 4 | 0 | 2 | 2 | 3:6 | 2 |
| ნორდსიელანდი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:7 | 2 |

### I დივიზიონი. II ტური

ვიბორგი — სკივე 1:0; როსკილდე — კოგე 1:0; ჰვიდოვრე — ფრემადი 1:1; როსკილდე — კიოგე 1:0; აკადემისკი — ნიკობინგი 1:0; ფრედერისია — სილკებორგი 1:2; ჰერფოლგე — კოლდინგი 3:0; ლინგბიუ — ფრემი 2:0; ტისტედი — ნესტვედი 4:1

## აშშ

### მეიჯორლიგა. XX ტური

კოლუმბუსი — დალასი 2:1; ჩიკაგო — ვაშინგტონი 0:1; ჰიუსტონი — სოლტ ლეიკი 4:3; კოლორადო — კანზასი 2:1; სან ხოსე — ნიუ ინგლენდი 4:0. ნიუ იორკი — ტორონტო გვიან დამთავრდა

## მექსიკა

### აპერტურა. IV ტური

ხაგუარესი — ატლანტე 1:1; პაჩუკა — ამერიკა 1:1; მონტერეი — ტეკოსი 2:4; ატლასი — სან ლუისი 0:1. ტოლუკა — პუებლა 3:1. ნეკაქსა — ჩივასი, სანტოსი — ინდიოსი და მორელია — ტომასი გვიან დამთავრდა

## რუსეთი

### პრემიერლიგა. XVIII ტური

**ტომი 1:2 რუბინი**

1:0 ჟოკიჩი (5), 1:1 კვირკველია (24), 1:2 რებროვი (32)

**დინამო 1:0 ნალჩიკი**

1:0 დანი (2)

**ლუჩ-ენერგია 0:0 კრილია**

**ლოკომოტივი 0:0 სატურნი**

**ხიმკი 0:2 მოსკვა**

0:1 ივანოვი (40), 0:2 ჩიჟეკი (80)

**ამკარი 1:1 სპარტაკი**

0:1 ბაჟენოვი (9), 1:1 ვოლკოვი (14)

**ცსკა 2:0 ტერეკი**

1:0 ძაგოევი (50), იგნაშევიჩი (73)

**ზენიტი 1:3 შინიკი**

1:0 ზირიანოვი (25), 1:1 ბუზნიკინი (51), 1:2 რიკარდუ სილვა (57), 1:3 კუდრიაშოვი (79)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუბინი | 18 | 10 | 6 | 2 | 26:14 | 36 |
| დინამო | 18 | 10 | 4 | 4 | 25:18 | 34 |
| ამკარი | 18 | 8 | 5 | 5 | 19:13 | 29 |
| სპარტაკი | 18 | 7 | 8 | 3 | 30:25 | 29 |
| ცსკა | 18 | 7 | 7 | 4 | 25:15 | 28 |
| კრილია | 18 | 6 | 9 | 3 | 24:14 | 27 |
| ზენიტი | 18 | 6 | 7 | 5 | 29:24 | 25 |
| ლოკომოტივი | 17 | 6 | 7 | 4 | 22:17 | 25 |
| ნალჩიკი | 18 | 7 | 3 | 8 | 18:20 | 24 |
| მოსკვა | 18 | 5 | 7 | 6 | 19:20 | 22 |
| ტერეკი | 18 | 6 | 3 | 9 | 15:25 | 21 |
| ტომი | 18 | 5 | 4 | 9 | 16:24 | 19 |
| სატურნი | 18 | 4 | 6 | 8 | 15:20 | 18 |
| ლუჩი | 18 | 3 | 8 | 7 | 13:22 | 17 |
| შინიკი | 17 | 3 | 5 | 9 | 19:28 | 14 |
| ხიმკი | 18 | 2 | 7 | 9 | 22:38 | 13 |

## ირლანდია

### თასი. IV ეტაპი

ბრეი — დანდალაკი 0:0; გელვეი — ეთლონი 4:1; შემროკი — კორკი 1:0; ბოჰემიანსი — დროჰედა 1:0; კერიკი — სპორტინგი 1:3; ვეისაიდი — მონეგჰანი 1:0; ვექსფორდი — სტ პატრიქსი 1:3. კილდეირი — დერი გადაიდო

## ისლანდია

### პრემიერლიგა. XV ტური

ფილკირი — აკრანესი 2:2; ბრეიდაბლიკი — ფიოლნირი 4:1; ფრამი — რეიკიავიკი 0:2; ჰაფნარფიორდური — გრინდავიკი 0:1; კეფლავიკი — ტროტური 5:0; ვალური — კოპავოგური 0:1

## ჩეხეთი

### გამბრინუს ლიგა. III ტური

პლზენი — სლავია 1:1; ბანიკი — ბრნო 0:0; ზლინი — ჟიჟკოვი 1:0; ბოჰემიანსი — კლადნო 3:1; პრჟიბრამი — ბუდეიოვიცე 3:0; სპარტა — სიგმა 1:1; იაბლონეცი — მლადა ბოლესლავი 1:1. ლიბერეცი — ტეპლიცე დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრნო | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| სპარტა | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| სიგმა | 3 | 2 | 1 | 0 | 5:3 | 7 |
| იაბლონეცი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 7 |
| ბოჰემიანსი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| პლზენი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 |
| სლავია | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ბანიკი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| ბოლესლავი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| ჟიჟკოვი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:4 | 3 |
| ზლინი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:2 | 3 |
| პრჟიბრამი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:2 | 3 |
| ტეპლიცე | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| ლიბერეცი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | 3 |
| ბუდეიოვიცე | 3 | 0 | 1 | 2 | 0:7 | 1 |
| კლადნო | 3 | 0 | 0 | 3 | 1:6 | 0 |

## პოლონეთი

### I ლიგა. II ტური

კრაკოვია — ლოძი 2:0; არკა — გურნიკი 1:0; ბელხატუვი — პიასტი 0:0; ბიტომი — სლასკი 1:1; პოლონია — ვისლა 0:2; რუხი — გდანსკი 2:1; იაგელონია — ლეხი 0:3; ოდრა — ლეგია 2:0


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი აზვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბეხელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge